ჩვენი თეატრი

ეროვ. ბიბლიოთ.
ფონდი 63
№ 10
1939
31/XII

10

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა პროლეტარიატის
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 786

10

Академия наук Грузинской ССР
Ин-т им. А. Рамазашвили
Библиотека-Музей имени Акад. И. Грошевского

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1939 წელი. სექტემბერი

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
გაბრიელ ჯაბუშანური — საზღვარზე . . .	3
შალვა ამისულაშვილი — ბაკურციხე . . .	5
კონსტანტინე გამსახურდია — სიკვდილს უღიმი-სო (ორი თავი ტრილოგიიდან „ბელადი).	8
კალე ბობოხიძე — განახლებული ოსიაური . .	25
იოსებ მჭედლიშვილი — პირველი ყეენობა . .	27
ილია ხოშტარია — ისევ შენთან ვარ . . .	35
ლადო ბალიაური — შური	36

კრიტიკა

აკაკი გაწერელია — დოსტოევსკი	53
გ. უღენტი — ვახტანგ ორბელიანის წერილები რძალთან	63

პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობის აღმსრულებელი **დიმიტრი ბენაშვილი**
პასუხისმგებელი მდივანი **ნიკოლოზ აგიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 29/X — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 27/XI — 39 წ. ქაღალდის ზომა 72 × 105, უურნ. ზომა 11 × 7½, ფორმათა რაოდ. 4. შეკვეთის № 2483 მთავლიტის რწმუნებული № 2080. ტირაჟი 3500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატის სტამბა. ეორესის ქ. 5

გაბრიელ ჯაბუშანური

საზღვარზე

დილის ჟამს სიასამური
ტოლს ეძახოდა ფრთხილად,
მზეს მოეკრძალა ღამურა,
ფუღურო მოიჩრდილა;
ძილს ნატრულობდა მდინარე
და ნამსა სვამდა დილა.

მნათობს მოვყვევით მერცხლად
მე და მესაზღვრე ფრთხილი,
მან ამხანაგი შესცვალა,
მე ლექსს ვუკითხე პირი.
წყალს ნისლი წამოეძალა.
ვით მუხანათის ჩრდილი.

ხმელეთს, ორად ყოფს მდინარე, —
აქ მას საზღვარი ჰქვიან;
მარადჟამს დაუძინარი
არბევს ნაპირებს ქვიანს;
გალმა სხვა სუსხი მძვინვარებს,
აქ სხვა სიონი ჰქრიან.

წყალსიქით მოსჩანს სოფელი —
ძველი ქოხების წყება,
მოლს გვირილებით მოფენილს,
ციდა რომ გადასწვდება —
ბილიკი მოსდევს ობოლი
და წყლის ნაპირთან წყდება.

ცოტახნის შემდეგ ამ ბილიკს
კაცი დაადგა ერთი,
ჩონჩხს გავდა იგი, ნამდვილად,
ძირს ჩავარდნილი მკერდით,
დაჯდა, ატირდა ამდილით,
ხშირი ცრემლების ღვენთით.

საბჭოეთს შემომზეროდა,
გულში იცემდა მჯიღით,
თითქოს ამბობდა შორიდან:
—„მთელ ჩემ სიცოცხლედ მილირს
მანდ ყოფნა. აქ კი შმორია
ბორკილისა და ციხის!“

გავკვირდი... — მზოლოდ მესაზღვრე —
იდგა დაბინდულ სახით,
შუბლს ჩრდილი აწვა, მეტადრე
თვალს სიბრალულის დაღი,
ფიქრს მაინც გულში კეტავდა,
არას იტყოდა ბაგით.

ისევ სტიროდა გალმელი,
თვალ ცრემლში ჩაეწვინა,
ამდროს მოვარდა რაზმელი,
ხიშტით გაიგდო წინა,
თან წაიყოლა წამსვლელმა
დარდი და ცრემლის წვიმა.

*

* *

ხანი გავიდა, იმ არეს
მოედო ბრძოლის ალი,
ჩვენი გმირები მძვინვარე
მოდგნენ ლომური ძალით
და ის საზღვარი-მდინარე
კვამლივით წაიშალა.

ხარობდა ხალხი დამხდური,
გმირებს ამკობდა ქებით,
ერთმანეთს შეხვდნენ გალმელი
და გამოლმელი ძმები.
გარშემო ჰქუხდა ნალმივით
გამარჯვებულთა ხმები.

შალვა ამისულაშვილი

ბაკურციხე

— ვინ იყო იგი?... ვინ შეარქვა მისი სახელი?.. —
არ მშორდებოდა მეოცნებეს ასეთი კითხვა:
— რად გინდა, ბიჭო,
ჯერ ბავშვი ხარ, — შემომძახებდნენ.. —
და ჩუმი სევდა რაინდივით დამქონდა დიდხანს...
საღამოს ბინდში,
მშვიდ ღამეში, რიჟრაჟის ნამში
ვხეტიალობდი, დღენიადაგ მეხვია ჯავრი;
გულში ვამბობდი:
— ასე გვიან რისათვის გავჩნდი,
იქნებ მენახა მისი სახე, კახეთში ჩავლილს,
ერთხელ მარანში,
ქეიფის დროს, შევესწარ გლეხებს,
ლალისფერ ღვინოს ქაშანურის ჯამებით სვამდნენ,
მოთავდებოდა...
ახალ გუთნურს მღეროდა მეხრე... —
და მოხუცები წარსულ დროზე ჰყვებოდნენ ამბებს.
ქვევრების გასწვრივ
გაშლილიყო საწნახლის ჩრდილი
და ბრტყელ სარქველზე ლაპლაპებდა სველი ჩაფური;
არალუღებში
ალმასივით სხლტებოდა სხივი.. —
კრთოდა მაგიდა ოქროს ხელში გამოჩარხული...
ჰყვებოდნენ ამბებს...
ბაკურციხეც ახსენეს ბევრჯერ,
თუ რა ბრძოლები გადიტანა წვიმაში, ქარში;
მეგონა:
ცივი ახალოხი მეხურა მხრებზე.. —
ვგრძნობდი ჟრუანტელს ყოველ წუთში და ვთრთოდი ბავშვი.
ახდა ნანატრი...
როგორც იყო მოვკარი ყური,
რასაც ველოდი მღელვარებით და გატაცებით!..
უბრალო კაცმა

ჩემს გონებას მოსტაცა ბური,
უბრალო კაცმა მისახსოვრა დიდი განცდები!..
— აქ, ამ ადგილზე,
ასეული წლების გადალმა
ცხოვრობდა ვინმე ეგარსლანი მეფურ ცხოვრებით;
მან ქართველობა
არ იკადრა, განზე გადადგა, —
ჩინგისყაენებს მიემატა ერთი მპყრობელიც...
მას ალვანელი მეომარი
ჰყავდა რაინდად,
ბაკური ერქვა... ნადირობა იცოდა კარგი;
მალე მათ შორის
მეგობრობა გაწყდა, დაირღვა,
მალე მათ გულებს უწამლავი მოედო ჟანგი...
შეწუხდა ხალხი...
მძიმე იყო მონღოლთა რისხვა,
ბაკურმა ხალხის ჭირვარამი გაიზიარა;
ადგა, ქართველებს
ძველებური მხნეობა მისცა.. —
და მტრის ურდოებს აწივლებულ ისრით მიადგა!..
კახეთის ბედი
აწუხებდა კახთა წინამძღვარს,
კახეთის ბედი აწუხებდათ მედგარ კახელებს!..
მთელი ლაშქარი
გადაიქცა ამტყდარ ნიაღვრად,
თვითეულ მათგანს ცეცხლი ენთო ფერმკრთალ სახეზე!..
მტვრიან ბექთრებზე
იმსხვრეოდნენ ქეიბურები
და დაუჭედავ ბედაურებს გრგვინვა გაჰქონდათ,
ძვლის ნამტვრევებით
ივსებოდნენ მთების უბენი, —
და ენდროსფერი ედებოდა მიწას ნაფლოქვარს!..
კახთა წინამძღვარს
ეგარსლანი შეხვდა ხმალდახმალ,
უნდოდა ქვიშა ეჭმევინა ვაჟკაცისათვის;
აღარ დასცალდა,
მზეჭაბუკმა ხმალი გადაჰკრა,
ეგარსლანისთვის სამუდამოდ ჩაჰქრა ცისკარი!..
დამარცხდა მტერი...
გადაიღო დიდმა ავდარმა,
დამშვიდდა ჯარი, ყველა თავის სახლკარს მიადგა;
მოღალატეთა სახეები
ბინდმა დამალა,
მოღალატეთა თორაბჯარი დარჩა ტიალად!..

ბაკურმაც თავის
ციხეკოშკი მოძებნა ისევ
და საომარი საჭურველი დაჰკიდა მაღლა;
დროგამოშვებით,
ძველებურად სინჯავდა ხმლის წვერს.
დროგამოშვებით შეარხევდა კედელზე აბჯარს!..
ცხოვრობდა ტკბილად...
ნადირობდა, ლესავდა ისარს,
მთაში თუ ბარში ყველა მისი მლოცველი გახდა;
და, როცა იგი
მიიბარა სამშობლოს მიწამ,
ამ ადგილს მაშინ ბაკურციხე უწოდა ხალხმა!.. —
...დავტოვე სუფრა...
ფრინველივით გავიჭერ გარეთ,
რიჟრაჟი იყო, იღვიძებდა დინჯი კახეთი;
ღიმილი ეკრა
ტრიამელ ცას ოთხივე მხარეს, —
და კავკასიონს შესცინოდნენ ბაღვენახებიც!..
აველ მაღლობზე...
უცაბედად შევხვდი ნაციხარს,
ხავსი და შამბი მოსდებოდა დარღვეულ კედლებს;
კედლების შიგნით
მდუმარება ეგდო ნაცრისფრად...
და მუზარადის ნალეწები ეყარა ქვებზე...

კონსტანტინე გამსახურდია.

სიკვდილს ულიმისო... *)

მთვარე ჯერაც არ იყო ამოსული, როცა ამილახვრიანთ ჭიშკართან ფარაჯიანი კაცი ჩამოხტა ცხენიდან და ურდულს წაეპოტინა. მაგრად იყო დაგმანული კარი.

„სესია.“

დაიძახა ლანდმა.

მგზავრი ჭოჭმანობდა: შესულიყო, თუ მოეცადნა მცირე ხანს? ძაღლების ჩქამი არ ისმოდა.

„სესია, ჰაუ, სესია“

დაიძახა ხელახლა მან.

მთვარე გამოვიდა ღრუბლის თექიდან და გაანათა მშვიდად მთვლემარე ეზო. შარის გაყოლებით დარგული თუთები თეთრი ქოლგებივით ჩამწკრივებულიყვნენ, ელავდა ჭირხლი დათოვლილ ტოტებზე. უზარმაზარი ნაბადივით ეფინა ღამე ორასწლიან ცაცხვის ქვეშ, ბანჯგვლიან თათებივით მოხატულიყო შტოების ლანდი თოვლითმოგებულ მიწაზე.

ხეები ისე გარინდებული იდგნენ, თეთრი ფიჭისაგან ჩამოუქნიაო ისინი ვილაცას.

ფარაჯიანმა დახველება გაიგონა, ცაცხვის ჩრდილიდან თავჩაქინდრული კაცი გამოვიდა, ახველებდა ნელა, ახველებდა და მოდიოდა ვილაც.

ჭიშკართან მორიალე ლანდს რა მიეახლა, თავი აიღო, რომელი ხარო შესძახა.

„ვამეხი ვარ, ბეჩავო, ველარ მიცანი, სესიავ?“

სესიამ ჭიშკარი გააღო, ცხენიანად შემოიყვანა ეზოში სტუმარი.

„ჭისდიხოდი ღა სადმე, სესიავ“

„მოურავი მაგზავნის ვაგზალში“.

„ძაღლები დაბმულია?“

„ძაღლები დაბმულია, მაგრამ შენ ესა თქვი, უფლისაი რად არ მოვიდა, უფლისაი იხმო კნიაზმა და შენ რაღად გამოგგზავნეს?

„სულერთი არ არის განა?“

„სულერთი რად არის? აკი უფლისაია სარქალი?“

---

*) ორი თავი ტრილოგიიდან „ბ ე ლ ა დ ი“.

„უფლისაი აღარაა სარქალი, სარქალი მენა ვარ“.

„რადაო ვითომ?“

„დაგვიბერდა მამაო, მუხლებს იტკივებს“.

„ბატონი ვერაა გუნებაზე, მოურავმა გაახელა“.

სესია წასვლას დაადგა, მაგრამ ვამეხმა ხელი წაავლო მაჯაში, ახლო მოსწია და ზედ ყურის ბიბილოსთან ჩასძახა:

„მამუკაი თუ მოვიდა, სესიავ?“

„მამუკაი აქაა, მაგრამ შიშობს ძრიელა“.

„სამუშაო თუ აქუ რაიმე ბეჩავსა?“

„მენახშირედ ჩააყენა ბესომან.“

გაგაისათვის ხომ არ გითქვამსო რაიმე?

„გაგაიმ არაფერი იცის, გუდამაყრელი ხიზანიაო, ასე დააჯერეს გაგაი.“

„დღე ჩათვლით მუშაობს ღა“.

„არა, ყოველდღე, ხანაც ღამღამობით, ამასწინათ შამხვდა მამუკაი, ცხვორჩი მინდაო; ცხვორი მომენატრაო, შემომჩივლა.“

სესია შესდგა, შიიხედმოიხედა და თითქოს ჩურჩულით ამბობს:

„კაცმა რომა თქვას, კაი უქნია უფლისაის, თავათ რომ არ ჩამოვიდა, პოლიცია დაეძებსო ასე მამიკრამს ყური!. მოურავისთვის უკითხავს ვეზნაჩანიკსა, სადა დგასო ამილახვრიანთ ცხვარი“.

„მამას ჩემს რაღა ერჩიან, მამუკაი ჩემი შვილია, თუ მოწიფული შვილისათვის მამაი უნდა დაისაჯოს, მე უნდა მამკიდოს კანონმა ხელი.“

„ეჰ, რა ჭკუასა ჰკითხამ მაგათ სამართალს, ალბათ უფლისაი უჩვენებია დამსმენელს, როგორც სარქალი, ახლა ასე ამბობენ ცხვარჩი იმალებაო მამუკაი“.

სესია დადუმდა, მცირე ხნის შემდეგ ვარსკვლავებს ახედა და ვამეხს ეუბნება:

„ახლა მე მეჩქარება, ვამეხ ჩემო, შენ წადი, ეცადე, მალე გაეცალო აქაოურასა.“

ესა სთქვა სესიამ და ჭიშკარი გაიხურა.

ვამეხი წინ გაუძღვა ცხენს.

მოურავს ბატონი გაუხელებიაო?

ცხვორს პეპელი გაუჩნდა, ჩვენი რა ბრალია?

შესაძლოა წაგვართვან კიდევაც ცხვორი?

ფიქრობს ვამეხი და მიყვება შარას.

ძნელია მთელი სიცოცხლე ცხვარში დაალამო, მიწა არ გაგაჩნდეს და მამული, სად უნდა წავიდეს მერმე, ცხვარში მოხუცებული კაცი?

ცამეტი ჰედილა, ას ორმოცი შაქი, ოცი ნაშაქალი, ხუთი ყოჩი და ამდენივე თოხლი პეპელმა გაუწყვიტა არაბულებს. სენმა წაიღო ათი წლის ნაამაგარი, სამი ვაჟკაცის ნაჭირნახულევი საქონი.

ახლა უფლისაი თუ დაიჭირეს, ცხვარს ჩამოართმევენ არაბულებს, ოთხი ოჯახი დაიმშევა.

უფლისაი ძველი სარქალია, სახელგანთქმული მცნობი უმისოდ ერთდღესაც არ დაიჭერს ამილახორი ჭიტესასა და ვამეხს.

ამ ფიქრებში გართულს ცაცხვის ძირამდის მიეღწია.

დასადავებული ცხენი წარამარა ოჩნობდა, მოზიდავდა ვამეხი სადავეს, ცხენი თავს ასწევდა უეცრად, შეატოკებდა ვამეხს, მერმე ცოტახანს ისევ ნებას დაჰყვებოდა და ისევ გაოჩნდებოდა.

კაკლის ძირში მიაღწიეს ამყოფით ცხენმა და მხედარმა, ძაღლებიც აჩქამდნენ, ცხენი უარესად გაოჩნდა.

„აჩუ, შე სამგლე!"

შეეხმაურა ვამეხი ცხენს. გამობრუნდა თუ არა, მყისვე შენიშნა რაღაც ბანჯგვლიანი ლანდი მობობღავდა.

ვამეხმა დათვი იცნო. ალბათ შინაურია და არას დამიშავებსო, გაიფიქრა. სწორედ ამ დროს კვლავ გაოჩნდა ცხენი.

ვამეხი ისევ ცხენს მიუბრუნდა, ორივე ხელით დაითრია სადავე და გამობრუნებულს უკვე ფარაჯის კალთაზე მოეგბღლარძუნა დათვი.

ვამეხმა წიხლის კვრა მოასწრო, ცხენი დაუფრთხა, მხედარმა წონასწორობა დაჰკარგა, განზე გამხტარ ცხენის სადავეს გადაჰყვა და წაიქცა.

დათვი მუხლის თავზე ეცა.

ვაიმე დედაო,

შეჰყვირა ვამეხმა, ზეწამოიჭრა, სატევარი გაიძრო და სიბრტყით შემოჰკრა ნადირს.

ამ ხმაურობაზე გამოსცვივდნენ სამზარეულოდან ბიჭები. დათვი გაიქცა, ვამეხმა იგრძნო ტფილი სისხლი ღვარივით ჩასდიოდა პაჭიჭებში.

ორი ბიჭი შეუდგა მხრებში ვამეხს, შუაცეცხლის წინ დააწვინეს მუხლგამოღადრული სტუმარი.

მოურავი წარბებშეყრილი შემოვიდა, ბიჭები დატუქსა, რად არ დაგიბამთო დათვი? ვერ გაიგეთ, ბელი რომ აღარაა, უკვე დათვიაო, რვათვიანი ბელი.

მერმე ვამეხს მიუბრუნდა. რად ჩამოსულხარო ასე გვიან? დოლის ამბავი აინტერესებდაო ბატონს, გუშლამ ტფილისს წაბრძანდაო ცოლშვილიანად. მეც ამალამ უნდა წავიდეო.

თუ ჩამოსვლა იყო, უფლისაი რად არ ჩამოეთრაო?....

ვამეხმა უფლისაის ავადმყოფობა მოიმიზეზა, ავადმყოფობა და უსაშველო ნამჭერები, ახლაც ძლივს გამოვაღწიეო სამუხლე თოვლში, ორგზის წამექცაო ცხენი.

მეორე დღეს გაგამ და სოსომ გაიგეს ვამეხის ხიფათის ამბავი. ბევრი ეცადნენ, მაგრამ საავადმყოფოში არ შეუშვეს ყმაწვილები. მხოლოდ კვვირაობით იღებენო მნახველებს.

სასოწარკვეთილი გაგა ცრემლებს ველარ იკავებდა.

სოსომ დატუქსა ერთორჯერ: სად ნახულაო ვაჟკაცის ცრემლი?

განმარტოვდებოდა, მოძებნიდა ბნელ კუთხეს, იჯდა და ბალღივით ტიროდა გაგა არაბული.

მიხა და ცოქალა ამაოდ ანუგეშებდნენ: მსუბუქად დაკბენილიაო ვამეხი, ყმაწვილი მაინც იჭვნეულობდა, რაკი ავადმყოფი აღარ მაჩვენეს, ალბათ სულლთმობრძავი უნდა იყოსო.

გაგას მამისადმი სიყვარული არც განეცადა ოდესმე, ეს გრძნობა ვამეხზე ჰქონდა გადატანილი.

თავათ უტყვი, გულჩახვეული ვამეხი სტუმარივით იყო არაბულების ოჯახში.

ბოლოს პაპა უფლისასადმი სიყვარული ყველას ჩრდილავდა, მან პაპის გრძნობაც მიისაკუთრა ოჯახში, პაპისაც და პაპის მამისაც, (ისე როგორც მრავალწევრიან ოჯახებში ხდება ხოლმე მთაში).

გაგა გრძნობდა, ვამეხი დაჩრდილული რომ იყო ოჯახში, იმიტომაც უფრო წაეკიდა მისდამი სიბრალული ყმაწვილის გულს, ნანობდა კიდევაც გაგა, იდუმალ: ვამეხს, რომ არასოდეს მოფერებია იმ ტკბილი და ტფილის სიყვარულით, რომელსაც ყმაწვილი იჩენს ხოლმე პაპის მიმართ, ხოლო მამისადმი განკუთნილ გრძნობას ფარავს ხოლმე შეძლებისამებრ.

შესაძლოა აქ ვამეხის ასაკსაც მიუძღოდა ბრალი. იგი ადრე გახდა პაპა, მაგრამ პაპის ადგილი უკვე უფლისას დაეკავებინა ოჯახში.

სამ დღეში ხატის ცვილივით ჩამოდნა გაგა. მიხა ქილიფთარის ოჯახი უარესად დაამწუხრა ჭაბუკი ხევსურის ასეთმა გლოვამ.

ცოქალას მთელი ღამეები არ ეძინა. ესმოდა, თუ როგორ ქვითინებდა ფარდის უკან, ტახტზემწოლარე გაგა. ესმოდა, მაგრამ ბუნებით მორიდებულ და სათნო ქალს ვერ მოეკრიფა გამბედაობა — თავზე წამოდგომოდა მტირალს და როგორმე ნუგეში ეცა.

ერთ საღამოს ცოქალა შინ ბრუნდებოდა ეკლესიიდან, ჭიშკართან გაგა შემოეფეთა.

მას ხევსურული ჩოხა გადაეცვა, თავზე ფაფახი ეხურა, ხმალი წელზე დაეკიდა, განზე სატევარი, ფარი ცალ ხელში ეჭირა და მხედრული ნაბიჯით მიიჩქაროდა სადღაც.

„გაგა, ჰაუ, გაგა."

შეეხმიანა ცოქალა.

გაგა თითქოს დაყრუვდაო, მიდის და არც კი მიხედა ცოქალას.

„გაგა, შვილო გაგა". მიაძახა ხმააწეულად, მაგრამ გაგა უკვე მიეფარა თვალს.

ამილახვრიანთ სასახლეში ყველაფერი არია ბატონებისა და მოურავის ტფილისს გამგზავრებამ. რუსიკო ჩვეულებრივად შინ დასტოვეს. ქალბატონის ბრძანებისამებრ მოხუცებული ვარდისახარ დააწვინეს რუსიკოს ოთახში, რადგან რუსიკო მთვარეული იყო და მარტო ვეღარ წვებოდა ღამე. თაგვების ეშინოდა, თაგვებისა და მარტის კატების კნავილს ვეღარ იტანდა რუსიკო.

გოგო-ბიჭებმა თავზე წამოიცვეს სასახლე.

ვარდისახარ ბრმა იყო, კეთილი რუსიკო ყველას უყვარდა, ამიტომაც არავინ ეპუებოდა მათ.

დამშეული ცხენები თავლაში ჭიხვინებდნენ, მოწყურებული ფურები და ხარები ბოსელში ბღაოდნენ, ვარდისახარს ეს ყოველივ ესმოდა შორიდან, დღენიადაგ ფანჯარასთან იჯდა, ჯოხს ურტყამდა ფანჯრის რაფაზე.

ეძახოდა: ხან სურათას, ხან გიორგას, ხან ლექსოს, ხან ცაბოს, ხან ვანოს.

გიორგა სურათას აეტორღიალა. ბელელში, მარანში, საქათმეში, სადაც წაისწრებდა, ყველგან ჩქმეტდა და კოცნიდა.

თავათ სურათა მურაბებს იპარავდა, თაფლსა და ერბოს უტრიალებდა; ანებივრებდა გულის მურაზს.

ლექსომ იხვებზე ნადირობა დაიწყო, ცაბო და ვანო საბძელში კოტრიალობდნენ დღეღამ.

ცხენები ჭიხვინებდნენ, კამეჩები ყოყინებდნენ, მტრედები გრუტუნებდნენ, ღამღამობითაც ზმუოდნენ ძროხები.

დედალი არწივი მოკვდა. ძუ მელა გალიიდან გაექცა კვების დროს ვანოს, დამშეული მტრედები უთენია ალიონზე მოსჯარდებოდნენ, აბუზული შველი უილაჯოდ იცოხნებოდა.

მტრედებს მაინც გადავარჩენო, ფიქრობდა რუსიკო, მთელი ღამეები არ ეძინა შიშისაგან, მაინც ადრე დგებოდა, მტრედებს დააპურებდა, შველს ცოტაოდენ ცომს აჭმევდა და განაგრძობდა სენკევიჩის რომანების კითხვას.

სესია შეშას სჩეხავდა, ან არადა მხართეძოზე წამოწვებოდა, იწვა შუაცეცხლთან და არხეინად აბოლებდა ყალიონს.

უსინათლო ვარდისახარი წიოკობდა, დღენიადაგ ეძახდა ყველას სათითაოდ, მაგრამ ყველა იმის ცდაში იყო — „კნეინას“ ჩამოსვლამდის მოეთავებინა ჭამა, ძილი, არშიყობა და ჩქმეტა.

მხოლოდ ვარდისახარს ეწვოდა ოჯახისათვის გული, რადგან ამილახვარის სასახლეში ჩაბერებული ნაყმევის ქალი იყო ვარდისახარი, განმკითხავი არავინ ვაჩნდა ქვეყანაზე, ბატონის გარდა.

მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა და შეძრწუნებული ფიქრობდა: რა ეშველება ამილახვრის სასახლეს, ბატონები რომ დიდხანს დაყოვდნენო ქალაქში?

ვამეხის დაკბენის შემდეგ საგანგებოდ დასჯილი ბელი უარესად გაავდა. მოურავს არაფრად ეპიტნავებოდა მაინცდამაინც იგი. მუდამ ამას ამტკიცებდა მოურავი: იგი უკვე დათვია, დავკლათ, გავატყავოთ, ხორცი ბიჭებს ჩავაცეცხლოთ, ტყავი სახლის დერეფანში დავფინოთო ძუ დათვის ვვერდით, მაგრამ ბატონები უარზე იდგნენ: თამაზს უყვარსო ბელი.

მართლაც დიდი აბეზარი ვინმე იყო იგი.

აუშვებდნენ, გოჭებსა და ბატკნებს იპარავდა, ქათმისა და ინდაურის სინსილა გააწყო, შინაურებს ებღლაძუნებოდა, მიმსვლელებს ერჩოდა, დაბამდნენ, აღრიალდებოდა, გაუშვებდნენ — ისევ აბობღდებოდა.

ტფილისს წასვლის წინა დღეს ჩუმად უბრძანა მოურავმა სესიას, დააბიო, საკამეჩე ჯაჭვით დაბიო დათვი, ჩემს ჩამოსვლამდის ნურას აჭმევო, გულში ასე ფიქრობდა: სული ამოხდებაო, ალბათ.

მარნის სვეტზე მიბმული დათვი მთელი დღე დაბობღავდა სვეტის გარშემო, ხან ჩაფიქრებული, თავჩაღუნული დადიოდა დარდიანი, დაზაფრული კაცივით, დადიოდა, დადიოდა, დაათრევდა საკამეჩე ჯაჭვს, როგორც გერის წმ. გიორგის მლოცველი საყდრის გარშემო ჩოქვითმხოხავი, თანაც ზეწამოდგებოდა, დაბაჯბაჯებდა, უკანა თათებით საასპარეზოდ გამოსულ მოკრივესავით ასავსავებდა ჰაერში თათებს.

ნასადილევს ფანჯარასთან მიმჯდარიყო რუსიკო, თოვლის დანახვაც სძაგდა მას, დასცქეროდა თეთრადშესუდრულ ხილნარს. ყორნები შემომსხდარიყვნენ კაკლის ხეზე. ისხდნენ, უცნაურად, ყრანტალებდნენ.

დაბმული ძაღლები ყმუოდნენ და ყეფდნენ, საქონელი საწყალობლად ზმუოდა ბოსელში, დათვის ბელი მარნის წინ დაწრიალებდა.

ტრიალებდა, ტრიალებდა, ხან ჯაჭვს ღონიდა, ხან სვეტს სჯიჯგნიდა, ხანაც კედელს მიადგებოდა, დინგს მიადებდა და გალახული ბალღივით ბღაოდა საწყალობლად.

რუსიკო გრძნობდა: მისტიროდა დათვი თავის გამწარებულ სვეს, თეთრადმოსილ ფიჭვნარებსა და დაკარგულ თავისუფლებას ნატრობდა.

რუსიკომ ვეღარ აიტანა ნადირის წუხილი, ადგა, უკან აივანზე გამოვიდა, დიდხანს უძახა ბიჭებს, მაგრამ ყველანი გაკრეფილიყვნენ სადღაც.

გამოიტანა შაქარი, მივიდა დათვთან, შეაძლია. დათვი დამშვიდდა, შაქარი რა დაინახა, ერთ წამში შესანსლა, მერმე გამოჰყო იისფერი ენა, ხელისგული დაულოკა ქალს. თანაც ნელა, სულ ნელა წკმუტუნებდა; რაღაც უცნაურის საწყალობელის ხმით ეველერებოდა რუსიკოს.

„მოდი, გაუშვებ, ალბათ აქვე დარჩება ეზოში, გაივლ-გამოივლის, მერმე ისევ დააბამს სესია“.

ეს გაიფიქრა რუსიკომ და ახსნა საყელურიდან ჯაჭვი.

ნანატრი თავისუფლება რა შეიცნო დათვმა, ჯერ უკანა თათებით გაიარაკაცივით. მერმე წინა თათები დაჰკრა მიწას და ცაცხვის ძირისკენ გაექანა; აქ ცოტა ხანს იკოტრიალა თოვლში, მერმე წამოდგა, გაიბღერტა, გაიბღერტა ბეწვი, თავი აიღო და ჭიშკარისკენ მოუსვა.

„სესია, სესია,“ ასტეხა რუსიკომ ყვირილი.

სესია ალარსად სჩანდა. ახლა გიორგას უძახა რუსიკომ, გიორგას ნაცვლად სურათამ გამოჰყო ბეღლიდან თავი.

გიორგა წისქვილში წავიდაო, ესა სთქვა და ისევ გაიხურა კარი. რუსიკომ თვალი მოჰკრა — თუ როგორ ისკუპა დათვმა და გადაევლო აგურის გალავანს.

უკან გამოდგომა უნდოდა, მაგრამ მოისაზრა — პალტო და შარფი გამოეტანა სახლიდან:

გარბოდა რუსიკო თოვლში, ელვის უსწრაფესად ჭიშკართან გაჩნდა. კარი გაიგდო და მიჰყვა დათვის ნაკვალევს.

კალთააკრეფილი მირბოდა რუსიკო სამუხლე თოვლში. ქარი სცემდა სახეში. თვალები სისველით ევსებოდა. თავადაც ვეღარ გაეგო ცრემლი იყო ეს, თუ სიცივისა და ქარისაგან მოსდიოდა?

მირბოდა თავდავიწყებით. დასჩერებოდა დათვის ნაკვალევს. გზაჯვარედინეზე ურმებსა და სახედრებს გადაეფარცხათ ნატკეპნი გზა.

სასოწარკვეთილი შესდგა.

„ვინ დაუხვდება თამაზს ამის შემდეგ? კიდევ კარგი, რომ არავინ ხედავდა, თუ როგორ აუშვა რუსიკომ ბელი?“

შესჭამს თამაზი, ფრჩხილებით დაახრჩობს რუსიკოს.

ფიქრობს და გარბის, ტირის და გარბის. ახლა კი დანამდვილებით იცის, რომ თვალებისა და ლოყების სილამაზე არც ქარის ბრალია და არც სიცივისა.

შეჩერდა, დაფიქრდა: კიდევაც რომ ეპოვა ბელი, ან როგორ წამოიყვანდა შინ ასე უზომოდგახელებულ პირუტყვს? მუხლი მოეჭრა ამგვარი აზრის გულში გამვლებელს. შარფის ფოჩით თვალი მოიწმინდა, დახედა გზას, კვალი დაეკარგა ისევ.

დააკვირდა, კიდევ და კიდევ დააკვირდა.

შენიშნა: განზე წავიდა დათვის ნატერფალი, ამილახვრიაანთ დიდ ვენახში ამოჰყო რუსიკომ თავი.

ვენახის ცალი მხრით ეკლიანი მავთულით იყო შემორაგული, მხოლოდ ცალ კიდეს აგურის გალავანი მიჯნავდა მას მუხრანიდან. სწორედ ამ კუთხეში, სადაც აგურის კედელი და ეკლიანი ღობე იყრებოდნენ, ძველი საბძელი იდგა.

ამ საბძელამდის მიიყვანა დათვის კვალმა რუსიკო. შემოუარა მხარმარჯვნიდან საბძელს, დაინახა ვიღაც ხევსურულად მორთული ყმაწვილი ებრძოდა დათვს. ცალხელში ფარი ეჭირა ხევსურს, ცალითაც ხმალს იქნევდა.

აქოჩრილი, ყალხზეშემდგარი დათვი ბრდღვინავდა გახევებული, ხან შეუტევდა ხმლიანს, ხან დაიყმუვლებდა, უკუ იქცეოდა, კედელს მიეკვროდა და ღრიალებდა.

შემოჰკრავდა ხევსური ხმალს, აიქოჩრებოდა, თავს აარიდებდა დათვი. სჩანდა: ან ხმალი არ სჭრიდა, ან ხევსური ზოგავდა ნადირს.

რუსიკომ იკივლა და თვალთ დაუბნელდა, როცა ისევ გონს მოვიდა: ზედ კეფაზე დაჰკრა ხევსურმა დათვს ხმალი.

გაბოროტებული ტყიური მივარდა ვაჟს, ახლა ყმაწვილმა შეუტია მამაცურად, ისევ კედლისაკენ მიაგდო დათვი. მერმე ბევრი აღარ აცადა, გატეხილი ხმალი შერჩა ცალ ხელში ხევსურს, მაგრამ ფარი იფარა ჯერ, მერმე პირდაპირ ჩასჩარა დაღრენილ ნადირს ხახაში და წამოაქცია დათვი.

კარგა ხანს კოტრიალობდნენ ორივენი თოვლში, რუსიკომ რამდენიმე წაბიჯი წინ გადადგა, თოვლშიამოგანგლულები ხევსური ზეწამოადგა, სისხლითმოსვრილი სატევარი ელავდა მის ხელში.

რუსიკომ ღონე მოიკრიფა, კუთხემდის მიირბინა, ყმაწვილმა მხოლოდ ახლა შენიშნა ქალი.

წელში გასწორდა ამაყად. თოვლი გაიბერტყა და არა უთხრა რა რუსიკოს. ზედავდა, თუ რა ნელა უბრუნდებოდა მის ლოყებს სიწითლე.

ჩოხა შემოფხრეწოდა ხევსურს ბრძოლაში.

ირგვლივ დაჯეგილ-გასისხლიანებულ თოვლზე პირაღმა ეგდო დათვი, მხოლოდ უკანა ფეხები უტოკავდა, ფრჩხილებით ფხაჭნიდა მიწას.

„რა ქენით ეს?“

შეჰყვირა შეძრწუნებულმა ქალმა. ეუცნაურა მისი დიდრონი, დარდიანი, ცისფერი თვალები.

ყმაწვილმა თვალები დააფახულა, ქუთუთოები ძირს დაეშვნენ, მიწას დაეჩერდა და სთქვა:

„მა რაღაი მექნ, პაპის ჩემის სისხლი ავიღ.“

მერმე ისევ ახედა შეშფოთებულ ქალწულს, მის გათქვირებულ მკერდს და ატმისფერ ლოყებს დაადგა თვალი.

„სად ნახეთ ეს ბელი თქვენ?“

შეეკითხა რუსიკო.

„ორი დღეი ას, რაიც კარჩი ვუზივარ!“

ორივენი დადუმდნენ.

ხევსური მივიდა მკვდარ დათვთან, ცალი თათი მოსჭრა, ჯიბეში ჩაიდო და ჩოხის კალთით გასწმინდა სატევარი.

რუსიკოს მოაგონდა ვამეხ არაბულის დაკბენის ამბავი, ყმაწვილის ნათქვამი ენიშნა და დაბრუნდა.

ისევ მიხედა დათვს.

მკერდგანგმირული ნადირი სისხლის გუბეში ეგდო. ოდნავ, ოდნავ გაპობილი ლაშებიდან თეთრი და წამახული კბილები უჩანდა.

ასე მოეჩვენა რუსიკოს: სიკვდილს უღიმისო დათვი.

19. ვერცხლის ქამარი

აღარ ღრიალებდა დათვი. ვართანა მოურავი ღამის მატარებელს ჩამოჰყვა, აღარც ცხენები ჰიხვინებდნენ, არც კამეჩები ყოყინობდნენ, არც ფარშევანგები კრიახობდნენ, მოურავის ჩამოსვლა და სასახლეში მყუდროების დამკვიდრება ერთი იყო. მაინც მოუსვენრად ეძინა რუსიკოს.

ბელის მოკვლის ამბავი რომ გაიგო, გაიხარა ვართანამ ფრიად, მაგრამ მრისხანე სახე მიიღო ანაგებად, საშინლად დასტუქსა სესია და გიორგი.

იმუქრებოდა: თამაზი დღეს ხვალ ჩამოვა, შავ დღეს დააყენებსო დათვისმკვლელს. უეცრად დამყარებულ მყუდროებაში აჩქამდა რუსიკოს გულში დავანებული ძრწოლა.

გათენებისას წაეძინა, ის უცნაური ხევსური ესიზრმა: კლარტის პერანგი ეცვა წითელი, შუბლიდან სისხლი მოთქრიალებდა.

ზმანებამ უარესად შეაშფოთა, ახლა ნანობს, რად არ გამოეკითხეო ყმაწვილს გორში მცხოვრებია, თუ ცხვრიდან ჩამოჰყოლია პაპას?

კაცმა რომ თქვას, მოფიქრების დროც აღარ იყო. ისე ანაზდად შეტრიალდა დათვისმკვლელი და მოულოდნელად გავიდა ვენახიდან, თავათაც არ შეუნიშნავს მოკლული ბელის გვერდით დავარდნილი ვერცხლის ქამარი თავისი. რუსიკოს შეებრალა ყმაწვილი, შეუნახავო, იფიქრა, ქამარს.

ერთხანს ასე ეგონა რუსიკოს, ქამრის მოსაკითხავად გამოივლისო. დღეები გადიოდა, ქამრის პატრონი აღარსად სჩანდა.

შესაძლებელია, არცკი ახსოვდეს, თუ სად დარჩა ქამარი?

რუსიკომ ხელში აიღო იგი. უნდა გადაემალა სადმე თამაზის მოსვლამდის. ადამიანის ოფლის სუნი უდიოდა მას.

ქამრის ენასა, საქონეებსა და სამკაულებზე ვაზის ფოთლები, ლერწები და პწკლები იყო შესანიშნავის ხელოვნებით ამოძერწილი. გასაოცარი გულმოდგინებით მოეხატა ძველ ოსტატს სახმლე კაუჭი, სადენთე, საფულე და ორიც სამკაული, წეროს ნისკარტივით გრძელი და წაწვეტებული.

ქამრის ენაზე დედაბრული ხელით ეწერა:

„ვამეხ არაბულისა ვარ“

ჯერ კიდევ ტფილისს წასვლამდის ასე ამბობდა ვართანა, ვამეხი მსუბუქად ყოფილაო დაკოდილი, სამ-ოთხ დღეში ლაზარეთიდან გამოეწერება და ცხვარში წავაო. შესაძლოა წავიდა კიდევაც და შვილიშვილიც თან წაიყვანა.

აღარ იცოდა რუსიკომ, როგორ გაეგზავნა პატრონისთვის ქამარი?

გამოეჩინა იგი? დათვისმკვლელის ვინაობას გამოამჟღავნებდა.

მართლაც, რა კარგი ვაჟკაცი იყო, როგორ მამაცურად შეება გაავებულ ნადირს! ჯულაანთ სოსო მოაგონდა და მისი საოცარი დუელი ბელთან.

ამ ხევსურის ამბავი ხომ მთლად უცნაურია, რომანებშიაც არ ამოუკითხავს რუსიკოს ესოდენ რომანტიული ამბავი.

ყმაწვილს რომ პაპის სისხლი დათვზე აეღოს?

ეს უეჭველად ლამაზი ამბავია, ნეტავი დასწერდეს ასეთ რამეს ვინმე! წარმოსადგენია, როგორი შურისმეგებელი იქნება ეს ხევსური.

დღეები თითებზე დაითვალა, უკვე შვიდი დღე იყო მას შემდეგ გავლილი.

გული ეტკინა რუსიკოს, როგორაც კი შეიცნო, ვერასოდეს ვნახამო ამ ცისფერთვალება ხევსურს.

კარი გაიღო, სურათა შემოვიდა დაფიქრებული.

„უჟმე, უჟმე! — მოსთქვამდა სურათა, ვინ გადაურჩება თამაზს. მეხიმც დავაყარე გიორგას, ასე უთქომ მოურავითვინა, რუსიკოს უნახამსო დათვისმკვლელი თუ ვიღაც დოზანა, მოურავს ასე უთქვომს, უნდა გამოტყდესო ვინ მოჰკლაო თამაზის ბელი“.

რუსიკოს ყვრიმალები გაუწითლდა.

„რას ამბობ, სურათა. ბედშავო, არავინაც არ მინახავს მე. ვინ ხევსური, ვინ დათვისმკვლელი?“

„მეხიც დავაყარე გიორგასა, მუხნარში შეშას სჭრიდა თურმე იმ სალამოს, დაუნახავს, უჟმე, უჟმე ჩემო კეთილო ქალბატონო, შენ რა გეშველება, ჩემო კეთილო ქალბატონო? ამაღამ კნიაზი და მისი ვაჟი ჩამოვლენ, დედამიწას დაიქცევს თამაზი“.

რუსიკო დადუმდა, მოკუმულ ტუჩზე დაიდო ხელისგული. თვალი გაუშტერდა სივრცეში.

რა გაეწყობა. ყველაფერი განგების საქმეა. ეს კი ურყევად სჯერა რუსიკოს, სიკვდილის პირზედაც რომ მიაყენოს თამაზმა, მაინც არ გასთქვამს, თუ ვინ მოჰკლა ბელი?

ისიც უთქვამს თურმე ვართანას, მუხრან-ბატონის ვაჟს ზურაბს მარცხენა მკლავში დაუჭრიაო ქეიფის დროს თამაზი.

ცხადია, თამაზი არ დაუწვება მსუბუქ ჭრილობას, ჩამოვა თუ არა გორში, ისევ დაიწყებს ქეიფს, ცხენის ჭენებას ქალაქში, შესაძლოა სადმე წააწყდეს საცოდავ ხევსურის ბიჭს გორში.

„სურათა, შენ არა ჰკითხე გიორგას, ბედშავო: თავათ თუ იცნობს იმ ხევსურს?“

„მე კი არა, თვითონ მოურავი დაჰკითხავდა გიორგას. არ მინახავსო ასეთი ხევსური გორში“.

ამ ამბავმა ოდნავ დაამშვიდა რუსიკო.

გავიდა თუ არა სურათა, კარი ჩაიკეტა. შალი წამოისხა ოდნავშემცივნებულმა, ისევ ჩაწვა ლოგინში და კითხვა განაგრძო.

უმთავრესი ეს იყო, თამაზის ჩამოსვლამდის არ გადაჰყროდა მოურავს. შესაძლოა გიორგის ნათქვამს არ დამყარებოდა მოურავი და არც ეთქვა რაიმე თამაზისთვის ხევსურის გამო.

გული ვეღარ დაუდო სენკევიჩს, ნერვიულად დაუწყო ფურცვლა, განზე გადასდო რომანი, წამოდგა, ფეხშიშველა მივიდა ეტაჟერამდის. ყდაგაცვეთილი წიგნი დაითრია ერთი. ენით დაინერწყვა თითი, ავტორის სახელსა და გვარს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნა.

ეს იყო ფრანგული რაინდული რომანი ჯვაროსნული ომების დროიდან. კიდეებზე ქართული მინაწერები უკეთებია ვიღაცას. რუსიკომ სათითაოდ გადაიკითხა ესენი, შემდეგ ამისა დაიწყო კითხვა.

მცირე ხანს ცეკვავდნენ ასოები, ჩალისფრად გახუნებულ ფონზე, მერმე წიგნი ხელიდან გაუვარდა რუსიკოს. დაეცა იატაკზე და ილლუსტრაცია გამოჩნდა ერთი.

თორიან მამაკაცს თმებით მიეზიდა ქალი. უყურა რუსიკომ, უყურა სურათს, შეჰქანდა სურათი, თითქოს განსხეულდაო ფიგურა ჰაერში, ცნობა წაართვა ძილმა.

მოურავის ღრიალმა ჯამოაღვიძა.

სესიას უყვიროდა ვართანა, ქერი მიეციო ცხენებს.

გამოძინებამ მხნეობა შეჰმატა რუსიკოს. უსმელ-უჭმელი იჯდა ფანჯარასთან და ხედავდა, თუ როგორ არხევდა კიპაროზებს ქარი. ფანჯრის თვალიდან შემოდიოდა სიო, ფარდებს ატოკებდა, ლოყებზე ელამუნებოდა ქალს.

ეს იყო მოახლოვებული გაზაფხულის სუნთქვა, სადღაც მთებში ყინვა და მზე შებმოდნენ ურთიერთს.

მთებსა და გორმახებზე ამდგარიყო თოვლი. მხოლოდ ბრუტსაბძელი და მისი მიმყოლი მწვერვალები მოსჩანდნენ თეთრად. ხილნარში დავანებული მხურვალება ატფობდა წინადღეების თოვლის მიერ დამზრალ კვირტებს ატმებისა და ვაშლებისას.

მხოლოდ ცა, ცა ისეთი ლურჯი იყო, როგორც შავი ზღვა წყნარ ამინდში.

ნელა, ნელა მიეშურებოდნენ ბრუტსაბძელისკენ კიდე დაფანჩული, თეთრი ქულები. შეუმსუბუქდა რუსიკოს დილით განცდილი სიმძიმილი.

მართლაც და ცა იყო ისეთი მაღალი, ღრუბელი ისეთი გამსჭვირვალე, მზე ისეთი ამო, ვინ დაიჯერებდა ამ დილით, რომ ამ მშვენიერ მიწაზე ჭმუნვარე ყოფილიყოს ვინმე, მწვანეს სუსხი მორევოდეს, ან კაცის გულს დარდი?!

სულის კუნჭულში მაინც რიალებდა ნატამალი სიხარულისა. თორიანი ხევსურის ცისფერი თვალები ხომ არ ანათებდნენ იქიდან?

რუსიკო შეკრთა, ზედ წამოეგო ანაზდეულად.

გაოცდა თავადაც შემცნობი იმისა, რომ მასაც უხარია რაღაც. არსებითად ეს არ უნდა ყოფილიყოს ასე.

არა, სულ სხვაა აქ, რუსიკოს უხარია, ქუჩაში გასვლის საბაბი რომ მიეცა, ხევსურის საძებნელად კი არა, ისე უბრალოდ, გაზაფხულის პირზე გაისეირნოს ქუჩაზე. იმ ხევსურის საძებნელადაც რომ წავიდეს. მერმე რა არის ამაში ცუდი: ხომ უნდა გააფრთხილოს ყმაწვილი!

თამაზი გულმხეცია, კარგად შესწავლილი ჰყავს რუსიკოს იგი. შესაძლოა, დათვის ბელის გამო მოჰკლას ის ბედშავი კიდევაც.

არ შერჩება თუ?

შარშან კურდღლობის დროს შემოაკვდა მას სესიას ერთადერთი ვაჟი, ფორმალურად შეაყენეს ოქმი, ესეც კარგად იცის რუსიკომ, ცოვიანოვმა დაახევინა იგი. სესიას ერთი ძროხა აჩუქეს და ამით მიჩქმალეს საქმე.

რუსიკომ ტანთ ჩაიცვა, მოეწონა თავისივე ანაგობა.

„მართლაც საოცარია ცხოვრება!

კაცმა რომ სთქვას, იგი გაცილებით უფრო მეტად საინტერესოა, ვიდრე თვით უშესანიშნავესი რომანი, რადგან წინასწარ იცი, ყოველი რომანი სამწუხარო ფინალით უნდა დასრულდეს. ცხოვრებაში საბელის თავი ხელის გულზე გაქვს, ხოლო ბოლო მისი უფსკრულშია ჩაკიდებული.

12 786

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანებში მუდამ ასეა: ვთქვათ ქალწულს ვაჟი უყვარს, მავანი და მავანი.

ეს რომანისტები გულბოროტი ხალხია, მაინცდამაინც ისე წაიყვანენ თხრობას, მთელი ქვეყანა ამხედრედება მიჯნურების წინააღმდეგ. ბოლოს იმდენს უხრიკებენ, უთუოდ გასთიშავენ ქალ-ვაჟს, ან არა და მესამე შეეჭრება ორთა სიყვარულს, ხანაც ავტორი ივაჟკაცებს და ჭლექს შეჰყრის მიჯნურთაგანს ერთს.

„აჰ, ნეტავ ვინმე დასწერდეს ისეთ რომანს, სადაც სიკეთე და სიყვარული იმარჯვებდეს, სადაც ბოროტის არსება არ იქნება გრძელი“.

ფიქრობს რუსიკო და მიჰყვება ქალაქისაკენ მიმავალ ბილიკს. ლიახვი ადიდებულია, ხუთივე კალაპოტი გაუვსია წყალს. მოაქვს დაშლილი ფაცერები, გარუჯული ფიცრები, ნაძვები, მორები, ვეება ფიჭვები ძირიანად ამოუთხრია მიწიდან, რუსიკო შესდგა და დააკვირდა ამღვრეულ ტალღებს.

დამხვრჩალი ვერძი მოჰქონდა წყალს, ისე მოკოტრიალებდა ჩქერებზე ვერძი, თითქოს ოთურმას თამაშობსო ზვირთების თავებზე.

ფშანებში კამეჩები ჩაწოლილიყვნენ, თავები და რქები უჩანდათ მხოლოდ.

„საოცარია გაზაფხული, ყოველი უნდა გადააცდინოს კალაპოტს“,

მოელალებოდნენ მწყემსები ღორხბოს, კუნტრუშებდნენ დეკეულები, გაზაფხულის მახარობელ ვალსს უვლიანო თითქოს. ისმოდა კამეჩების ყოყინი, დედების მონატრული ზაქების ყოყინი.

ნაზამთრალ ცხვარს მოელალებოდნენ მეცხვარეები. საქონლის ჯოგი ბრუნდებოდა დაბაში, გამოქანდებოდნენ ატეხილი მოზვრები, მოახტებოდნენ ჯიქანდასივებულ ძროხებს.

ერთბაშად ცხენოსანი ჩაფრები შემოიჭრნენ ვიწრო ქუჩაში, ატყდა ალიაქოთი. ტროტუარებისკენ გაიწია საქონელმა. რუსიკოს შეეშინდა ხარებისა, მხარმარცხნით გადაუხვია ვიწრო და ბინძურ ქუჩაში.

სამჭედლოდან ჩაქუჩების რაკა-რუკი ისმოდა, სამიკიტნოებიდან ზურნის ჭიჭყინი და მთვრალების სიმღერა. რუსიკომ იგრძნო ცუდ უბანში მოხვდა, ამდროს არასოდეს არ ყოფილა ამ ქუჩებში მარტოკა. სარდაფებიდან ღვინისა და ნესტის სუნი ამოდიოდა, უზარმაზარ რუმბების პირისპირ ხალიჩებზე ფეხმორთხმული ისხდნენ ლოყებლაჟღაჟა, რუმბებივით დასივებული სირაჯები და მათი სტუმრები.

ერთ სამიკიტნოდან ამოცვივდნენ მთვრალი კადეტები და გიმნაზიელები. რუსიკომ მზერა აარიდა მათ. შვიდი ყმაწვილი აეკრა აგურით შეთითხნილ კედელს, ისე გამოიჯგიმენ, საპატიო ყარაულში დგანანო თითქოს.

რუსიკომ ისეთი სახე მიიღო, ვითომდაც ვერ ამჩნეესო მათ, თავი დახარა, მუხლები აუცახცახდა, ახლოსმხედველივით დააშტერდა ფილაქანს.

როგორც იქნა გასცდა „საფრთხეს“, გაფაციცებით ყურს უგდებდა, მაგრამ მათი ჩამიჩუმი არსად ისმოდა. თამაზი გაახსენდა რუსიკოს, იგიც ასე დაეხეტება გორში ჩამოსვლისას სამიკიტნოებში.

ასეთ სიმთვრალეში ხდება ყოველგვარი ხიფათი. მოაგონდა სურათას ნათქვამი: მუხრაბატონის ვაჟს, ზურაბს, მარცხენა მკლავში გაურტყამსო თამაზისთვის ტყვია. ეს ამბავი ერთი თვის შვებულების საბაბად იკმარებს ალბათ.

ახლა ისევ დაიწყება შარშანდელი ამბები. შრამელში შემოიპარება ის არამზადა და დაიწყება რუსიკოს წამება... უკანასკნელად სურათა წამოეშველა, ძლივს გააგდეს ოთახიდან მთვრალი თამაზი.

შუკა მოთავებული არა ჰქონდა რუსიკოს, როცა აჩქარებული ფეხის ხმა და ხითხითი მოესმა.

უკან მოიხედა, გალეშილი კადეტები და გიმნაზისტები მოსდევდნენ. აუჩქარა ფეხი ქალმა. რა ეშმაკად ჩამოეხეტა სამიკიტნოების უბანში. აბა სად უნდა ეძება ის ხევსური, სასტუმროში ხომ არ დადგებოდა მეცხვარის ბიჭი? ალბათ სამიკიტნოებში ათევსო ღამეს.

ასე ფიქრობდა რუსიკო.

ახლა ნანობდა, რად ავიტეხო ეს ჭირი?

— აქამდისაც შენიშნული ჰქონდა რუსიკოს, მამაკაცები უცქერიან მას გორში, მაგრამ თვით გორელები გაცილებით უფრო დელიკატურად ექცევიან; ალბათ იციან, ამილახვრიაანთ ოჯახის ქალი რომაა რუსიკო.

ერთი კადეტი წამოეწია რუსიკოს. ძლივს მობარბაცებს, აუჩქარა ნაბიჯი ქალმა, ეშინიან, სადაცაა წამავლებსო ხელს.

„ვაჰ, ვაჰ, რა ღმერთივით გოგოა!"

ღრიალებს სახედაჩეხილი კადეტი.

წამოეწია ახმახი გიმანაზიელი, კინწიჰკრა კეფაში კადეტს.

„გაიარე. გა, მერე შენ რა, თავის პატრონისათვისაა; ყურუმსაღო".

რუსიკომ ისევ აუჩქარა ნაბიჯს. მთლად აეკრა ტალახით მოთხუნულ კედლებს.

მერმე ესმოდა რუსიკოს, თუ რა უსირცხვილოდ აქებდნენ მთვრალი ყმაწვილები მისი ფეხების სისწორეს, ძუძუ-მკერდის სისავსეს.

ვილაცამ დაიყროყინა:

„ქერაა, ბიჭო, ალბად რუსის გოგოა".

„ხელი უშვი, ზალიკო, ჩაერია ქალური წრიპინა ხმა, ვეზნაჩალნიკის ცოვიანოვის ქალი არ იყოს, თამაზ ამილახვარი ძვირად დაგისვამს მაგ საქმეს, ტფილისში გვიამბობდა, ბევრი ვსრისეო გორის ციხეში".

„აფსუს, რახრახებდა ბოხი ხმა. თამაზის წინაპრები თურქებისგან იცავდნენ გორის ციხეს. თამაზი კი რუსის გომბიოების სრესით ტრაბახობს".

„რას მიჰქარავთ, ვირიშვილებო, რომელი რუსიო, ეს ქალი ამილახვრიაანთ ნაშვილებია, თუმცა კარგად არ ვიცი ნაშვილებია, თუ ბუში, გენერლის ბუში!"

„ჰე, ჰე, ჰე!"

„გენერლის ბუში არ ვიცი როგორი იქნება, მაგრამ ეპისკოპოსის ბუში კი ხოშიანად ვსრისე გორში".

ტრაბახობს კუზიანი გიმნაზიელი.

„შენ, ე, ბრუტსაბძელო, აქ ტფილისი ხომ არ გგონია? გორია, შვილოსან, გორი, ჭკვით იყავი".

სთქვა ახმახმა კადეტმა, ფერდში მჯიღი ჰკრა კუზიანს, ტანაჯორივით დაატრიალა და ფილაქნიდან ყირამალა გადააგდო ტალახში.

რუსიკომ ცალი თვალით დაინახა, თუ როგორ ამოფორთხდა კუზიანი ლაფიდან. კინაღამ გაეცინა, მაგრამ თავი შეიკავა და მხარმარჯვნისკენ გადაუხვია. კუთხეში ორი ეტლი მოდიოდა.

მეეტლეო, იყვირეს მთვრალებმა მდულარეში ჩავარდნილივით, შვიდი კაცი ორ ეტლში ჩახტა. რუსიკომ ამოიოხრა და მიჰყვა განიერ ქუჩასა.

წამლის სუნი ეცა. აფთიაქის დანახვაზე საავადმყოფო მოაგონდა. ახალმა აზრმა იელვა: შესაძლოა საავადმყოფოს მახლობლად ჩალიჩობდესო ის ხევსური სადმე?

ჭიშკარი დაგმანული დაუხვდა. მოხუცი მეფარნე ადიოდა კიბეზე. გამობრუნდა შუკიდან რუსიკო, ისევ პროსპექტზე გამოვიდა. გორისჯვრიდან ზარების წკრიალი მოდიოდა, მოსახვევიდან ჟრიამული მოისმა, უცაბედი, მიიხედა რუსიკომ: ბრბო მოდიოდა დიდი ღრიანცელითა და ზეიმით; დათვის ბელი მოჰყავდა კაცს, წითელი ბლუზა ეცვა, შავი წვერი ქამრამდის სცემდა.

შავწვერიანი რუსიკოსთვის გაუგებარ ენაზე ჯღაოდა, ტუქსავდა დათვს, ფეხშიშველა გოგონა დაირას უკრავდა და მღეროდა.

რუსიკო დააკვირდა ბელს, იგიც თაფლისფერი იყო, სუფთა თაფლისფერი, ზედმიწევნით მიაგავდა თამაზის ბელს.

„ფული რომ მქონდეს, ფიქრობდა რუსიკო, ახლავე შევისყიდიო ამ ბელს, იქვე დავაბამდი, სადაც თამაზისეული ება, ჯერ კიდევ გუშინწინ.

უცილოდ თავიდან აიცდენდა მოსალოდნელ სიმძიმილს.

იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერავისზე შეჩერდა, ვინ გაიმეტებდა ამდენ ფულს მისთვის?

ისევ შეიცნო რუსიკომ თავისი სრული მარტოობა ამქვეყანაზე.

როგორი ბედნიერებაა, როცა ადამიანს დედა გყავს, მამა, ძმა, ან ნათესავი! გული აუჩქროლდა, თითქოს პირველად გაიგო, რომ ამქვეყანაზე მას არავინ გააჩნდა ნათესავი და ქომაგი.

ამ ფიქრში იყო გართული ცისფერმა თვალებმა გაიელვეს ბრბოში. შეაბრუნა მზერა. ამ თვალების პატრონი სწორედ ისეთი მაღალი იყო, როგორც დათვისმკვლელი, მასავით ქერა, მასავით პრტყელბეჭიანი ტლანქი და მიხვრა-მოხვრაში ოდნავ ახმახი. ოღონდ ეს იყო, თაგვისფერი ბლუზა ეცვა მას იდაყვებთან გამოხეული.

კიდევ შეხედა რუსიკომ.

ისევდაისევ.

ცისფერთვალებას გვერდით ტანმორჩილი ყმაწვილი მოდიოდა, შავგვრემანი, თეთრბლუზიანი, ახლა მას დააკვირდა რუსიკო, მას მარცხენა ყურთან ხალი ჰქონდა.

ჯუღაანთ სოსო შეიცნო ქალმა.

ხალიანმა არცკი შემოჰხედა მას, მხოლოდ ცისფერთვალება მიხვდა: მას უცქეროდნენ.

ეუცხოვა რუსიკოს, ეს დახეული ბლუზა რად აცვიაო ფარხმალიანსა და ჩოხიან ხევსურს.

თუშური ქუდი ეხურა. ტოტებდაკრეცილი, ლაფშიამოსვრილი შარვალი ეცვა გაგა არაბულს. ქალის დანახვაზე თავის ვერცხლის ქამარი გაახსენდა.

ეს გაიფიქრა: მოდი და გამოვკითხავ, ეგებ მას ენახოსო ჩემი ქამარი?

თვალი აარიდა რუსიკომ ორივეს, ყურის ბიბილოები გაუწითლდა. ეს კი გაიგონა, ცისფერთვალებამ რაც უთხრა სოსოს:

ამ ქალს ჩემი ქამარის ამბავი უნდა ვკითხო სოსო, შენ მიხასას წადი. მე მანდ მოვალო ახლავე.

რუსიკომ გაიგონა ხევსურულად მოქცევა სიტყვისა, დარწმუნდა, ეს უნდა ყოფილიყო დათვისმკვლელი. მაგრამ მორცხვობამ იძალა და მხარმარჯვნისკენ გადაუხვია.

გაგა არაბული ბრბოს გამოეყო და კვალდაკვალ მისდია რუსიკოს.

ცოტახანს ორივენი მარტოკა მიდიოდნენ ცარიელ შუკაში. ერთიმეორეს ფეხისხმა ესმოდათ, ბოლოს გამბედაობა მოიკრიფა გაგამ, წამოეწია, ფილაქნიდან ჩამოვიდა და მოკრძალებულად შეეკითხა ქალს:

„უკაცრავად, ქალავ, ჩემი ქამარი ხომ არ გინახავთ იმ დღეს?"

რუსიკო შეაკრთო რატომღაც მისმა ხმამ.

თავი აიღო.

შეხედა.

საბრალოდ ეჩვენა ბლუზაშემოხეული ხევსური, რომელიც ჯერ კიდევ ამ ორი დღის წინათ საშუალო საუკუნის რაინდს მიაგავდა, გმირულ რომანებში აღწერილს.

„თქვენი ქამარი? სად დაგრჩათ მერმე?"

„ი ტიალი დათვი რომ შემომაკვდა, იმ დღეს დავკარგე, თქვენ მანდ დარჩით, როცა მე წამავედი და იმადაც გეკითხებით".

გაგამ გაიხარა, როცა გაიგო, მისი ქამარი საიმედო ხელში ყოფილა. ბოდიშობდა, პაპაჩემის ნაჩუქარია, ამიტომაც შეგაწუხეთო".

„როგორაა პაპა თქვენი?"

ეკითხება ქალი.

„გამომჯობინდა, ხვალ-ზეგ წავა ცხვორში".

„მაშ ტყუილ-უბრალოდ მოგიკლავთ თამაზის დათვი?"

„დათვი უნდა მომეკლა, აბა რა უნდა კაცთა შორის ტყიურს? სულერთია ვინმეს დასჭამდა უარესად".

„იცით, მე უნდა მენახეთ თქვენ, იმიტომაც გაშოვედი ქუჩაში".

„რაო, ჩემი ნახვაც თუ მონატრებია ვისმეს".

„მონატრებისა რა მოგახსენოთ და მე მინდოდა გამეფრთხილებინეთ როგორმე".

„გაგეფრთხილებინეთ, ბიჭოს!"

„იმ ბელის პატრონი თამაზ ამილახვარი ჩამოდის დღესხვალ და.."

„თქვენი ძმაა?".

„ჩემი ძმაო? მე სადა მყავს ძმაი."

„განა თქვენი ძმა არაა ამილახვრიანთ თამაზი?"

რუსიკომ უარის ნიშნად გაიქნია თავი.

„მაშ თქვენ ძმა არა გყავთ?"

„არა."

„დედაი"

„არც ეგ"

„მამაი?"

„არც მამა"

„ნუთუ არავინა გყავთ მახლობელი?"

„არავინ"

???

„საბრალო ქალავ".

ქალმა გაიცინა, ეუცხოვა, რომ მას იბრალებდა ეს ჩამოხეული, ბედშავი ხევსურის ბიჭი:

„თქვენ ვინ გითხრათ ჩემი ძმა იყოს თითქოს თამაზი?“

„ცოქალამ, ჩემმა დედობილმა.“

„არა, თამაზი ჩემი ძმა არაა, მე ამილახვრიაანთ გაზრდილი ვარ მხოლოდ.“

„მაშ ვინ იყო შენი დედ-მამა“.

„აღარც ეს ვიცი“.

„მებრალებით“.

რუსიკოს არ ეამა მეორეჯერ ამ სიტყვის გაგონება, ნაძალადევად გაიღიმა და ეუბნება:

„მე კიდევ თქვენ მებრალებით“.

„ვაჟკაცის შებრალება არ იქნების“.

ქალი დადუმდა და გაგას შეეკითხა:

„რად გებრალებით მაინც?“

„თქვენ ნუ ხუმრობთ, დღესხვალ თამაზი ჩამოვა, თუ როგორმე გაიგო, რომ თქვენ მოჰკალით მისი საყვარელი ბელი, იცოდეთ, ვერ გადაურჩებით“.

გაგამ გაიცინა და დადუმდა.

„არა, მე არ გეხუმრებით,“

„არა, ნუ შემიბრალებთ, თუ გნებავთ, უთხარით, რომ მაჰკალი მისი ბელი“.

„მე ამას არ ვეტყვი, მაგრამ შეიძლება სხვა მხრიდან გაიგოს და მაშინ? არა, მე გირჩევთ წაყვეთ პაპათქვენს ცხვარში“.

„ცხვორშიო? ცხვორში რაი მინდა?“

„განა თქვენ მეცხვარე არა ხართ?“

„მე მცხორე ვიყავი წინათ“...

„მაშ?...“

„მოსწავლე ვარ“.

რუსიკომ გაიცინა.

„განა სასაცილოა, რომ ხევსურიც სწავლობს?“

„არა, ვინა სთქვა ეგ? მე მიამა მხოლოდ“.

რუსიკომ მხარმარჯვნისკენ გაუხვია.

„თქვენ დარდი ნუ გაქვთ. ქადილი ჯერ ადრეა მაინც... თამაზ ამილახვარი ჩვენთან ვერას გახდება. აქამდეს უნდა გაგვებერტყა მაგ...?“

„რადაო?“

„მაგან შარშანწინ ბელი მიუსია ჩემს ნაძმობს, ჯუღაანთ სოსოსა, მე თუ გადამირჩა, სოსო გაბერტყავს მას“.

„სოსო ჯუღაშვილი? მაგ ხომ თამაზზე უმცროსია ბევრად?“

„უფროსობაზე არ იყოს. პაპიჩემის მამა უფლისაი 80 წლისაა, მაშინ იგი იქნებოდა სარდათის კრივში პირველი“.

ვიღაც კოკორდოსანმა გაირბინა, სალამი მისცა რუსიკოს. თავი აიღო ქალმა. ფოსტის უფროსი იცნო, რუსიკო მისი მზერაში ამოიკითხა: „ამილახვრიაანთ ოჯახის ქალი და სალამოსჟამს ვაჟთან სეირნობა?“. მიუხედავად ამისა რუსიკოს სიამოვნებას ჰგვრიდა ცისფერთვალება ხევსურთან სვლა.

ქუჩის დასასრულში გოჩიციხე მოსჩანდა. მთვარის შუქზე მას კვლავ მოეხვეჭა თავისი სიდიადე და სიამაყე. ციხის გადაღმა ვარსკვლავებით მოჭედილი

ცარგვალი ელავდა, რუსიკოს უნდოდა ამ წუთში ქვეყნის კიდემდის ეარნა ცისფერთვალება ხევსურის გვერდით. იგი ისეთი ძლიერი და ამაყი სჩანდა, როგორც ეს ციხე და რა თქმა უნდა მას სასაცილოდ მიაჩნდა ვილაც თამაზ ამილახვრის წინაშე შიში.

ისევ გაჩნდნენ ქუჩაზე მთვრალები. რომელიღაც სამეკიტნოდან სამი ჩოხიანი და ხუთი კოკარდიანი ვაჟკაცი ამობარბაცდა. ისინი გორისციხეზე გადმოსულ მთვარეს შესცქეროდნენ და ხმაჩახლეჩილნი მღეროდნენ მრავალჟამიერს.

უფრო მეტი, რუსიკოს ეს უნდოდა. თან წამოყოლოდა მას ეს ხევსური, რადგან იცოდა, ამაღამ თამაზი ჩამოვიდოდა და დაიწყებოდა რუსიკოს წამება. ამას ფიქრობდა რუსიკო; მიუხედავად ამისა, გაგას მიუბრუნდა და ეს უთხრა:

„ალბათ, თქვენი ნაძმობი გიცდით, მოდი, დაბრუნდით“.

„თქვენ მარტოკა გაგიშვა? ვერა ხედავთ, რამდენი მთვრალი კაცი დაეღეტება ქუჩებში?“

ტანწერწეტა ჩოხიანი დაწინაურდა, ქორული მზერით ჩაჰხედა რუსიკოს, მერმე ღიმილით გადახედა მის კავალერს და ჩაიღიღინა.

მხარმარჯვნივ მოუარეს ციხეს, რუსიკომ ამილახვრიაანთ სასახლეს გადახედა. კიაფობდნენ ცეცხლები. მატარებელი მოსულა, ალბათ ამაღამდელ ღამეს მოჰქონდა უცნაური ძროწლა.

უსიტყვოდ მისდევდა გაგა არაბული ქალს და ასე ფიქრობდა: ნეტავ შემეძლოს ამ ქალთან ვიარო დილამდის.

იცოდა გაგამ, იმ ალვის ხეებთან ამილახვრიაანთ სასახლე იყო და იქ უნდა გაჰყროდა რუსიკოს, მერმე ეს ბნელი გზა უნდა გამოეარნა მარტო.

მცირე ხანს მდუმარედ მიჰყვებოდნენ ორივენი ბილიკს.

მერმე ასეთი რამე უთხრა რუსიკოს ხევსურმა.

„რად მოგიწყენია, ქალავ?“

„აბა სასიხარულო რაღაა ამქვეყნად?“

„ჩემი ნაძმობი სოსო ასე ამბობს: სასიხარულო უნდა გავხადოთო ცხოვრება“.

„ვინ ასწავლა მას ეს ამბავი?“

„ვინ ასწავლა? იგი თავად ასწავლის სხვას, სოსოი ასე უბნობს, უნდა გადავაკეთოთო ცხოვრება. თუ ვარსკვლავებს უხარიათ ცაზე, თუ ყვავილები ახარებენ მიწას, ადამიანმა რად არ უნდა გაიხაროსო? თუ კაცმა მოინდომა, სიხარულს მოიყვანსო თავათ“.

„რა გულუბრყვილო აზრია. განა ჩვენ ხელთაა სიხარული?“

„იგი ასე ამბობს, ცხოვრება ჩვენ უნდა გავხადოთო სასიხარულო. რა ახარებს მაშ ცაზე ვარსკვლავებს, ტყეში ფრინველებს, ან ყვავილებს რა ახარებთო მიწაზე?

„რა და მზე“.

„სოსოი ასე უბნობს, ჩვენ უნდა მოვიყვანოთო მზე“.

„თუ ბნელია?“

„ჩვენ უნდა გავხდეთ სინათლის სათავე“.

რუსიკო გაოცდა.. შესდგა და შემდეგ ამისა ეკითხება გაგას:

„ღმერთი თუ სწამს შენ ნაძმობს?“

„არა, ეგ ასე უბნობს: გვატყუებენო ხუცები“.

მთვარემ ცალი თვალი დაადგა გორის ციხეს. ჩაბნელებულ გოდოლებში ჩაჭრილიყო ჩქერალი ნათლისა და სიჩუმე დავანებულიყო მუნ. მდუმარედ ჩაუარეს ციხეს და ალვის ხეებთან ღამე ნებისა უთხრა ორმა ლანდმა ერთმანეთს.

გაგა არაბული შესდგა. თავისი ქამარი გაახსენდა, მაგრამ ეუხერხულა — შეეხსენებინა ქალისათვის ქამარი, რადგან იგი ვერცხლისა იყო. სამიოდე ნაბიჯი გადადგა არაბულმა. რუსიკო გამობრუნდა და ეუბნება ჩურჩულით: „მოიცადეთ, ამ წუთში გამოგიტანთ თქვენს ქამარს.“

როცა ქალმა შეაჩეჩა ხელში, მან წელზე შემოირტყა პაპისეული ქამარი და. წუთში იგი მზად იყო, მთელს ქვეყანას შებმოდა, რადგან მთვარე მაღლა იდვა განშორებული ქალის ეშხი გულზე მოსდებოდა და სიჭაბუკე სდუღდა ყმაწვილურ იოგებში.

კალე ბოგოლიძე

განახლებული ოსიაური

მიჩხრიალებდა ხევში მდინარე
და აღვიძებდა სოფელს ხმაურით,
გაბრწყინვებული და შუქმფინარე
მოჩანდა მთები ოსიაურის.
და სურამელა ლაჟვარდისფერი
ბაღნარს რწყავდა და ვარდი ნაზობდა;
ველის მაღლობზე ღელავდა ქერი
და იტაცებდა თვალს მინაზოდა.
სევდით მოსილი ციხე-ყაზარმა
თავს დაჰყურებდა სოფელს ხავსებით,
ხშირი ყანებით ჩანდა აზარმა,
ზეციერ ნამით ნაალმასები.
ტკბილად ისმოდა ჰიმნი ახალი
„კლდის წყაროს“ ნადი უმღერდა ბელადს
და გაშლილიყო შაქრის ჭარხალი
შავი ზღვის მღელვარ ტალღების ფერაღ.
ცაცხვების ტყეში იდგა სურნელი
ყანაში ფოჩი გაშლოდა სიმინდს;
მთებიდან სიო ჰქროდა სულ ნელი
და ტკბილად ეღერდა ჩონგურის სიმი.
ნადის სუფრული ისმოდა შორსა,
ხალხს ახარებდა სოფლის მზრუნველი
და ფრიალებდა სტალინის დროშა,
დაუცხრომელი წინსვლის მსურველი!..

სამშობლოს

აისი გავდა ანთებულ კოცონს.
ქიმები ცამდე მთებს აეზიდა,
ცელქი ზეფირი ყანებს კოცნიდა
და მცენარეებს ცვარნამი ზრდიდა.
ველებს გაკვროდა პირველი ღიმი,
წინათ რომ ჰგავდა მწუხრიან დუმილს;

ვიგრძენ ცხოველი შუქთა ციმციმი
და სიხარული ყმაწვილურ გულის.
რა კარგი იყო და სანეტარო
ზეცის ციალთან შეხვედრა დილით,
ქვეყანავ ჩემო, რას შეგადარო,
ხარ სანუკვარი და სულზეტკბილი!
მარად მახარებს ბუნება შენი,
შენგან მიგრძვნია შვება მრავალი,
გულს მიხალისებს, ოცნებას შვენის
მზე ოქროსავით ამომავალი.
ჩემო ქვეყანავ, შენზე მღერიან,
ოცნების ტევრიც შრიალებს შვებით,
გაშლილხარ, ყელი მოგიღერია,
შენთვის ცეცხლშიაც გადავეშვები!

იოსებ მჯედლიშვილი

პირველი ყეენობა

ისტორიული ამბავი

გიორგი სააკაძემ ყორჩიხანი დაამარცხა, შეიპყრო იგი და ხალხს გადასცა მასხარად ასაგდებად. ხალხმა აქლემზე უკუღმა შესვა ყორჩი-ხანი და ისე ჩამოატარა ჯერ ტფილისში, შემდეგ სოფლებში, რის შემდეგაც მოკლულ იქმნა.

ამდროს ქართველების ერთერთი რაზმი სოფელ მარტყოფში იმყოფებოდა. მტრის დაქსაქსული ჯარის ნაწილებთან ბრძოლაში დაქანცული მეომრები ისვენებდნენ მარტყოფელ გლეხებთან. ათას სახუმარო რამეს ლაპარაკობდნენ და ერთობოდნენ.

— ბიჭებო, ყელი მქავა, ყელი! — წამოიძახა ერთმა ჯმუხმა რაზმელმა.

— რადა? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— ღოკი ხომ არ გაგიჩნდა? — დაუმატეს ზოგიერთებმა.

— ღოკი გამიჩნდა, მაშ! გაცინება მომარჩენს, — დაასკვნა ჯმუხმა და თან დაიღრიჯა:

— გამაცინეთ, თქვე პირძაღლებო!

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გაიცინეს რაზმელებმა ერთხმად.

— რას იცინით? — განრისხდა ჯმუხი, — ყელი საცინლად მე მქავა და თქვენ იცინით?

—ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — უფრო ძალიან გადიხარხარა მთელმა რაზმა.

— ბიჭოს! კაი სასაცილო გავუხდი ამათ! რა მრჯიდა, ჩემთვისა ვგდებულიყავ! — სთქვა გამწყრალმა ჯმუხმა და ბრაზიანად დაუყვირა მოცინართ:

— გაჩუმდით!..

რაზმმა უფრო ძალიან გადიხარხარა. ჯმუხიც უფრო მეტად გაბრაზდა და კიდევ დაუყვირა:

— გაჩუმდით!

მთელი რაზმი უეცრად გაჩუმდა, მოიქუშა და გაიკმინდა.

წამოდგა რაზმელი ყიასა და მიუგდო საყვედური ჯმუხს:

— ხომ გავჩუმდით. დადექი ახლა და სულ შენ იცინე მარტომ.

ჯმუხმა უეცრად გადიხარხარა. ამაზე აქეთ-იქიდან მიაძახეს:

— გიჟია და იცინის, გიჟია და იცინის!

ჯმუხი მაინც განაგრძნობდა სიცილს. შემდეგ სხვებიც აჰყვნენ და მთელი რაზმი ისევ არახრახდა ჯმუხთან ერთად. მაგრამ უეცრად სუყველანი გაჩუმდნენ; ჯმუხი კი ისევ განაგრძნობდა სიცილს.

— ნეტა ვიცოდე, რაზე გეცინება? — უთხრეს ჯმუხს.

ჯმუხი შეჩერდა და აუხსნა:

— გავიცინო კია და რაზედაც უნდა იყოს. სიცილი მამშივდა. მამწყინდა ამდენი ბრძოლა, სისხლისღვრა, კვნესა და ტირილი. მითამ რა იქნება ახლა მაინც გავიცინო? ღმერთი გვიწყენს?

— ყორჩი-ხანს ეწყინება! — წამოიძახა ყიასამ.

— უჰ, მე იმისი საფლავი...ვთქვა?

— ნუ იტყვი. მკვდრეთით არ ადგეს.

— თუნდ ადგეს და თუნდ დაწვეს, ოღონდ ერთი გულიანად გამაცინეთ, თქვე პირშავებო!

— ბიჭოს! ესეც მეორე ყორჩიხანი გაგვიხდა?! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან რაზმელებმა.

— გაცინებასა გვთხოვ ხარკად? — დაუმატეს სხვებმა.

— დიდი ხარკი კი იქნება თქვენმა მზემ!

— თუ გაცინება გინდათ, ყორჩი-ხანი გავაკეთოთ, ბიჭებო! — წამოიყვირა ერთმა რაზმელმა.

— რისა გავაკეთოთ? — იკითხა მეორემ.

— თივის ბულულისა — უთხრეს ზოგიერთებმა.

— მერე, თქვე კუდიმალებო, თივის ბულულს უნდა ეომოთ?

— ვაჟკაც! ვინმე გავაკეთოთ ყორჩიხანად. — სთქვა ყიასამ.

— ვინ გავაკეთოთ, ბიჭებო?

— მოვძებნოთ.

დაუწყეს ძებნა თუ ვინ გაეყორჩიხანებინათ.

— ვის ეძებთ ბიჭებო? — იკითხა ხუმრობით ვიღაცამ.

— ყორჩი-ხანს.

— დათვს თავის მახრჩობელა პანტა უყვარდაო, ნათქვამია: ყორჩი-ხანი ძლივს ჩავაძალეთ და თქვენ ისევ იმას ეძებთ?

— უნდა ვიხუმროთ, ვეტრან!

— დალუპეთ იქითა! ის ხუმრობითაც საზიზღარი იყო და სიმართლითაც — სთქვა ყაყიტამ.

— ჰოო, და აი სწორედ მაგიტომ შენ გამოსდგები ყორჩიხანად.

— რას ამბობთ, კაცო, მე რა შუა ვარ!

— შუაში ხარ თუ ნაპირზე, ჩვენ არ ვიცით. ხუმრობა გვინდა — მორჩა და გათავდა! უნდა ვიცინოთ. აბა მოვრთოთ ბიჭებო. შავკაზმოთ! — სთქვეს და წაეხვივნენ ყაყიტას:

— ყაყიტავ, ყორჩი-ხანობა მოგვილოცია! — ყვიროდნენ ყოველმხრიდან და იდგა ერთი ხარხარი, აურზაური და ყაყანი:

— ცხვირი რისა გავუკეთოთ?

— წიწაკისა. წიწაკისა.

— ჭუდი?

— ბალღოჯის ჭერქი დაახვიეთ ხოკრად, თავი ყინუარშაქარივით წაუმწვეტეთ და დავხუროთ...

— რას ამბობ, კაცო! მართლა რომ ყინუარშაქარი ეგონოს, ხომ წაიჭამა თავი.

— ულვაში რისა გავუკეთოთ?
— ლორის ჯაგრისა.
— წვერები?
— თხისა.
— რაზე შევსვათ?
— კუდმოწყვეტილ სახედარზე.
— ტუჩები რისა გავუკეთოთ?
— ბაყ-ბაყ დევისა.
— უჰ, ეგ რა სთქვით! სად შეგვიძლიან დევის შოვნა.
— რად გინდათ დევის შოვნა: ქიზიყელი ბიჭი მოიყვათ, ლაშიანს რომ ვეძახით, იმისი ტუჩები გავუკეთოთ.
— დავიჭიროთ!
იხუვლა ყველამ ქიზიყელი ბიჭისკენ სიცილ-ხარხარით.
— რას სჩადით, კაცო! ტუჩები რომ წამართვათ, ჩემ ცოლს რიღათი ვაკოცო? გამიშვით, არა სჯობია მუტრუკის ტუჩები გაუკეთოთ?
— მაშ თითონ ყაყიტა შავკაზმოთ, მუტრუკის ტუჩები აქვს.
— რაღა მე მამადექით, თქვე სალავათძაღლებო. მართლა ყორჩი-ხანი არ გეგონოთ!
— ყორჩი-ხანი ხარ — მორჩა და გათავდა! წავიღოთ ბიჭებო!
ივრიალეს რაზმელებმა, აიტაცეს ხელში უზარმაზარი ტანის ქიზიყელი და წაიღეს.
— სად წაიღეს? — იკითხა ერთმა მოხუცმა.
— რას გაიგებ პაპავ? ახალგაზრდების ამბავი არ იცი? იხუმრებენ რასმე. შაიძლება ადამიანისგან მართლა მუტრუკიც გააკეთონ.
ჯმუხმა მიიხედ-მოიხედა და, მხიარული სახეები რომ დაინახა, წარმოსთქვა:
— მგონი ცოტა გავმხიარულდი, არა, ბიჭებო?
— ჰოო, მაშ! პირისახე ნაცრით გახეხილ თუშფალანგს მიგიგავს. — უთხრა ყიასამ.
— მე რას დამცინი შე მამაცხონებულო, თითონ შაშინებულ ჯაფარასა ჰგეხარ. — თანაც ლექსი მიარტყა:

ნაომარ კატასავითა
დაგიჩხეტია თვალები,
ასე გონია გემართოს
მთელი ამ ქვეყნის ვალები.

ყიასაც ლექსით გაჯავრდა:

გაჩუმდი, თორემ დაგმართებ
საქმესა შესაბრალებსა:
ყურში ჩაგავლებ მაგრა ხელს,
შემოგატარებ ჭალებსა.

ჯმუხმა უპასუხა:

—ეჰ, გატენილი ჰყოფილხარ
ჭკუის დოვლათით, განძეთა!

თვითონაც ჩემთან არ ივლი?
რა ფეხებს მომჭამ მაგითა?!

შაირებმა მათ გარშემო შემოკრიბა ხალხი. უსმენდნენ და გულიანათ იცინოდნენ.

— გწყალობდეთ ყორჩიხან!

— გაგვაცინეთ! გაგვაცინეთ! — იძახდნენ აქეთ-იქიდან.

ყიასამ წაიგრძელა კისერი და ამოთქვა შაირი:

—ოცდახუთსა ისპირელსა
ერთი ტურა შეეყარა,
მანამ ტურას გაიცნობდნენ,
სული ხორცსა გეეყარა.
ხუთი მოკვდა, ხუთი დარჩა,
თხუთმეტს გულს შემოყარა.

ჯმუხმა განუმარტა:

—ხონელმა სთქვა:„ დავსწრებოდი,
სანთელივით გავქრებოდი,
სააქაოს-საიქიოს
მოსაძებნი გავხდებოდი.

უცბად გამოხტა ვილაც რაზმელი და იმან შემდეგი განმარტა:

—ჭარელმა სთქვა:„ დავსწრებოდი,
გუთნის კვალში ჩავწვებოდი,
თავზე მიწას წავიყრიდი,
თაგვის სოროს შავძვრებოდი.“

ამათ კიდევ ხხვა გამოეკამათა:

—ქართლელმა სთქვა:„ დავსწრებოდი,
ვაჟკაცურად დავხვდებოდი:
წავიდოდა — წავყვებოდი,
ცხრა მთას იქით გავყვებოდი,
ან მომკლავდა, ან მოვკლავდი,
ან სოროში ჩავყვებოდი.“

— ტურას? — ჰკითხეს სიცილით.

— ფუჰ, თქვენი ქოქი არ იყოს! რამდენსა ტრაბახობთ ტურაზე! — წამოსტყვრა ვილაცა.

— ყორჩაღ, ქართლელო!

— ტურას!

— ხმალი რომ გაგიტყდეს? მაინც ჩაჰყვებოდი სოროში?

იცინოდნენ აქეთ-იქედან.

ამდროს დაინახეს ხალხის ხროვა, მოესმათ ზურნის ხმა, სხვადასხვა შეძახილები და ყველანი წამოცვივდნენ ზეზე.

— ბიჭებო! ყორჩიხანი ამდგარა ჭკვდრეთით! აგე!

— ყეენი! ყეენი! ყორჩიხანი!
— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!
— რა სასაცილოა!
— შენ კი გენაცვალე მაგ ყვიციან ყანყრატოში. ხა-ხა-ხა-ხა!... რა გულიანად გამაცინე!.. ტყვეებიც რომ მოუდის წინა?..
წინ მონები შემოვიდნენ კვნესით:
„მონები ვართ, მონები,
შემურულნი შავადა,
შაჰს მივყევართ ირანში
ცეცხლზე შესაწვავადა.
გვიშველე, გიორგი
სააკაძე, მოვედინ ჩვენდა!“
და ისევ აკვნესდნენ;
—დაგვაშორეს სახლ-კარსა,
გაგვიწყვიტეს შვილები,
დაგვინგრიეს ქვეყანა,
ვკვნესით სულსგაყრილები.
—სააკაძე გვიშველე!
—გვიშველე!
მონები და ტყვეები კვლავ განაგრძნობდნენ:
—ცეცხლის ნაძოვნი მინდორი
ამწვანდებაღა როდისმე?
ბედო, გვაღირსე ნუგეში,
უნუგეშონი მოგისმენთ.
—მხსნელო, მოგვხედე.
— სააკაძევ, სადა ხარ? გვიშველე!
ამდროს შემობრძანდა ხალხში ვირზე უკულმაშესმული ყეენი. ვირის კუდი ხელში ეჭირა.
—გაჩუმდით! — დაუყვირა მონებს განრისხებულმა ყეენმა და ვირის კუდს უფრო მაღლა ასწია.
აქეთ-იქიდან მიაძახეს ყეენს:
—კაცო, კაცო ცხენიანო,
რატო არა გრცხვენიანო.
—ირანის შაჰი
ყვიციანია და მაიმახი.
—ყორჩიხანი ამდგარა.
ვირის კუდქვეშ შემძვრალა.
შაჰი განრისხდა:
— ჰე-ჰეიტ! — დააბღვრიალა თვალები. რაზმელებმა კი გადიხარხარეს;
— მაგ შენს აქლემს გააქვს ხენეშა,
ცხვირი წაჰკარ კუდის ქვეშა.
ყეენი უფრო განრისხდა და შეჰყვირა:
— ჩუმათ!
— ყორჩი-ხან, ჰუ-ჰუი! — უყივლეს რაზმელებმა.

ყორჩი-ხანი ისე გაბრაზდა, კინალამ ვირს კუდი ააგლიჯა, ამის გამო ვირმა ტლინკები ყარა, მაგრამ ვერ გადმოაგდო. მან კიდევ დასჭყივლა ხალხს, რომელიც ხარხარებდა და დასცინოდა:

— ჩუმადა-ბეთჭი! ყორჩი-ხანი გიბრძანებსთ!

ყველანი უეცრად გაჩუმდნენ, როგორც მორჩილნი. ყორჩიხანმა სიამაყის ნერწყვი მაგრად ჩაყლაპა და წელში გასწორდა. გათამამებულს უნდოდა რაღაც ბრძანება გაეცა, მაგრამ უეცრად ყველამ ისევ გადიხარხარა.

— სუთ! — დაიჭექა კიდევ ყეენმა.

ხალხი ისევ გაჩუმდა და ყეენმა წარმოსთქვა ყეენისებურად:

ყეენი რომ წამოვიდა,
მთა და ბარი გადმოლახა,
ქალაქში რომ ჩამოვიდა,
ნაომარი ვერა ნახა,
ხიდს ასწია ავლაბრისას,
შუა მტკვარში გადუძახა,
ყმაწვილების კალო ლეწა,
ოროველა შემოსძახა.

თქვენ დაგავიწყდათ, რომ სამასი ლამაზი ქალწულია საჭირო ირანის შაჰინშასათვის? — დააბოლოვა ყეენმა.

ამ დროს გამოხტა რაზმიდან ახალგაზრდა ყმაწვილი და უთხრა:

— ი, შე ფეთხუმო შენა, ლამაზი გოგო მეგულებოდეს სადმე და შენ გაგატანო?

— როგორ მიბედავ! — განრისხდა ყეენი.

— მუჰტა ქვა მაიბი, ნიავია არ წაგიღოს

ყეენმა იწყინა. დინჯი შემოირტყა და გადასძახა ხალხს ვირზე გადაჩაჩხულმა:

— ჰეი! ადექით ფეხზე და წელში ცხრად მოიკაკვენით შაჰის წინაშე, ირანის მონებო!

— პა-პა-პა-პა-პა! რა გაცხარება სცოდნია მაიმუნისავით, ბიჭებო! — სთქვა ჯმუხმა და დევსავით გადიხარხარა. შემდეგ მიჰმართა ყეენს:

— დაჰბერებულხარ, ყმაწვილო,
დაუჩირჩნიხარ ჭიასა,
სადაც შენ დაიმარხები,
ნეტა იმ ეკლესიასა.

— ეკლესიაში რა მინდა! — დიაყვირა ყეენმა.

— სანაგვეზე! სანაგვეზე! — იგრიალეს რაზმელებმა.

შეშინებულმა ყეენმა მიჰმართა თავის გმირებს:

— ჩემო მომხრე გზირებო!
ოჰ, თქვე ღორის შვილებო!
რატო აღარას მშველით,
სახედრებო, ვირებო?

ჯმუხმა უპასუხა:

— ეგენი რას გიშველიან,
ვირის კუდებრ დახრილანო,
თუ შარვალსაც გაუსინჯავთ,
მგონი კიდეც გასვრილანო.

ყეენი გაცხარდა:

მე შაირი არ მინდოდა,
მათქმევინე ძალადაო,
ძაღლის ბეწვი მოგაძოვე
ოცდაათი კალათაო.

ჯმუხმა უპასუხა:

— ყეენო, ეგ ერთი გითქვამს,
მეტი აღარ წამოგცდესო,
თორემ იმდენ ნეხვს შეგაჭმევ,
თოკი ვეღარ შემოგწვდესო.

ყეენი უფრო გამწარდა:

— არაფერი არ გამოდის
შენი ლაპარაკიდანო.
შენისთანა მოშაირეს
ვაწკეპლინებ...

— ჩამოაგდეთ ბელაურიდან ეგ ტაკიმასხარა — იყვირა ჯმუხმა და ეცა ყეენს. ასტყდა აურ-ზაური. მონებმა დაწყვიტეს თოკები, გათავისუფლდნენ და გაისმა ყვირილი:

— ჩამოვაგდოთ!
— განით, ახლოს არ მომეკაროთ! ყეენი ვარ, ყეენი!
— ჰოპრუწუწუ ყორჩიხანს!
— ყეენო, დავიჭიდნეთ, თუ კაი ბიჭი ხარ! — უთხრა ჯმუხმა.
— ქართული ჭიდაობა არ ვიცი.
— თათრულად დავიჭიდნეთ.
— არც თათრულად ვიცი.
— აქლემურად.

ყეენი მოთმინებიდან გამოვიდა და დაუბრიალა თვალები აჯანყებულებს:

— თქვენ დაგავიწყდათ ყეენის ოინები?

„ხიდს ასწია ავლაბრისას,
შუა მტკვარში ჩაუძახა“...

— არ დაგვავიწყდა და იმიტომაც გადაგიძახებთ მტკვარში.

დაიყვირა ჯმუხმა და მოუწოდა რაზმელებს:

— ავწიოთ!
— ავწიოთ! — იგრიალეს ერთხმად რაზმელებმაც.
— არა, კაცო, ისევ ისა სჯობია, ვიჭიდაოთ! — მოტყდა ყეენი.

— შენზე ხელს გავისვრით? გადავაგდოთ! — იყო პასუხები.

— გადავაგდოთ! — ყვიროდა ხალხი.

— რას სჩადით, კაცო! მე ხომ ნამდვილი ყორჩიხანი არა ვარ! — იყვირა შეშინებულმა ყეენმა.

— ჩვენ კი გადაგაგდებთ და შენ გინდა ნამდვილი იყავ, გინდა ტყუილი.

— ვხუმრობდი კაცო, ვხუმრობდი. — იძახდა ყეენი.

— ჩვენც ხუმრობით გადაგაგდებთ.

— წყალში ჩავაგდოთ! — ყვიროდა ვიღაცა თავგანწირვით, — წყალში ჩავაგდოთ ბერიკასავით. კაი მოსავალი გვექნება წელს. ავწიოთ!

მისცვივდნენ ყველანი. ასწიეს მაღლა, შეისროლეს და მერმე ძირს დაახეთქეს. მითომ წყალში ჩააგდეს.

ყეენს გაეხარდა და შვებით ამოიკვნესა:

— ეს იყო სულა?

— კიდევ გადავაგდოთ. კიდევ! — გაისმა ხმები.

— ერიჰაა! — წაილულლულა ყეენმა: — გზირებო! გავიპარნეთ, თორემ ესენი ხუმრობაში მართლა ჩაგვყრიან მდინარეში.

მერმე მოიკუნტა ყეენი, ისე მოიკუნტა, თითქოს თხილის ნაჭუჭში უნდა ჩაძვრესო და ფეხაკრებით გაიპარა.

მას მიჰყვნენ თავისი გზირები.

— გაიპარნენ, გაიპარნენ! — გაისმა დაცინვის ხმები და თან ლექსიც გააყოლეს:

— თქვენისთანა ყეენსა,
ვირზედა ვსვამთ ჩვენსა. —

ამის შემდეგ ყოველწლიურ გასართობად და წაოსული გამარჯვების მოსაგონარ თამაშად გადაიქცა ყეენობა, რასაც ყველიერში მოაწყობს ხოლმე ქართველი ხალხი.

ილია ხოშტარია

ისევ შენთან ვარ

შენ ყოველ დილით ბაღში ვარდებს მიუალერსებ.
მკერდში ჩაიკრავ ზამბახების ლამაზ თაიგულს;
ვიცი და მჯერა, რომ ჩემდამი, ნაზო არსებავ,
შენ კვლავ ატარებ წმინდა გრძნობას გულში დაფარულს.

ნუ თუ ბავშვობის საოცნებო დღენი მზიანი
აღარასოდეს ხელმეორედ ჩვენთან არ მოვა?
მაგრამ გვახარებს ჩვენი ეზოს ლურჯი იანი,
ყოველ გაზაფხულს სველ მიწიდან ისევ ამოვა.

ანკესს ვაგებდით საღამოთი რიონზე მაშინ,
რამდენი დილა სიხარულით გაგვთენებია,
ბროლისფერ თევზის შეშინებულს წკრიალა თვალში
რამდენჯერ ბავშვებს ცხელი სილა ჩაგვიბნევია.

ცხოვრების გზაზე აღტაცება დღესაც დიდია.
კარგია, დარჩი, როგორც მაშინ იყავი მორცხვი.
ეს სიყვარული კაცისათვის გზა და ხიდია,
ჩვენც შევეგებეთ ოცს გაზაფხულს მხურვალე კოცნით.

ისევ შენთან ვარ, მეგობარო, მთელი არსებით;
პატარა ბავშვი დაგოგმანობს, გულს გვიხალისებს;
ამ საამური და მჩქეფარე ნეტარ ცხოვრებით
ხელებგაშლილი შევეგებოთ მრავალ აისებს!

ლადო გალიაური

შური

დასვენების წინა დღეს ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე ერთ ოჯახს. დიასახლისი მუდამ ახალი ამბებით დატვირთული მხვდებოდა, ბევრს გვიამბობდა, გვაცინებდა, დროს ვატარებდით. კარგა ხანი აღარა ვყოფილვარ მათთან, ერთ დღეს მოვისურვე მივსულიყავი სტუმრად და შესვლის უმალ, გახარებულმა დიასახლისმა მომაძახა:

— კიდევ კარგი, რომ დროზე მოხვედი, თორემ... — სათქმელი აღარ დაამთავრა: ჩემზე ადრემისულ სტუმრებს ამბავს უამბობდა, შეეშინდა საუბარი არ გამიწყდესო და მოსალმებისთანავე განაგრძო:

— დიაღ, — ამბობდა იგი — სიკვდილმა უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს... რამდენი ცრემლი გაიყოლა, რამდენი!. გასვენების ამბავს ხომ ნუღარ მკითხავთ: 30 გვირგვინი მიუძღვებოდა წინ; ვინ არ დაესწრო გასვენებაზე, ნაცნობის ნაცნობებიც კი მოდიოდნენ. ჩემი ყურით გავიგონე: რა გვარიაო, ეკითხებოდა კარგად ჩაცმულდახურული დედაკაცი, სოლოლაკიდან ვერის სასაფლაომდე ვაივუშით მოჰყვებოდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა: ვიღაცას დაეძებდნენ მისი თვალები... დაქვრივდა ივანე, დარჩა თერთმეტი წლის გოგონა და ბევრი ფიქრები. გალეგდა, სახე დაუჭკნა, იშვიათად გამოდიოდა გარეთ, ფიქრობდა, ბევრს ფიქრობდა... ტფილისში ვეღარ მოისვენა, შვებულება აიღო, სამსახურიდან და დასასვენებლად წავიდა სოფელში (ნეტამც არ წასულიყო!).

ივანე ერთხანს წერილებს სწერდა ოჯახშიდატოვებულ დედას და ობოლ თამარს, შემდეგ წერილების წერაც შეჩერდა; მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ მის შესახებ ოჯახმა არაფერი იცოდა და აი, შემოდგომის ერთ საღამოს, მოულოდნელად დაბრუნდა შინ, თან ახალი მეუღლეც მოიყვანა... ივანეს ოჯახი კვლავ ფეხზე დადგა, სტუმრობა და მისვლამოსვლა დაიწყო, დროს ტარებას საზღვარი არ ჰქონდა, ივანე სტუმართმოყვარული იყო-მეთქი, ახალი მეუღლეც არ აღმოჩნდა ნაკლები; ვინ არ მიდიოდა მის ოჯახში, ვინ არ ეპატიჟებოდა შინ, მომეტებულად ახალგაზრდა ვაჟები. ყველა დიდის პატივისცემით ეპყრობოდა დიასახლისს, ბოლოს კი... სტუმრების ყურადღება თამარის სილამაზემ მიიქცია: ნაზი, ტანწერწეტა, მაღალი მკერდით და შავი დიდრონი თვალებით ხიბლავდა მაყურებლებს, ეძახოდა თავისაკენ, ცეცხლის ალში აყენებდა, სისხლს აუჩუხჩუხებდა; ვის არ უყვარდა, ვინ არ უალერსებდა. მამა ხომ თავს ევლებოდა, მაგრამ ერთ დღეს უცნაური ამბავი შეემთხვა ივანეს:

ის იყო სამსახურიდან დაბრუნდა ივანე, შინ შემოსვლისთანავე თამარმა მიირბინა მასთან, წერილი გადასცა; ივანემ ხელი მოჰხვია, გაუცინეს ერთიმეო-

რეს, შუბლზე აკოცა მამამ, დაჯექიო, სთხოვა, გვერდზე დაისვა; კარგა ხანს ილაპარაკეს: მამამ თავის მოწაფეების ამბავი უამბო, ბოლოს წერილი გაახსენა თამარმა, წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— ახლავე, — უთხრა ივანემ. წერილი აიღო, გახსნა, რამდენიმე სიტყვა ამოიკითხა; ხელში ნაჭერი ფურცელი აუკანკალდა, სახე გაუფითრდა, ფეხზე წამოხტა. თვალები მოავლო ოთახს, შემდეგ თამარს რატომღაც დააკვირდა.

— წყეულები!.. — თქვა მან. წერილი ხელიდან გაუვარდა და მძიმედ დაეშვა სავარძელში.

ძირსდავარდნილი წერილი თამარმა აიღო: უნდოდა წაეკითხა, მაგრამ სწრაფად მისწვდა ივანე, წაართვა წერილი და დაჭმუჭნული ჯიბეში ჩაიდო. შემკრთალი თამარი ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

— ნუთუ!.. — გაიოცა ივანემ; როდესაც მარტოკა დარჩა, წერილი ამოიღო ჯიბიდან, გაშალა, ჩაიკითხა ბოლომდე, შეჩერდა, შუბლი მაგრად მოისრისა, თვალები დახუჭა. კარგა ხანს ფიქრობდა რაღაცას, წერილი კვლავ წაიკითხა, გაშტერდა, ამღვრეული თვალებით შეაშტერდა განსვენებული მეუღლის სურათს, კედელზე რომ ეკიდა ივანეს ტახტის მაღლა.

— ნუთუ!.. — თქვა მან. ფეხზე წამოდგა. სურათის მიუახლოვდა. თვალებში ჩაჰხედა.

— ნუთუ-მეთქი!.. — კვლავ გაიმეორა. შემოტრიალდა, კარებამდე მივიდა. დიდხანს სცემდა ბოლთას ოთახში, შემდეგ თამარს დაუძახა, დაისვა გვერდზე, ათვალიერებდა, უცნაურად უღიმოდა.

— რაა, მამილო! მეშინია... რად მიყურებ ეგრე!.. — უთხრა თამარმა და წასვლა მოინდომა.

— მოიცა! — შეაყენა ივანემ. დაიხარა, აკოცა და ამდროს კარებიდან ზარის ხმა გაისმა.

— ვიღაც გვესტუმრა! — თქვა თამარმა და კარებისაკენ გაიქცა.

ივანემ ამღვრეული მზერა გააყოლა.

— ეს არ მოხდებოდა!.. ეს არ შეიძლება-მეთქი! — წამოთქვა თავისთვის, შუბლი მაგრად მოიწმინდა.

— არ მოხდებოდა! არ მოხდებოდა! — გაიმეორა ბრაზიანად და წერილი ნაკუწნაკუწად აქცია.

— თფუ! მიქარვაა!... — თქვა ხმამაღლა და ფეხით გასრისა.

წერილში ლამაზი ასოებით იყო ჩაწერილი:

„თამარი, რომელიც შენ ეგრე ძალიან გიყვარს, შენი შვილი არ არის.. იგი მე მეკუთვნის, მე ვარ მამა, მე შევაცდინე შენი მეუღლე.“

ის იყო წერილის დახევა მოასწრო ივანემ და ამ დროს მისი მეუღლე, მანია, შემოვიდა, კარებთან შედგა, დააკვირდა ივანეს.

— რა ამბავია? საოცრად გამოცვლილხარ! — გაიოცა მან და მძიმე ნაბიჯით მიუხალოვდა მეუღლეს.

— არაფერი, მე ისე..

— მაინც, რა მოხდა?

— არაფერი-მეთქი.

— ნუ კი გამიწყრები, ჩემო ყველავ!

— სრულებით არა.

მანიამ გაუღიმა.

— მაშ ამალამ თეატრში მოდიხარ?

ივანემ არ უპასუხა.

— მოდიხარ-მეთქი?

— დაღლილი ვარ, არა მცალიან...

— უჰ! გული გამიწყალდა. ჩამომაცილე ყველაფერს. მაშ, მარტო მივდივარ.

— შენი ნებაა!..

— რატომ? არა, რატომაო? — აღარ ეშვებოდა მანია, თეთრი ფუნჩულა ხელები მოხვია სახეზე, მაღალი მკერდით მიეყრდნო მკერდზე. რატომ ხარ ეგრე დაღონებული?!

— ხომ ვთქვი, დავიღალე-მეთქი!

— არა, რაღაცას მიმალავ, გესმის, მიმალავ!

ივანე ადგა, ფანჯარასთან მივიდა და თამარის დარგული ყვავილების ფოთლებს შეეხო ხელით. თან თრთოდა — სიმწარეს დაეთრო.

— გრცხვენოდეს! მომანატრე ყველაფერი! — თქვა მანიამ და ოთახიდან გავიდა.

ივანეს იამა: მარტო დარჩა, ჩამოჯდა მაგიდასთან. გაიხსენა ყოველი წვრილმანიც კი წარსულიდან, პირველ მეუღლესთან ურთიერთობის ამბები, მეუღლის დამოკიდებულება მის მეგობრებთან.

— ნუთუ, ერთხელ მაინც ვერ შევამჩნევდი! — სთქვა თავისთვის. — საოცარია, ვინ უნდა იყოს წერილის ავტორი? იქნება ივანესთან დაიარება, მასთან ზის, საუბრობს, მაგრამ... არა, არა, შეუძლებელია!..

ივანე მოთენთილი წამოდგა საწოლიდან. სამსახურის დაწყების დროზე უფრო ადრე წავიდა სადღაც და ვახშმობის დროს დაბრუნდა შინ. მანიას სტუმრები მოსვლოდნენ, მათთან საუბარში იყო გართული.

— სად ბრძანდებოდით, ვაუბატონო? — ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა მეუღლეს და უცნობი სტუმრები გააცნო.

ივანე მიესალმა სტუმრებს, მანიასთვის ხმა არ გაუცია, მისმა თვალებმა მაშინვე თამარი მოძებნეს; იგი მეორე ოთახში ვიღაცას ელაპარაკებოდა, მისწვდა მამის ხმა, ადგა, წინ შემოუძღვა ფერმკრთალ ახალგაზრდას, რომელიც მშვიდად მიესალმა იქ მყოფთ, ოდნავ შეჩერდა მანიას წინ, თითქოს რაღაცის თქმა სურსო, თვალები თვალებს გაუსწორეს. მანიას ფერი ეცვალა, ხოლო ვაჟი შერცხვენილის იერით შემოტრიალდა, თამართან მივიდა, მამას რომ ელაპარაკებოდა, ჩუმათ რაღაცა უთხრა, გაიცინეს და ერთად დასხდნენ.

ეს ახალგაზრდა ხშირად დაიარებოდა ივანეს ოჯახში, ყველას თავაზიანად ეჭცეოდა, მამაკაცებთან სიტყვას ძვირობდა, ქალებთან ბევრის მთქმელი იყო, მოცინარი, მოქნილი, და მარად გართობისმოყვარული. შორეულ ნათესავად გააცნო მანიამ ქმარს. თავათ მაინც გულლაღად ხვდებოდა ერთხანს, ეჭვიც კი შეეპარა მათ საქციელზე ივანეს და ახლა, როდესაც ახალგაზრდა შემოვიდა, ივანემ დაკვირვებით შეხედა მანიას: მის სახეზე სიძულვილი ციაგობდა, მოწყენილი, მშიერი მზერით უჭვრეტდა ახალგაზრდას... ერთი ამბავიც შეამჩნია ივანემ: თამარისკენ წასულ ვაჟს მანიამ მწარე მზერა გააყოლა, შემდეგ თამარს შეხედა და ამ მზერაში შავად აშლილი შურის შავფრთეთ მოჰკრა თვალი. შეკრთა: მანიას და თამარს შორის იდუმალი ბრძოლის ძაფები ებმებოდა. სიმწარით შუბლი დაენაოჭა ივანეს, ყველაფერი მწარედ მოეჩვენა, ეჭვი გაუძლი-

ერდა. „რატომ გამოიცვალა მანია ამ ბოლო დროს?“ ჩაიფიქრა მან. გული შეეკუმშა. ადგა. დაღლილობა მოიმიზეზა და მარტოდ ყოფნა ირჩია.

მანიას გაეხარდა ივანეს წასვლა; თავისუფლება იგრძნო. მაგრამ გადახედა თუ არა სტუმრებს, მაშინვე ჩაფიქრდა. სიმარტოვე იგრძნო... უფრო გულიანად დააცქერდა გარშემომყოფთ და შეკრთა: ყველაფერს ნაძალადევი იერი გადაჰკრავდა მის მიმართ. მართალია, მანიამ დიდი ხნის წინათ იგრძნო, რომ ახალგაზრდები მხოლოდ ზრდილობის გულისთვის უცინოდნენ მას, მათი ღიმილი ისეთი აღარ იყო, როგორც წინათ, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად იგრძნო ეს. წამით შეჩერდა მისი თვალები თამართან მოსაუბრე ახალგაზრდაზე და შემდეგ თამარზე...

— ნუთუ თამარის სილამაზეა ამაში დამნაშავე! — ჩაიფიქრა მან. ბრაზი მოუვიდა, ადგა, მივიდა როიალთან და „თავო ჩემო“ დაამღერა ნაღვლიანი ხმით, თანაც თამართან მოსაუბრეს უჭვრეტდა იდუმალ. თვალები ცრემლით ევსებოდნენ.

კარგა ხანი გავიდა წერილის მიღების შემდეგ. ივანე ერთხანს ნაცნობებს აკვირდებოდა, ცდილობდა გაეგო, ვინ იყო წერილის ავტორი. მაგრამ ვერაფერს მიხვდა: ისეთივე ღიმილი, ისეთივე შეხვედრა. ვიღაცამ დამგესლაო. გაიფიქრა და შეეცადა დავიწყებისათვის მიეცა ყველაფერი. ჩვეულებრივად გაგრძელდა მუშაობა. სიხარულით ხვდებოდა დილის მზეს, სკოლის კარებზე გამოსულ ბავშვებს და ცდილობდა შრომით გაექარვებინა ფიქრები, მანიას კაპრიზებით რომ ეხვეოდნენ თავს, თამარის სიყვარული კი უფროდაუფრო უძლიერდებოდა. მითუმეტეს, ერთი შვილი ჰყავდა, ხოლო მანიასგან არ მოელოდა შვილიანობას.

ერთხელ შინდაბრუნებულ ივანეს სახლში არავინ დაუხვდა. საწერ მაგიდაზე ორი წერილი იყო. ერთზე ეწერა: „ნათესავთან მივდივარ. შეიძლება დამაგვიანდეს. მანია“. იგი ხელში არ აუღია ივანეს, ისე წაიკითხა. ხოლო მეორე წერილმა მიიქცია მისი ყურადღება. გულიანად დააკვირდა კონვერტზე დაწერილ მისამართს და ჟრჟოლამ აიტანა: ხელი ეცნაურა — უცნობი წერილის ავტორის ნაწერს ჩამოგავდა. მოიწადინა არ წაეკითხა წერილი, ნაკუწ-ნაკუწ ექცია და გადაეყარა, მაგრამ ვერ მოითმინა: ავტორის ვინაობის გაგების წადილმა დასძლია. ხელების კანკალით გახსნა და შემდეგი ამოიკითხა:

„გიმეორებთ: თამარი თქვენი შვილი არ არის. მეც ხანში შესული კაცი ვარ, შვილი მენატრება. თუ საქვეყნოდ შერცხვენა არ გინდათ, მოიქეცით ასე: შვიდ მაისს, საღამოს ცხრა საათზე თამარი მიიყვანეთ სადგურის კარებთან. იქ დაგიხვდებათ კაცი, რომელიც თქვენ გიცნობთ. და შემდეგ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში თამარს საფრთხე ელის. ჩემი ვინაობის გაგება ნუ გეჩქარებათ. ნურც მაიძულებთ ექიმების საშუალებით დაგიმტკიცოთ თამარისადმი ჩემი მამობა... ასე. 1925 წ. 6 მაისი.“

ივანეს მძიმე ფიქრი დააწვა. კარგახანს იჯდა უძრავად.

— მაშ გინდათ დამიმტკიცოთ, რომ თამარი თქვენი შვილია! — თქვა მან ბოლოს. ფეხზე წამოდგა, წერილიც ჯიბეში შეინახა და საათს დახედა — ცხრის ნახევარი იყო. სწრაფად მოემზადა. საწერ მაგიდის უჯრიდან ბრაუნინგი ამოიღო, ვაზნა მისცა პირში და შარვლის ჯიბეში შეინახა.

— ვნახოთ, ვნახოთ! — იმეორებდა იგი. სწრაფად ჩაირბინა კიბეები, თავდახრილი შეერია ხალხში, ყურადღება არავისთვის მოუქცევია. ჩქარი ნაბიჯით

გადასჭრა რამდენიმე ქუჩა, დაუჯდა სადგურზე წამსვლელ ტრამვაის ვაგონს. ერთი გაჩერებაღა აკლდა სადგურამდე, რომ გადმოხტა: გაიფიქრა — დამხვდურები ტრამვაის სადგურზე დამიწყებენ თვალიერებასო, ამიტომაც ფეხით მისვლა ირჩია — ჩუმათ შეათვალიერებდა ნაცნობებს. სადგურისკენ მიმავალ ჯგუფში შეერია, შორიდან დაათვალიერა გარშემო, მიიარ-მოიარა სადგურის წინ, ვერცერთი ნაცნობი ვერ შენიშნა; კარგა ხანს ტრიალებდა ერთ ადგილზე, ათის ნახევარი იყო, წასვლა დააპირა; უცბათ მხარი ვიღაცამ წაჰკრა, სწრაფად შეხედა ივანემ: სოფლელი ვიღაცა იყო — მატარებლისკენ მიეჩქარებოდა ბარგით ხელში. ამავე დროს შენიშნა კარების მახლობლად მდგომი ახალგაზრდა. თვალს არიდებდა ივანეს და ვიღაცას დაეძებდნენ მისი წვრილი ლეგა თვალები, სადად ჩაცმული იყო, ნაცრისფერი ედვა უდროოდ მოღლილ სახეზე, შეკრული შუბლი იშვიათად ეხსნებოდა, განუწყვეტლად ეწეოდა პაპიროსს, თანაც ერთი ხელი მუდამ ჯიბეში ჰქონდა ოდნავ წელშიმოხრილს. ივანეს გულიანად დააცქერდა და გაშორდა.

— ღმერთმა დასწყევლოს, ვერცერთი ნაცნობი სახე ვერ დავინახე! — გაიფიქრა და უკან გამობრუნდა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, აქეთ-იქით იყურებოდა, თანაც გრძნობდა, რომ უკანიდან ვიღაცა უმზერდა. ტრამვაიში ასვლის დროს სწრაფად მიიხედა — უცნობი ახალგაზრდა გაჰყოლოდა უკან, მალულად ადევნებდა თვალს. ივანემ წყრომით შეხედა, მან კი თვალი აარიდა და ხალხში შეერია. ამდროს ტრამვაიც დაიძრა. რატომ არ გამოველაპარაკეო, გაუწყრა თავს ივანე, გადმოხტომა მოიწადინა, მაგრამ გვიან იყო — უცნობი აღარ ჩანდა... თერთმეტ საათზე დაბრუნდა შინ. თითქმის კვალდაკვალ მოჰყვა მანია, არეული ხმით გამოელაპარაკა ქმარს, სახე გაჰფითრებოდა, თავის ტკივილს უჩიოდა, გვერდზე ჩაუარა მაგიდის წინ მდგომ ივანეს, ღვინის სუნი შეაფრქვია.

— სად იყავი? — ჰკითხა ივანემ

— მეგობარ ქალთან. შენ?

— მეგობარ ვაჟთან...

ორივენი გაჩუმდნენ. სხვა დროს გაიცინებდნენ, ახლა კი... მათი თვალები მძულვარედ შეხვდნენ ერთიმეორეს. მანიამ ვერ გაუძლო ქმრის მზერას და თვალები დახარა.

— სულ გამოიცვალე ბოლო დროს, სულ! — დაიჩივლა მან შემკრთალი ხმით. ივანეს პასუხი არ გაუცია, იდგა ერთ ადგილზე, მძიმე ფიქრი დასწოლოდა. აზრად მოუვიდა: ეთქვა მანიასთვის გამოცვლის მიზეზი, მაგრამ ჭკუაში არ დაუჯდა: მანია წახალისდებოდა, უფრო მკაცრად მოექცეოდა თამარს. თანაც იდუმლად გააპარებდა ნაცნობებში ამ ამბავს. თავი დაიმშვიდა და ნელი ხმით ჰკითხა მანიას:

— თამარი სად არის?

— მეც შენთვის უნდა მეკითხა...

— სად წავიდა?

— ალბათ ამხანაგებთან წავიდოდა... — უპასუხა მანიამ და შეეცადა თამარის შესახებ ლაპარაკი შეეწყვიტა. სწრაფად გაშორდა მეუღლეს და მძიმე ამოოხვრით შევიდა სასადილო ოთახში, ივანეც თან გაჰყვა და ორივენი მაგიდას შემოუსხდნენ. ვახშამმა უხმოდ ჩაიარა, თითქოს ხმის ამოღებისა ეშინოდათ; იდუმლად უპვრეტდნენ ერთიმეორეს. მანიას შიშის იერი გადაჰკრავდა, ვაფითრებული იყო, ოდნავი ხმაური აკრთობდა. წყენით შეხედავდა ივანეს და

მაშინვე თვალს აარიდებდა. ივანეც საკუთარ ფიქრებში იყო გართული, უსიამოვნო რასმეს გრძნობდა.

— რად დაიგვიანა თამარმა! — დაარღვია სიჩუმე.

მანია შეკრთა, კოვზი გაუვარდა ხელიდან, საკუთარი შეკრთომისა შეეშინდა, სწრაფად შეხედა ქმარს და დამშვიდდა: ივანეს ვერ შეენიშნა მეუღლის კრთომა.

— რადროს იყო თამარი შინ? — იკითხა ივანემ.

— რა გული გამიწყალე! — გაუწყრა მანია. — სამი საათის შემდეგ შინ არ ყოფილა.

— იმ დროს შინ იყო?

— სკოლიდან მოვიდა.

— მაშ შინ ყოფილა...

— დიახ...

— ხომ არაფერი უთქვამს?

— მგონია ამხანაგებთან წასვლას აპირებდა. — ცივად უპასუხა მანიამ, ნაძალადევად დაამთქნარა, გაიზმორა და წამოდგა. — ძალიან მეძინება!.. — თქვა მან და აღარ დააყოვნა: დასაძინებლად გაემართა.

— მეკი თამარს დაველოდები! — უთხრა ივანემ.

— შენი ნებაა, — იყო ცივი პასუხი. ნაწყენი მზერა გააყოლა ივანემ, ერთიორად ეუცხოვა ამ საღამოს მისი საქციელი, თავი დაენანა: ოჯახის სიტკბო სწყუროდა გულით.

— სულ გამოიცვალა, სულ!... — თქვა თავისთვის და შვილს დაელოდა.

თორმეტი საათი შესრულდა. არ ჩანდა თამარი. დრო გადიოდა, ივანეს შიში იპყრობდა: მას არასოდეს დაუგვიანია ასე დიდხანს. ერთ ადგილზედ ვერ რერდებოდა, მოიწადინა წასულიყო საძებნელად, მაგრამ სად?.. ვისთან უნდა მისულიყო უდროო დროს! შინ ყოფნა მაინც ვერ აიტანა, გარეთ გავიდა და ეზოს კარებთან შედგა.

ქუჩაში ხალხი შეთხელებულიყო. შორიდან ისმოდა მატარებლის მოწყვეტილი კივილი, ავტობუსის მშვიდი შუილი. სადღაც მღეროდნენ. ვიღაც მთვრალი იგინებოდა. თითოოროლა ჩაუვლიდა აჩქარებული ნაბიჯით, გაკვირვებით შეხედავდა ივანეს და გზას განაგრძობდა; გულის ფანცქალით ელოდა ივანე ქუჩის ბოლოს მომავალს. ნაწყენი მზერით გააცილებდა უცნობს. დაიღალა დგომით, ლოდინით და დაღონებული დაბრუნდა შინ. მივიდა მანიასთან, დაჯდა საწოლის გვერდზე — მასთან საუბარი ეწადა.

მანიას უგემურად ეძინა — შფოთავდა. სახეზე დააკვირდა ივანე, ანლა მას უფრო უწყინარი იერი გადაჰკრავდა. ჯერ ეღიმებოდა, შემდეგ შეკრთა, წაიღაბუშა... — ალბათ სინათლე უშლის ძილსო, ჩაიფიქრა ივანემ. ფრთხილად წამოდგა, სინათლის ჩაქრობა უნდოდა. ამდროს მანიამ ოდნავ აიწია. კვლავ ღაბუში განაგრძო: „ნუ!.. ოი!.. ნუ!.. ნუ!.. გაიგებენ.. ოიჰ!..“ — ამბობდა იგი. ივანე უცბათ შემოტრიალდა, დააშტერდა მეუღლეს, მანია გონს მოვიდა, მეორე გვერდზე შეტრიალდა და საბანი წაიხურა თავზე.

— რაღაცა აწუხებს! — თქვა ივანემ. საათს დახედა: პირველი სრულდებოდა, თამარი მაინც არ ჩანდა. — ახლა კი... ასე არ დაიგვიანებდა. უნდა მოვძებნო. — იფიქრა მან. ამდროს ფეხის ხმა გაისმა: კიბეზე ვიღაცა ამოდიოდა, გახარებულმა ივანემ დააყურა — ნელნელად ახლოვდებოდა ხმაური, სახე

წამოუწითლდა, გული მაგრად შეეკუმშა. მაგრამ წუთით მოხდა ყველაფერი. ეს: თანდათან მისწყდა ფეხის ხმა, დერეფნის სიღრმეში კარები ახმაურდა და მკვდრული სიწყნარე გამეფდა ირგვლივ. მძიმე ოხვრა ამოხდა ივანეს, მოეშვა, მოთენთილი სავარძელს მიესვენა. კარგა ხანს იყო უძრავად; შემდეგ მანიას გალვიძება მოინდომა, მიუახლოვდა. საბანი გადახადა, ნელად შეეხო ხელით შიშველ მხარს. მანია შეკრთა, თვალები შიშნეულად გაახილა, სახე გაუფითრდა. კედელს მიაწყდა, შემდეგ წამოიწია, შიშველი მკლავები გაშალა, თითქოს გადმოფრენას აპირებსო. ივანემ მშვიდი იერი მიიღო, გაულიმა:

— რა გემართება! — უთხრა მან ტკბილი ხმით... — თამარი არ მოსულა, უნდა მოვძებნო...

— მე არა. არა!.. მე არა! — გააწყვეტინა საუბარი მანიამ.

— თამარი არ მოვიდა მეთქი... ღამის პირველი საათია და არა სჩანს, რაღაც დაემართება, მეშინიან...

— მე არაფერ შუაში ვარ...

— შენ რა შუაში ხარ, მე მინდა მოვძებნო. ვაი თუ გაიღვიძოს და შეწუხდეს-მეთქი.

მანიას ხმა აღარ ამოუღია, კანკალი აუვარდა, ხელები აუთრთოლდა, სახეზე ფერი ეცვალა, ოთახს შემკრთალი მზერით ათვალიერებდა, თვალები აჩეული ჰქონდა, თმაგაშლილი და მხრებზე გადაბნეული. ივანეს შერცხვა: რად გავალვიძეო, შეინანა.

— დამშვიდდი! — შეევედრა იგი, გვერდზე მოუჯდა. თმები შეუსწორა, ნელად აკოცა და თავისაკენ მიიზიდა.

მანია უფრო ათრთოლდა. მაგრად ჩაეხვია მეუღლეს და ბავშვივით ატირდა. — რა ვქნა მეშინიან, ძალიან მეშინიან! — დუდუნებდა იგი...

— რა უბედურებაა! რისი უნდა გეშინოდეს, მე ვარ ივანე. აბა შემომხედე! — უფრო დამშვიდებითი კილოთი უთხრა ივანემ. დაიძინეო, სთხოვა. როგორც იყო დამშვიდდა მანია და მიიძინა მეუღლის მკერდზე. ივანე იჯდა მანიას საწოლზე. მისი ოდნავი მოძრაობის დროსაც კი კრთებოდა მანია. ღაბუშობდა, ამიტომ ვერ დატოვა მარტო და ღამე თეთრად გატეხა, მოუთმენლად ულოდებოდა გათენებას. როგორც იყო ირიჟრაჟა. ადგა ივანე, ფრთხილად მიაწვინა მანია ლოგინზე, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან და თამარის ამხანაგების მონახვას შეუდგა. ნათესავებს შემოუარა. მაგრამ... არავის ენახა თამარი. ბოლოს მილიციაში შეიარა, — იქაც არაფერი იცოდნენ.. უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ივანეს მეტი გზა არა ჰქონდა: წერილები უნდა გაემეცნებინა. მანია გაოცებით შეხვდა ამ ამბავს. დიდხანს ეჭირა უცნობის წერილები, ატრიალებდა, კითხულობდა, იგონებდა თამარს და სტიროდა; იმდღეს გარეთ არ გამოსულა, გაანცებული ხვდებოდა თამარის ამბის საკითხავად მოსულ ნაცნობ-ნათესავებს; ათასჯერ უყვებოდა ერთსადაიმავე ამბავს, უკითხავდა წერილს და ეჭვიანად ათვალიერებდა ხნიერ მამაკაცებს.

ივანემ გაზეთის რედაქციაში შეიარა, განცხადებები მისცა, რომელშიაც თამარის დაკარგვის დროს წლოვანობა და გარეგნობა იყო აწერილი, მნახველებს სთხოვდა — ამბავი სასწრაფოდ ეუწყებინათ მისთვის და საჩუქარს ჰპირდებოდა. შემდეგ რაიმილიციის გამომძიებელთან ერთად დაბრუნდა შინ. წერილი გადასცა და მოკლედ უამბო უცნობის წერილების მიღების ამბავი. გა-

მომძიებელი ერთხანს ყურს უგდებდა, შემდეგ გულიანად გადაიკითხა წერილები, ჩაფიქრდა, კვლავ გადაიკითხა.

— მაშ თქვენ ეჭვი არავიზე გეპარებათ? — ჰკითხა ივანეს.

— არა.

— იქნება პირველი მეუღლის დროს ეჭვიანობდით ვისმეზე.

— არასოდეს.

— ხომ არვის უყვარდა თამარი?

— არ ვიცი.

— ხომ არავინ არის ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც თამარი ჰყვარებოდეს, მაგრამ თამარი ყურადღებას არ აქცევდა?

— არა მგონია... — ჩაფიქრდა ივანე. ის ახალგაზრდა გაახსენდა. თავის ნათესავად რომ გააცნო მანამ. — ის ახალგაზრდა, — თქვა მან. — მაგრამ იმას და თამარს შორის მუდამ კარგი განწყობილება იყო, ჩემის ფიქრით ის არაფერს შუაშია.

— რა გვარია?

— ჭინჭარაძე.

— სახელი?

— გიორგი.

— რა მოხელეა?

— მასწავლებელი.

— ხშირად დადიოდა აქ?

— დიაღ.

— თამარი თუ უყვარდა?

— მაგისი რა მოგახსენოთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. გამომძიებელი გამალებით სწერდა რაღაცას. შემდეგ წერილი აიღო ხელში.

— ამ წერილის დამწერის ხელი ხომ არ გეცნაურებათ? — იკითხა მან..

— სრულებით არა.

— აბა დააკვირდით. — თქვა გამომძიებელმა, წერილი გვერდზე გასწია — აი ეს ასოები შეცვლილია: სხვადასხვა გვარად არის დაწერილი... ხედავ, გადასხვაგვარება უცდია, მაგრამ მაინც გაჰპარვია. აბა დააკვირდით, არ გეცნაურებათ?

ივანე გაჩუმებული იდგა, სახე ჰქონდა გაფითრებული.

— ჰა! ხომ არ გეცნაურა?

— არა.

— დასწყევლოს ღმერთმა!... შემთხვევით გაპარული ასოები ქალის ხელს ჩამოგავს!

— რასა ბრძანებთ! — წამოიძახა შემკრთალმა ივანემ.

— დიაღ, დიაღ. ახლა მითხარით: სადგურზედ ნაცნობი ხომ არავინ შეგხვედრიათ?

— არა... ერთ ახალგაზრდაზე შემეპარა ეჭვი, მაგრამ ის ჩემ დღეში არ მინახავს — ივანემ დაწვრილებით აუწერა მისი გარეგნობა.

— იმავე ტრამვაით ხომ არ წამოსულა?

— არა მგონია.

— კარგი. შინ ვინ დაგიხვდათ?

— ცოტა ხნის შემდეგ ჩემი მეუღლე მოვიდა.
— სად ყოფილა?
— ნაცნობთან.
— უეჭველად?
— ასე თქვა.
— როგორ დამოკიდებულებაში იყო იგი თამართან?
— ისე...
— მაინც.
— არც კარგად, არც ცუდად...
— ახლა სად არის?
— შინ,
— აბა, დაუძახე!

ივანე ზარმაცად შევიდა მეორე ოთახში. მანია დაფიქრებული იჯდა ფანჯარასთან: ივანეს შესვლამ შეაკრთო. მოშორებით დადგა ივანე და მოხათრებით სთხოვა გამომძიებელთან გამოსულიყო.

— რა უნდა ჩემგან? — იკითხა მანიამ.

— არ ვიცი. შემოდი! — უთხრა ივანემ. ცოლს დააკვირდა, ესხვარიგა, თავის ტკივილი იგრძნო, გულის სიღრმეში რაღამაც უჩხვლიტა...

ყოყმანით შემოსულ მანიას გამომძიებელი თვალებში ჩააკვირდა; მანია შეეცადა თვალი გაესწორებინა მისთვის, მაგრამ ვერ შესძლო, თვალი აარიდა, ახლოს დაუჯდა და ნაძალადევად გაუღიმა.

— თქვენ უკანასკნელად როდის ნახეთ თამარი? — ჰკითხა გამომძიებელმა.
— იქნებოდა სამის ნახევარი.
— მერმე სად წახვედით?
— ნაცნობთან.
— მითხარით ამ ნაცნობის ვინაობა და მისამართი.
— რა საჭიროა! — გაიოცა მანიამ.
— მჭირდება! — უთხრა გამომძიებელმა. და ეჭვიანად დააკვირდა.
— მისამართი არ ვიცი. ნინო ჰქვია, ფანცხავაა.
— რა მოხელეა?
— დიასახლისი.
— სხვა იყო ვინმე თქვენთან?
— არა.
— რომელ საათზე წამოხვედით იქედან?
— არ მახსოვს.
— კარგი. თამარი შინ დარჩა, რომ წახვედით?
— შინ... — შეყოყმანდა მანია.
— თქვენთან ხომ არ გამოსულა?
— რად მეკითხებით ეგრე? — იწყინა მანიამ.
— საჭიროა ვიცოდე. ხომ არ გამოსულა?
— არა.
— წასვლას ხომ არსად აპირებდა?
— არაფერი უთქვამს.

— გიორგი ჭინჭარაძეს იცნობთ? — მოულოდნელად იკითხა გამომძიებელმა. მანია შეკრთა, მაგრამ თავს ძალა დაატანა: არ აეტანა თრთოლას.

— ისე... — თქვა მან ნაღვლიანად.

— მაინც?

— არც ძალიან კარგად... რა საჭიროა ასეთი კითხვები! დავიღალე... შვილი დავკარგე და თქვენ... — ივანეს გადახედა მანიამ. იგი მძიმედ ჩაფიქრებული იდგა, არ შეუხედნია მანიასთვის.

— თქვენი ნათესავი ხომ არაფერია ჭინჭარაძე?

— არაფერი... — მანიას პირში გაუქრა სიტყვა, უცბად შეხედა ივანეს, შეერცხვა; ხოლო ივანე გამოფხიზლდა, ერთი ნაბიჯით დაიწია მანიასკენ, ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში, თვალები დაუბნელდა, უნდოდა გამოლაპარაკებოდა მანიას, მაგრამ გამომძიებელი შეეცილა:

— მას თამარი ხომ არ ჰყვარებია?

მანია ჩაფიქრდა.

— არ ვიცი!.. — თქვა მძიმედ.

— იცოდით უცნობის წერილები რომ მოსდიოდა ივანეს?

— არა.

— ეს ხომ არ გეცნობათ? — უფრო დაკვირვებით ჰკითხა გამომძიებელმა და შემთხვევით დაწერილ ასოებზე მიუთითა.

— არა!.. არა!.. სულ არა!..

— კარგი. ხომ არავიზე გეპარებათ ეჭვი: ვის უნდა დაელუპა თამარი?

— ეგ რომ ვიცოდე...

— მაშ კარგი, ხელი მოაწერეთ! — სთხოვა გამომძიებელმა და ოქმი დაუდო წინ. მანიას ხელი აუკანკალდა, აჩქარებულად დაწერა სახელი.

— უფრო გარკვეულად! — უთხრა გამომძიებელმა, თანაც ასოებს ადევნებდა თვალს.

მანიამ მრუდი ასოებით დაწერა თავისი გვარი, თითქოს ბორკილი აქვსო ხელზე, თანაც მძიმედ ამოიოხრა. ეჭვის თვალით დააკვირდა გამომძიებელი...

— თავისუფალი ხართ! — უთხრა ბოლოს. მანია წამოდგა და ნელის ნაბიჯით გაშორდა მათ.

გამომძიებელმა მანიას ხელნაწერი და წერილი შეადარა ერთმანეთს და ივანეს მიმართა:

— ასე უნდა მოვიქცეთ: მოვნახოთ ჭინჭარაძე, ის ახალგაზრდაც, თქვენ რომ სადგურზე გინახიათ და შეიძლება კვალს მივაგნოთ... ნუ გეწყინებათ, მაგრამ... მეუღლეზე ხომ არ გეპარებათ ეჭვი?

— არა. რა სათქმელია!...

— მაინც. — არ ეშვებოდა გამომძიებელი.

— რა მოსაფიქრებელია! — კვირობდა ივანე, მაგრამ მანიას ნათქვამმა კი ჩააფიქრა იგი: გაახსენდა, პირველად რომ მანიამ ჭინჭარაძე გააცნო, როგორც ნათესავი, გაახსენდა აგრეთვე თამარისა და ჭინჭარაძის ერთად ყოფნა და მანიას მათდამი ჭვრეტა... ხმა აღარ ამოუღია...

— კარგი. დამშვიდდით. ეს საქმე მალე გამოირკვევა. — თქვა გამომძიებელმა და წავიდა; ივანემ კარებამდის მიაცილა იგი, შემობრუნდა და საგარეო ტა-

ნისამოსში გამოწყობილი მანიას შეხვდა წინ, ყურადღება არ მიუქცევია ივანესთვის, გაიხურა კარები და აჩქარებული ნაბიჯით ჩაიარა კიბე...

ივანე მარტო დარჩა. ერთხანს დაფიქრებული იჯდა. ყველაფრის ხალისი ჰქონდა დაკარგული. შემდეგ გადასწყვიტა გასულიყო ქუჩაში...

გარეთ მზიანი დარი იდგა. მოქალაქენი თუმცა ხალისით ხვდებოდნენ გაზაფხულის სითბოს, მაგრამ ქუჩაში აქაიქ გართხმულ ხის ჩრდილებს ეტანებოდნენ, შენობების გასწვრივ მისდევდნენ ქუჩას. ერთიმეორეში ირეოდა: ავტოების, ტრამვაის ვაგონების, ეტლების და ადამიანთა ხმაური, ყველა ეს ერთდებოდა და მძიმე დუგდუგად ხვდებოდა ყურში საკუთარ ფიქრებში გართულ ივანეს, არეული ნაბიჯით რომ მისდევდა ბრბოს რუსთაველის გამზირზე.

ზემელამდის ვარა ივანემ. აფთიაქის წინ შედგა: ნაცნობი ხმა მისწვდა ყურს, ძლიერ მიიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. კიდევ გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, ნაცნობი ხმა უფრო ახლოს გაისმა: კედლის პირზე მომავალ მანიას მოჰკრა თვალი. იგი საუბარში იყო გართული — ვიღაცა ახალგაზრდას ელაპარაკებოდა. ივანე შეეცადა შეუმჩნეველად მიახლოვებოდა, მოესმინა მათი საუბარი, შემდეგ გადაიფიქრა, უკან ჩამორჩა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა: წინ შეხვედრა სურდა. მაგრამ მანიამ და მასთან მოსაუბრემ, იქვე, პატარა ბაღში შესვლა მოასწრეს. ბაღის მოაჯირიდან შეუჭვრიტა ივანემ, გაოცდა: მანიასთან ის უცნობი ახალგაზრდა ლაპარაკობდა, სადგურზე რომ დაინახა მაშინ. ივანემ აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ერთხანს გადასწყვიტა: შესულიყო ბაღში და იქვე მოესპო სიცოცხლე ორთავესთვის, მაგრამ ამით საქმეს წავახდენო, უთხრა თავს. ამბის მოსმენა ამჯობინა, მაგრამ როგორ? ბაღში მხოლოდ მოხუცები ღა-აქა-იქ მოთამაშე ბალღები იყვნენ. ძნელი იყო მალვით შესვლა. მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ ნაცნობი არავინ იყო. ბაღის კარების მახლობლად ერთი ყმაწვილი შენიშნა, რომელსაც ჩაცმულობაზე მოწაფეობა ეტყობოდა; იმჟამად უსაქმოდ ჩანდა — მზის-უმზირას ჩიჩქნიდა და მოქალაქეთ ათვალიერებდა. ივანე პირდაპირ მივიდა მასთან, გამარჯვებაო, უთხრა.

— ყმაწვილო! — მიმართა მან — თუ მამაშვილობა გწამთ, ერთი თხოვნა შემისრულეთ.

ყმაწვილს გაოცების იერმა გადაჰკრა ჭკვიანურ სახეზე, გულიანად დააკვირდა ივანეს. იგი თავისას განაგრძობდა:

— უნდა მომეხმაროთ და სამაგიეროს გადაგიხდით!..

— რითი უნდა მოგეხმაროთ? — იკითხა თავაზიანმა ყმაწვილმა.

— მოდით აქეთ!.. — თავისკენ მიიწვია ივანემ. — აგერ, ბაღში ქალვაჟნი სხედან, იმათთან მიდით და ყური დაუგდეთ — რაზე ლაპარაკობენ!..

— რასა ბრძანებთ!

— გეხვეწებით! — ისეთი კილოთი უთხრა ივანემ, რომ ყმაწვილს ხმა აღარ ამოუღია, ზარმაცად წავიდა ბაღისკენ. მანიასა და უცნობის მახლობლად დაჯდა, კვლავ მზისუმზრას ჩიჩქნიდა და ყურს უგდებდა.

— მაშ ასე... ასე, ჭირიმე, ნუ, ნუ, იზამ მაგას... — ამბობდა მანია.

— ვა, ჩემი ნება ხომ არ არის, გიჟია!..

— ნუ კოწო... ეგრე ნუ მექცევი! — შეემუდარა მანია, ამოიოხრა და ორივენი გაჩუმდნენ. ახალგაზრდამ დაამთქნარა, გაიზმორა და წასასვლელად მოემზადა.

— მივდივართ თუ არა? — ბრაზიანად იკითხა მან.

— მივდივართ, მაგრამ...

— გამიჭირე საქმე „მაგრამებით“.

— ამის შემდეგ.. მეტი არაფერი.

— მეტი არაფერი, ჰო.

— გელოდები სრულ პირველ საათზე, მანქანა ჩვენ მახლობლად გაიჩერე.

— ვნახოთ!

— ნუ კოწო... გადაწყვეტით თქვი!..

— ჰო მეთქი, რა, რა გააჭირე!..

ორივე წამოდგა. მანიამ ხელი გაუყარა, თავისკენ მიიზიდა კოწო, გაუღიმა და ნელიად შეეკითხა:

— მაშ მოხვალ?

— მოვალ, მა რა! — თქვა კოწომ და ამის შემდეგ მათი ლაპარაკი მოყუჩიადეს აღარ მოუსმენია, ივანესთან მიირბინა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო და გაკვირვებით უჭვრეტდა გაფერმკრთალებულ ივანეს. სწრაფად გატრიალდა ივანე და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა კვალდაკვალ მანიასა და კოწოს.

სახელგამის მაღაზიასთან დაემშვიდობა კოწო მანიას. შეუხვია ჭავჭავაძის ქუჩაზე. ჩქარი ნაბიჯით აიარა აღმართი და ქუჩის სათავეს ოთხსართულიან შენობაში შევიდა. ოთახის კარის სახელურთან პატარა წერილი დახვდა: „ექვს საათზე მოვალ. დამელოდე“ ეწერა შიგ.

— ვინ უნდა იყოს? — ჩაიფიქრა კოწომ. კვლავ ყურადღებით დააკვირდა წერილს. დახია და გადაყარა. ნერვიულად შეაღო კარები, შმორის სუნი გამოიჭრა ოთახიდან — სახლი დაულაგებელი იყო. უწესრიგოდ ეყარა: ძველი ფეხსაცმელები, ტანისამოსი, შუშის ნამსხვრევი, გაზეთების ნაგლეჯები. მაგიდაზე იდგა ნაღვინევი ჭიქები, სამიოდე ცალიერი ბოთლი. ერთ მათგანს ყელი ჰქონდა მოტეხილი, კედელზე ღვინის შენასხამი ეტყობოდა. ბოთლების მახლობლად ეწყო ღვინითშეღებილი პურის ნატეხები, მწვანილი და ქადის ორიოდე ნაჭერი. შუა იატაკზე წაქცეულიყო ფეხმოტეხილი სკამი, კოწომ წიხლი წაჰკრა მას და შესვლისთანავე ლოგინზე წამოწვა. ის იყო ჩასთვლიმა თუ არა, ამ დროს კარები ვილაცამ დააკაკუნა. კოწომ წყენით გადახედა კარებისკენ, დაეზარა ადგომა. კვლავ გაისმა კაკუნი...

— შემოდი! — დაუძახა კოწომ.

კარები გაიღო და ლამაზი, ტანადი ახალგაზრდა შემოვიდა. გაოცებულმა კოწომ თავიდან ფეხებამდის შეათვალიერა იგი და თვალი დარჩა მის მკრთალ სახეზე.

— ვინ ბნებავთ? — იკითხა. კვლავ ლოგინზე იყო წაწოლილი.

— კოწო მიქელაძე.

— კოწო?! — ცივად უთხრა კოწომ და ფეხზე წამოდგა.

— დიალ.. თქვენ ბრძანდებით ხომ?

— მე ვარ, მაგრამ თქვენ...

— ნუ თუ ვერ მიცანით! ჭინჭარაძე გახლავართ..

— ჰო, ო!.. დაბრძანდით, რაშია საქმე? — სმა აერია კოწოს.

— ძლივს მოგაგენით..

— რა გაგიჭირდათ?

— მინდოდა რაღაც მეკითხნა თქვენთვის...

— გეკითხათ?

— დიაღ. რამდენიმე კვირის წინათ მივიღე წერილი, ბოლოზე მიწერილი აქვს ინიციალი: „კ მ.“ — თქვა გიორგიმ და წერილი ამოიღო ჯიბიდან. — აი, ის წერილიც... ბევრი ძებნის შემდეგ დავრწმუნდი, რომ წერილი თქვენ გეკუთვნით.

— მე... ე?

— დიაღ... ჩვენ ორივეს გვიყვარდა თამარ გიგაური...

— გვიყვარდაო!!

— მე თქვენ შორიდან გიცნობდით, ესეც არაფერი, თქვენ ამ წერილში იმუქრებით და ეს მუქარა მგონი სისრულეში მოიყვანეთ...

კოწოს წუთით გონება დაებნა, შემდეგ ფეხზე წამოხტა და ჯიბეში იკრა ხელი.

— ახლავე გადით აქედან და ეგ სიტყვები შემდეგ აღარ გაიმეოროთ, ხოლო ეგ წერილი... — კოწო გიორგის ხელში ნაჭერ წერილს წვდა.

გიორგიმ სწრაფად დაიწია უკან.

— დამშვიდდით!.. — დინჯი ტონით უთხრა მან. — თქვენი არავის ეშინიან, მე მოვედი იმიტომ, რომ პასუხი გაგებინოთ.

— მე კოწოს მეძახიან!.. — ეს ღა თქვა კოწომ და ერთ ადგილზე გაშტერდა.

— ტრაბახს თავი დაანებეთ, უკეთესია მითხრათ, სად არის თამარი...

— შენ სიცხე ხომ არა გაქვს თავში?!...

— მაშ თქვენ არაფერი იცით თამარის შესახებ?

— სიგიჟე ხომ არ გივლის! — არეულის ხმით უთხრა კოწომ და სახის კუნთები შეუთამაშდა.

— მაშ ამ წერილსაც უარყოფთ?

— გაეთრიე აქედან!

— მაშ ასე.. თქვენ არ გინდათ სიმართლის თქმა, უკეთ: არ გაქვთ ამის შნო... — ფეხზე წამოდგა გიორგი.

— დიაღ, დიაღ!... — იყო დამცინავი პასუხი.

— მაშ თუ „დიაღ, დიაღ,“ ეგაც შენ!... — გიორგიმ სწრაფად გაზომა მანძილი, მოულოდნელად ამოჰკრა კოწოს ნიკაპს ქვეშ და რეტდასხმული კოწო კედელს მიაწყდა. მისმა ხელმა თავისთავად ამოიყოლა მოელვარე ბებუთი. სიმწარით დაიკივლა, სწრაფი ნახტომი გააკეთა — ბებუთის მარცხენა მხარზე დაცემა მოუნდომა გიორგის, მაგრამ გვერდზე გახტა და მკაცრად უთხრა:

— ხელი არ დასძრა!.. — ბრაუნინგი მიუშვირა.

სწორედ ამდროს კარები გაიღო და ორი მილიციონერი შემოიჭრა ოთახში, შემკრთალი კედელს მიაწყდა; ამით ისარგებლა კოწომ, სწრაფად გადახტა მარჯვნისკენ, ფანჯარიდან გადაფრენა სცადა, მაგრამ გიორგიმ აღარ დააყოვნა: ტყვია დაახალა ფეხებში.

— საზიზღარო!.. მე ვაჟკაცი მეგონე!... — წამოიძახა გამწარებულმა კოწომ და ერთ ფეხზე შემოტრიალდა.

მილიციონერები, რომლებიც ჯერ კიდევ აზრზე ვერ მოსულიყვნენ, გაშტერებით აკვირდებოდნენ ხან ერთს, ხან მეორეს. რევოლვერის ხმაზე მეზობლე-

ბიც მოცვივდნენ, ხოლო მოგვიანებით ივანე შემოვიდა; ბრაზიანად დააკვირდა კოწოს და გიორგის მიმართა გაოცებულმა:

— ნუ თუ თქვენც!

— დიახ! — უპასუხა შეკითხვას ვერმიმხვდარმა გიორგიმ.

— ისინი არიან! — უთხრა ივანემ მილიციონერს, რომლებიც ნაგანებით ხელში ედგნენ გარშემო კოწოს

— დაყარეთ იარაღი! — წამოიყვირა ერთმა მათგანმა.

გიორგიმ გაკვირვებით შეხედა ივანეს და მორცხვად დახარა თავი.

— ნუ თუ თქვენც! — კვლავ ჰკითხა ივანემ. — მე კი...

— მე არაფერ შუაში ვარ! — უპასუხა გიორგიმ და კოწოზე ანიშნა.

კოწოს ღონე ელეოდა, წაქცევაზე იყო მისული: გიორგის ნასროლი ტყვია მოხვედროდა მუხლის თავზე და სისხლი სდიოდა. ერთი მილიციონერი მიუახლოვდა მას, ძირსდაგდებული ბებუთი აიღო ხელში და მკაცრად მიმართა კოწოს:

— ბიდით წინ!

— მგონი დაჭრილი ვარ... — მისუსტებული ხმით სთქვა კოწომ...

ამბის მომყოლი შედგა. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. ყველას ნაღველი რამ დასწოლოდა სახეზე. დიასახლისს ოფლის ნამი დასდებოდა, მაგრამ კმაყოფილებით გამოიყურებოდა.

— შემდეგ რა მოხდა, რა დაემართა თამარს? — იკითხა ერთმა სტუმართაგანმა.

— ახლავე. — უპასუხა დიასხლისმა და განაგრძნო:

. . .

კედლის საათმა პირველის ნახევარი დარეკა. საწერ მაგიდასთან მჯდომი მანია შეკრთა, წერილის წერას თავი მიანება, წამოდგა ფეხზე და დიდხანს იდგა ერთ ადგილზე და რაღაცას ფიქრობდა, ბოლოს თავი გაიქნია, ოთახი შეათვალიერა და კვლავ წერას დაუბრუნდა; სწერდა სწრაფად, შეუჩერებლად, თან შეკრულ შუბლს იწმენდდა მალიმალ. სწერდა მანამ, სანამ კიბეზე ხმაური არ გაისმა, წუთით დააყურა: კიბეზე ვიღაცა ამოდიოდა — მძიმედ ეცემოდა ნაბიჯი საფეხურებს. ნაჩქარევად ჩადვა დაუმთავრებელი წერილი კონვერტში, არეული ხელით დააწერა: „ივანეს“ და ამდროს, თითქმის ერთად გაისმა: კარების ხმაური და ქუჩიდან სირენას ხმა. მანიამ წერილი მაგიდაზე დატოვა, მსუბუქი ნაბიჯით გაიარა მეორე ოთახში, გამზადებულ ჩემოდანს გაჰკრა ხელი და უკანა კარებიდან გავიდა ეზოში.

ოთახებში წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, ხოლო შემდეგ საკეტის ხმა გაისმა და ივანე შემოვიდა, შედგა, მანიას დაუძახა, პასუხი არ მიუღია. შეკრთა: სიმარტოვე იგრძნო. ოთახები სწრაფად მიიარშოიარა, მაგრამ არავინ დაუხვდა. ბოლოს საწერ მაგიდაზე წერილს მოჰკრა თვალი, საჩქაროდ გახსნა და შემდეგი ამოიკითხა:

„ივანე!... შენ როდესაც ამ წერილს წაიკითხავ, მე აქ აღარ ვიქნები, აღარ ვიქნები ჩემ საყვარელ ტფილისში, რომელმაც ბევრ სიმწარესთან ერთად ბევრი ტკბილიც მაგემა, სადაც სამწუხაროთ გავატარე ახალგაზრდობის ღღეები და აი, ბოლოს გავრბივარ... გავურბივარ ოჯახს, შენ და ყველას, ყველას, მაგრამ სად?. არ ვიცი. კიდეც რომ ვიცოდე, არ გეტყვი, ან რად გინდა იცოდე, მე შენთვის აღარ ვარსებობ, შენ ჩემთვის (განა ვარსებობდით როდისმე ერთი მეო-

რისთვის?) გავრბივარ და თავადაც არ ვიცი, რატომ? სად? რომელ გზაზე?... ჩემი სავალი გზა ბნელია ისე, ვით შენთვის ჩემი წარსული. დიაღ, ივანე, ჩემი წარსული შენთვის ბნელია... ბნელია დღემდის...მე სხვა ვიყავი, შენ სხვა. მე სხვა დროისა და სხვა საზოგადოების შვილი ვიყავი, შენ—სხვისა. შენ დაკოჟრებული ხელები გქონდა, რომელთაც ჯერ კიდევ ნავთის და ბენზინის სუნი არ გაშორებია, მეკი... სათუთი ვიყავი, თეთრი ხელებითა და ანჩქლეული სისხლით... შენ მომავალს ეკუთვნოდი, მე წარსულს, ამიტომაც ერთი მეორისა ვერაფერი გავიგეთ, ერთი მეორის გულის ზრახვებს ვერ მივხვდით... იკითხავ: მაშ რისთვის დამიმეგობრდიო... დაგიმეგობრდით არა სიყვარულისთვის, არამედ ჩემთვის, იმიტომ, რომ შენი კოჟრიანი ხელების ქვეშ შემეფარა თავი — ჩემსაფარველად გამეხადე, ვიცოდი, რომ შენ სულითა და გულით ახალ ხანას ეკუთვნოდი, გახსოვს, როგორ ტკბილად იხსენებდი ახალ დროებას? როგორ გატაცებით მიყვებოდი სამოქალაქო ომის ამბებს... შენ ხარობდი, მე კი... საწყეარს გითვლიდით გულში, პირად გიცინოდი, მაგრამ გულში ვტიროდი... სამოქალაქო ომმა მომისპო ჩემი საყვარელი ძმა და ერთიც სხვა... სხვა, რომელიც სულზე ტკბილად მიჩნდა, რომლისთვისაც ვთვლიდი ჩემს თავს. დიაღ, გული მტკიოდა, მაგრამ მეტი გზა არ იყო: ერთადერთი შენ იყავი ჩემი მფარველი, სანამ ჩემ წასვლას არ გაიგებდი, ჩემი ამბები თავს არ მოგაძულებდნენ და აი, აქამდის არ მივიდოდა საქმე...

ვიცი, გეჩქარება თამარის ამბის გაგება, მაგრამ, სანამ მის შესახებ რამეს გეტყოდე, მინდა იცოდე ზოგი რამ ჩემი წარსულიდან... არ გეტყოდი არაფერს, ვით აქამდე არაფერი გითხარი, გავჩუმდებოდი, რომ შენთან შეხვედრის წადილი მქონდეს; ახლა არაფრისა მეშინიან და მინდა ყველაფერი გითხრა, იმიტომ, რომ შენ კარგი ხარ, ივანე, კარგი-მეთქი და ვიცი, რომ დაიტანჯები ჩემი წასვლით თუ ჩემი ამბავი არ გეცოდინება, რომ გაიგებ შეგძულდები, გული ოდნავ მაინც დაგიოხდება...

ვიწყებ: ჩემი მშობლები თავიდანვე როსტოვში ცხოვრობდნენ, მამა ვაჭრობდა, მხოლოდ და-ძმები ვსაწვლობდით... მოგვისწრო რევოლუციამ და ყველაფერი ჩამრგვართვეს, გაგვანადგურეს, უმცროსი ძმა მოკლეს, დედა გულის ტკივილს გადაჰყვა, მე, მამა და ჩემი უფროსი ძმა საქართველოში გამოვიქეცით. ჩამოსვლისთანავე მამა პოლიტიკურ მუშაობაში ჩაება — იბრძოდა თქვენს წინააღმდეგ, ხოლო ძმა, ჩემი საყვარელი ძმა, ერთხანს ტფილისში იმალებოდა, შემდეგ ჩოლოყაშვილის ბანდას შეუერთდა, იმასთან ერთად გაიქცა ევროპაში, და დღესაც არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი. მამა კი... დააპატიმრეს და საავადმყოფოში გარდაიცვალა... მხოლოდ ერთადერთი მე დავრჩი ჩვენ ოჯახში, უცხო, უცხო ხალხში, უცხო ხანაში... არავინ გამაჩნდა გარდა ორიოდე ნაცნობისა, რომელიც მამასთან ერთად ვაჭრობდნენ: ღვინით, არაყით და ხილეულით. რა მექნა... მივენდე ჩემ სილამაზეს და პირველად შეხვედრილ მამაკაცს გავყევი — იგი რუსი იყო, საქართველოში თავშემოფარებული. ყოველ წუთში დაპატიმრებას ველოდით და ერთ საღამოს იგი სადღაც გაჰქრა, დაიკარგა, რა მიზეზით, რისთვის? არ ვიცი, არა... კვლავ მარტო დავრჩი ბედისა და სილამაზის ანაბარა, ყველაფერში და ყველგან სილამაზე მშველოდა, არავინ მერიდებოდა, თუ რასმე მოვინდომებდი, უარს არავინ მეუბნებოდა... გამეყარა. პირველი მეუღლე, ჭკეთ დამეკარგა, დამრჩა პატარა შვილი. გამიჭირდა ცხოვრება... სამსახურში შესვლა მეზარებოდა, გინდაც მომესურვა არ მღებულობდ-

ნენ: სხვა ვიყავი თქვენთვის. კვლავ სილამაზეს და ქალობას ძიებდე. რადგანაც ქალი ვიყავი და სულერთი იყო, არავინ მეკითხებოდა ვინაობას... გამიჩნდა ნაცნობები... ღმერთო!.. რამდენი ახალგაზრდა გამიცურებია!... რამდენი დამიტოვებია გულნატკენი!.. რამდენი ქალი ამიტირებია!.. ბოლოს მოვბეზრდა ყველაფერი, კვლავ გავყევი ქმარს, დიაღ მეორე ქმარს... ნუ გიკვირს, ჩემო ივანე; დრომ მათამაშა ხიდან დავარდნილ შემოდგომის ფურცელივით. კარგა ხანს ვცხოვრობდი მეორე ქმართან; ჩვენი მეგობრობა ერთხანს ტკბილად გაგრძელდა, შემდეგ ჩემ ხასიათს ვერ გაუძლო და დამტოვა... გაუმაძღარი და ავხორცი ვიყავი... ბევრი რამ მენატრებოდა. მეორე ქმარს რომ გავეყარე, ერთხანს სოფელში ვცხოვრობდი, შემდეგ ისევ ქალაქს დავუბრუნდი და იმავ ზაფხულს შეგხვდი შენ... როგორც ყველა, შენ ჩემმა გარეგნობამ მოგატყუა და სხვადასხვა მიზეზებით მეც აგყევი... ბევრი რამ დაგიმალე, არც თუ შენ მატანდი ძალას, მეამბნა შენთვის ჩემი თავგადასავალი, თუმცა გამჩნევდი, რომ თანდათან ეჭვში შეხვედი, თანდათან გამოიცვალე, არც გასამტყუნარი იყავი, არა...

შენთან ყოფნის დროს ერთხანს მშვიდად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვატარებდი დროს ნაცნობთა წრეში და ბევრი მათგანი შენ გაგაცანი, როგორც ჩემი ნათესავი, თუნდაც გიორგი ჭინჭარაძე, რომელიც მე მეორე ქმართან ყოფნის დროს გავიცანი, ყველა ვაჟებს ვამჯობინე... საყვარლად გავიხადე, ისიც ნდობით მექცეოდა ერთხანს, მაგრამ... მამაკაცებს ცუდი ზნე გჭირთ: დაეუფლებით თუ არა ქალს, ჭირვეულებას მოჰყვებით, ამცირებთ, უარს ეუბნებით, ქალები კი, პირიქით... გიორგიც ხომ ვაჟი იყო: ახლო დამეგობრების შემდეგ დღედადღე გულცივად მხვდებოდა და მე კი... უფრო ძლიერად მიყვარდა და სიყვარული შურში გადადიოდა: ვერ ვიტანდი უარს. ამას დაემატა ისიც, რომ ჩვენ ოჯახში მოსვლისთანავე გიორგიმ ამიძულა და... შენ საყვარელ შვილს თამარს დაუმეგობრდა. მე კი ორივემ დამივიწყა, გადამაგდეს, გამსრისეს. შური ჩამითესეს გიორგის სიყვარულით გახელებულ გულში და ერთი მათგანი გავიმეტე... მხოლოდ ერთი... დიაღ... შენ მიხვდი... ჩვენმა ნაცნობობამ თამარი დაღუპა!.. თამარი დაღუპა და ამაში მე მიმიძღვის ბრალი... მე, მე... დიაღ... მე, ივანე!... ეს არის ჩემი წასვლის მიზეზი, მაგრამ სად წასვლის? წავალ კი სადმე?... გზა არ მიჩანს: ნისლით. სისხლით ცოდვაბრალითაა დაფარული იგი... მწარე ვარ და სიმწარით მემართება ყველაფერი — ამბობენ: გველი მაშინ არის საშიში, როდესაც გამწარდებაო... მე მწარე და მთვრალი ვარ, მაგრამ ნუ გაგიკვირდება. მე სისხლიან ხელებს გხვევდი კისერზე იმ საღამოს, გახსოვს, იმ საღამოს, თამარ რომ დაიკარგა. სისხლის სუნი მათრობდა, მაგრამ შენ კი... მეხვეოდი, მეფერებოდი და რა იცოდი, რომ მე ვიყავი ყველაფრის ჩამდენი... შენი პატივისცემა ვერ შევიშნე. შენ ბევრი ტკბილი წუთები მაგრძნობინე, ბავშვივით მივლიდი, მაგრამ... სამაგიერო ვერ გადაგიხადე სიკეთით... იქნება იმიტომ, რომ მე ხანწასული ვარ, რომ ჯიში მოიღალა და სწორ გზას ასცდა... ან იქნებ იმიტომ, რომ ცოდვა მიბნელებს თვალებს, ცოდვა მომდევს უკან, ცოდვა ცეკვავს ჩემს გარშემო, დედის მუცლიდან დაყოლილი ცოდვა, აი, ხელები მიკანკალებს, გაფრენილი ბუზის ფრთეთ ჩქამი მაკრთობს, გული მძლავრად მიცემს და მეჩქარება!.. სად? სად მეჩქარება, სად?!.. ივანე!.. აზრი მებნევა, წერილი არეულია და გრძელი გამომივიდა, მაგრამ უნდა მაპატივო, უნდა მაპატივო, რადგან ეს არის უკანასკნელი საუბარი ჩვენს შორის. აი, წერილი თავდება, შენ გული მძლავრად

გიცემს, თვალები დაფრინავენ სტრიქონებზე, სიტყვიდან სიტყვებზე: თამარის ამბავი გაინტერესებს...

დავიწყოთ თავიდან: პირველი წერილი, „უცნობის“ მოწერილი, რომელიც თამარის ხელით მიიღე, ჩემი შეთხზული იყო და ჩემი მეგობრის ხელით დაწერილი.... შენ კი მიმალავდი! მე მიხაროდა, როდესაც შენ სახეზე ზიზღს ვკითხულობდი: მეგონა თამარი შეგძულდებოდა, ოჯახიდან მოიშორებდი, მისთვის თვალითმჭვრეტელი აღარ ვიყავი, მის სიგლახეს ვნატრობდი... შენზე კი ნაკლებად იმოქმედა ამ ამბავმა. ამან უფრო გამაღიზიანა, გადავწყვიტე მომეწერა მეორე წერილი. მხოლოდ შენ რომ წერილს მიიღებდი, იმავე დღეს თამარი გაშორებოდა ტფილისს... საჭირო იყო დამხმარე, ასეთის ძებნა არ დამჭირდა: მე მყავდა ერთი ნაცნობი ყმაწვილი, რომელსაც თამარი მოსწონდა, თამარის სიყვარულით ილეოდა, თამარი კი... ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რადგან მას გიორგი ჭინჭარაძე უყვარდა; ვაჟი რომ ნებით ვერაფერს გახდა გამწარებული ბოროტების გზას დაადგა: გიორგის და თამარის განშორება მოიწადინა... ჩვენ ერთიმეორეს გამოვუტყდით და გადავწყვიტეთ გვემოქმედნა ერთად... იმ საღამოს შენ უცნობის წერილი მიიღე და სადგურზე წახვედი, მე თამართან ერთად გავლა მოვინდომე. გზაში ახალგაზრდების ჯგუფი შემოგვხვდა დაპირების თანახმად, კარგა ხანს ვლაპარაკობდით, ბოლოს ერთმა მათგანმა ეტლს დაუძახა... თამარი გაოცებული იყო, საცოდავი თვალებით მიყურებდა... ძალით ჩავსვით ეტლში და ორთაჭალისაკენ გავაქროლეთ. თამარს უნდოდა ეტლიდან გადმომხტარიყო, მაგრამ... ახალგაზრდები ესხდნენ გარშემო და ღვინით გალეშილნი სიმღერას ეუბნებოდნენ... თამარი მომიხმობდა, დედას მიწოდებდა, მაგრამ... გვიან იყო... უკანასკნელი წუთები ვერ ავიტანე, როდესაც იგი ტანისამოსშემოხეული, თმა გაშლილი, ნამუსახდილი მტკვრის ნაპირზე მიიყვანეს... შენი სახელი ახსენა... მე საწყევარი მითხრა... „ნუ თუ!“ დავიძახე მე, სასიკვდილოდ გამეტება ძნელი დამრჩა, მაგრამ... თამარი მტკვრის ტალღებს მისცეს და მე...“

მანიას წერილი აქ სწყდებოდა. ივანემ სწრაფად გადაიკითხა იგი, ნაკუწნაკუწ აქცია. გიჟივით გავარდა გარეთ — მანიას გამოეკიდა...

თავათ მანიამ სწრაფად ჩაირბინა კიბე, ქუჩაში გასულმა თვალი მოჰკრა სახლის მახლობლად მდგომ მანქანას, ნიშანი მისცეს, გაეხარდა: კოწო მოსულაო. სწრაფად მიიჭრა მანქანასთან, კარები ღია იყო, ჩემოდანი შეაგდო შიგ, მაგრამ გაოცებული დარჩა: მანქანაში რაიმილიციის უფროსი იჯდა და თავაზიანად უთხრა:

— ამობძანდით! ვისი გეშინიათ!

მანიას მუხლები მოეკვეთა, წაქცევა დააპირა, მაგრამ იქვე მდგომი მილიციონერი მოეხმარა და მანქანით გააქროლეს...

— ეს იყო და ეს. — თქვა დიასახლისმა...

— დანარჩენები? — წამოვიძახეთ ყველამ ერთხმად.

— სხვების შესახებ არაფერი ვიცი... ეს კია: ივანეს ხშირად ვხვდები.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი თავთავის ფიქრს დავუბრუნდით; მხოლოდ წუთის შემდეგ დანაჩანგალი აწკრიალდა. სადღეგრძელოები ვთქვით, წითელი კახური დავლიეთ და ერთიმეორეს ქება ვუთხარით.

აკაკი გაწერელია

დოსტოევსკი

1.

დოსტოევსკის ადრე მოეწამლა ცხოვრება; საყვარელი დედა ბავშვობაშივე გარდაეცვალა ჭლექით; სტუდენტობის წლები სიღარიბეში გაატარა; მამა უხიაგი ხასიათისა ჰყოლია და მოიპოვება ცნობები, რომლის მიხედვით ჰფიქრობდნენ, თითქოს მათ შორის მტრული დამოკიდებულებაც არსებულა. ფროიდისტებს ამ ყრუ ცნობამ კარგი მასალა მისცა კარამაზოვების კონფლიქტი (შვილებსა და მამას შორის) დოსტოევსკისავე ბიოგრაფიით აეხსნათ.

მთელი დანარჩენი პერიოდი მისი ნერვიული და ავადმყოფური ცხოვრებისა სავსეა შინაგანი მოუსვენრობითა და ფიზიკური წამებით (დოსტოევსკი ეპილეპსიით იყო დაავადებული). მან საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე განიცადა უდიდესი უბედურება: პეტრაშეველთა საქმეში მონაწილეობის მიღებისთვის სახრჩობელაზე აიყვანეს და მხოლოდ სიკვდილის მოლოდინში გამოუცხადეს სასტიკი სასჯელის კატორღად შეცვლის ბრძანება. დოსტოევსკიმ უშუალოდ ჩახედა სიკვდილს და ამ ფსიქიოლოგიური იარისაგან იგი მხოლოდ ნამდვილმა სიკვდილმა განკურნა.

დოსტოევსკიმ მარტოობის სიმწვავეც იგემა ცხოვრებასა და კატორღაში. ტოლსტოისგან განსხვავებით, რომლის მარტოობა არისტოკრატიულ სიცივესა და ყოვლის უარისმყოფელ ნიჰილიზმში მხილდებოდა, დოსტოევსკის მარტოობა სავსეა ტანჯვით, პროტესტითა და შერიგებით; ბოლოს მან თვითონ შეიყვარა თავისი წამება და არ შეეძლო ცხოვრების მიღება ტანჯვის გარეშე.

ყველაფერი ეს არის მიზეზისა იმისა, რომ დოსტოევსკის მზერა მიქცეულია ადამიანის შინაგანი ქვეყნისადმი, რომ მისი მთავარი პერსონაჟები დაავადებულნი არიან გადაჭარბებული თვითანალიზით. დოსტოევსკი იყო მხატვარი ადამიანის გულისა და გონების, იგი უფრო აზროვნებდა და ისმენდა, ვიდრე უცქეროდა და აკვირდებოდა. შეჭსპირისებური ძალოვნების ფსიქოლოგის შემოქმედება შეუდარებელი დემონსტრაციაა ცინიზმამდე მისული, უფაქიზესი ანალიზისა ადამიანის ფიქრებისა და ემოციის სფეროში. მოვლენის დახსნა მის შემადგენელ ელემენტებად, ყოველთვის ორი პოლუსის — მადონასა და სატანის იდეალების ძიება ადამიანში, — ასეთი იყო გზა დოსტოევსკის მაძიებელი ვონებისა. ამგვარი ანალიზით უდგებოდა იგი სახელმწიფოს, ღმერთის პრობლე-

მას, მომავალს. და ეს „მრისხანე ტალანტი“ ამაოდ ეძებდა ჰარმონიას მის მიერ-ვე ამეტყველებულ ქაოსში, რომლის ხმაურის გაგონებისაც ასე ეშინოდა ფე-დორ ტიუტჩევს.

2.

იშვიათად მოიპოვება მხატვარი, რომელიც ისე ღრმად ახასიათებდეს ადა-მიანის დაშვებას, დაქვეითებას უკანასკნელ საგნებამდე და იმავე ადამიანის სულიერი აგზნებისა და ექსტაზის მომენტებს, როგორც დოსტოევსკი. თვითონ მასში სცოცხლობდა ეს კარამაზოვისეული დუალიზმი. „თუ უფსკრულში და-ვექანები, მაშინ პირდაპირ თავდაყირა დავეშვები ქვევით, და კმაყოფილი ვი-ქნები კიდევაც, რომ სწორედ ასეთს დამამცირებელ მდგომარეობაში ვვარდები და ჩავთვლი მას სილამაზედ. და აი სწორედ ამ სირცხვილის ჟამს უეცრად წა-მოვიწყებ ჰიმნსო,“ — ეუბნება დიმიტრი კარამაზოვი თავის ძმას, ალიოშას. ცო-დვა, დანაშაული, როგორც მხილება ადამიანის ბუნების ერთი მხრისა, როგორც გადახვევა ყოველდღიურობის ნორმიდან და შემდეგ ანალიზი ამ დანაშაულისა, მთელი ძალების დაჭიმვა მისგან გათავისუფლების მიზნით — აი ცენტრალური მომენტი დოსტოევსკის პერსონაჟების სულიერი დიალექტიკისა. მარადი ბრძო-ლა ამ ორი დუალისტური საწყისისა ამოქმედებს დოსტოევსკის გმირებს. „...ეშ-მა ებრძვის ღმერთს, ხოლო ბრძოლის ველი—ადამიანთა გულიაო,“—აცხადებს იგივე დიმიტრი კარამაზოვი. დოსტოევსკის მთელი შემოქმედება მიმართული იყო ამ ორი საწყისის მორიგებისკენ, მისი გონება დასწვა ამ ანტაგონიზმის ანალიზმა.

დოსტოევსკი იწყებს იმ მიზეზების ჩვენებით, რომელნიც იწვევენ ადამი-ანის დაშვებას, დანაშაულს; სიღარიბე, სოციალური და პოლიტიკური უსამარ-თლობა, საზოგადოებრივი ანარქია, დასასრულ, და რაც მთავარია, ადამიანში თავიდანვე მოცემული დემონიურობა. — აი რა მიაქანებს ადამიანს დანა-შაულისაკენ. თუ ეს დანაშაული ჩადენილია ვნებათღელვის სფეროში, დოს-ტოევსკის გმირები მიიჩნევენ მას, როგორც საკუთარი არსების აუცილებელ ატრიბუტს. თუ დანაშაული საზოგადოებრივი ხასიათისაა, როგორც, მაგალი-თად, რასკოლნიკოვის მიერ მევახშე ქალის მკვლელობა, პერსონაჟები ბოლოს თვითვე აღიარებენ ჩადენილი საქციელის უსამართლობას (არა საზოგადოებ-რივი, არამედ ეთიკური თვალსაზრისით) და იწყებენ მის ანალიზს...

ხელოვნების თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა ის მუქი და ბნელი კოლორიტი, რომლითაც დამნაშავის განწყობილებანი ავსებენ მწერლის რომანებს. სულიერი წყვდიადი ფლობს გმირებს და ამ წყვდიადის ჩვენებისას დოსტოევსკი ჰქმნის განუზომლად ინფერნალურ სურათს. გადასულს უმაღლეს აბსტრაქციაში. კონკრეტული შემთხვევა იძენს ზოგად ადამიანურ შინაარსს, ინდივიდუალური უბედურება — აგრეთვე ზოგად კაცობრიულ ხასიათს. დოს-ტოევსკის პათოსი მდგომარეობს ამ თავისებური აბსტრაქციის ჩვენებაში. ამი-ტომაა იგი უფრო შექსპირის სტილის პოეტი, ვიდრე ყოფაცხოვრების მხატვა-რი-ბელეტრისტი.

ამქვეყნიური ცხოვრება, „მიწიერი“ ცხოვრება ადამიანისა სავსეა პიროტ-ეული ვნებათღელვით, ეგოიზმით, ბნელი ინსტინქტებით. თვით „სილამაზეც მრისხანე და საშინელი საგანია“! ასეთია სინამდვილე დოსტოევსკის პერსონა-ჟების გაგებით. მას შემდეგ, რაც ადამმა სცოდა და ვაშლი იგემა, სინამდვილე

არის მხილება უსამართლობისა, სინამდვილე, რომელშიც ადამიანს ხშირად გზისთვის ვერ მიუგნია. მაგრამ ადამიანში ცოცხლობს მდუღარე სული, რომელიც ელტვის სინათლეს და რომელიც ექსტაზის ჟამს წამიერად მაინც ანათებს ამ გნელ სინამდვილეს. დოსტოევსკის სურს უმღერის ჰიმნი ლტოლვას უმაღლესისადმი, სულის ისეთს რელიგიურ განწყობილებას, როცა უმაღლესი ჰარმონიის საზღვრები ხელშესახები ხდება.

ერთერთს ცენტრალურს მომენტს დოსტოევსკის შემოქმედებაში წარმოადგენს რელიგიური გრძნობის სიჭარბე — ძიება საკუთარი ღმერთისა. მისთვის, როგორც სლავიანოფილური სკოლის მწერლისთვის, იდეალს შეადგენდა რუსული ღმერთის პოვნა. მთელი თავისი პუბლიცისტური და მხატვრული გენიით ესხმოდა იგი თავს ათეისტებს, მიაწერდა მათ ზნეობრივი და სოციალური ანარქიის ავტორობას. მიუხედავად მგზნებარე პამფლეტებისა და ცინიკური დახასიათებისა ათეისტების მისამართით, შეუძლებელია დოსტოევსკის აღიარება ორთოდოქსალურ ან სექტანტურ მორწმუნედ. მას, სწორედ ათეისტური ეპოქის შვილს (დოსტოევსკი 60-70-ნი წლების მწერალი იყო), არ გააჩნდა საშუალსაუკუნეთა ადამიანის ანახორეტული ბუნება და მისი კრიტიკული რაციონალიზმი რიცხავდა ღმერთის უკანონოდ მიღების იდეას. მშვიდი და ურყევი რწმენისათვის კი აუცილებელ პირობას ყოველთვის ფანატიზმი ან გონებრივი შეზღუდულობა წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, რელიგიური გრძნობა მასში მაინც ძლიერი იყო და ამ გრძნობამ თავისებური გაფორმება ჰპოვა მწერლის შემოქმედებაში.

დოსტოევსკის დაეჭვებანი (გავიხსენოთ მის მიერ არც ისე შემთხვევით ნათქვამი: — „ჩვენ ყველანი ნიჰილისტები ვართო!") გამოთქმულია ივანე კარამაზოვის მიერ (რომანი „ძმები კარამაზოვები"), ხოლო მწერლის საუკეთესო ეთიკური, სახელმწიფოებრივი და რელიგიური იდეალები — შატოვის მიერ (რომანი „ეშმაკები").

3.

ივანე კარამაზოვს, რომელიც ვასილ როზანოვის განსაზღვრის თანახმად დოსტოევსკის შემოქმედების „მთელი სხეულის თავს" წარმოადგენს, პირდაპირ წარმართული უშუალობით უყვარს ცხოვრება. „რომ არ მჯეროდეს ცხოვრების, რომ გამომეცვალოს რწმენა საყვარელი ქალისადმი, დავკარგო რწმენა საგნების წესრიგში, ვიგემო ადამიანური იმედგაცრუების ყველა საშინელება, მე მაინც მოვისურვებ ცხოვრებასო"—ეუბნება იგი თავის ძმას. და ეს ძმაც ალექსეი, გახარებულია, რომ ივანეში ცოცხლობს „კარამაზოვისეული თვისება", უშუალო წყურვილი სიცოცხლისა: „მე ვფიქრობ, რომ ამქვეყნად ყველას უწინარეს ყოვლისა ცხოვრება უნდა უყვარდესო" — ამბობს იგი. ივანე სვამს კითხვას: „ცხოვრება უნდა გვიყვარდეს უფრო, ვიდრე მისი აზრი?", და ესმის შესაფერი პასუხი — უეჭველად ასე—ლოგიკის უწინარეს უნდა შეიყვარო იგიო!". იგიო!".

მაგრამ ივანე კარამაზოვი ინტელექტის კაცია და მას ეს ხელს უშლის. მის კრიტიკულ გონებას არ შეუძლია სინამდვილის არსებული სახით მიღება. ივანე კარამაზოვის ათეიზმი უაღრესად კონკრეტიული შინაარსის მქონეა. ის არ არის დაინტერესებული კითხვით: „ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი, თუ ადამიანმა ღმერთი", არამედ უარს ამბობს ქვეყნის მიღებაზე საერთოდ. რადგან ეს ქვეყანა

სავსეა გაუმართლებელი წამებით, ქვეყანა, სადაც ბრმა და უაზრო სასჯელის ტვირთი წილად ხვდათ უდანაშაულო ბავშვებსაც. თუნდაც მარტო ამ ფაქტის გამო არ შეიძლება ქვეყნის მიღება. აი ცნობილი განცხადება ივანე კარამაზოვისა: „Я не бога не принимаю, пойми ты это, я мира Им созданного, мира-то Божьяго не принимаю и не могу согласиться принять!" და რადგან მომავალი ჰარმონია ნაყიდია უდანაშაულოთა წამებითა და ცრემლით, ასეთს ჰარმონიაში შესასვლელ ბილეთს იგი უკანვე უბრუნებს ღმერთს.

ცხოვრებისადმი ულრმესი, მიწიერი სიყვარულის მიუხედავად ის ღმერთს უმართავს სასამართლოს (პოემა „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე") სწორედ იმის გამო, რომ მიწაზე ბევრია უსამართლობა.

დოსტოევსკიმ იცის, რომ ივანე კარამაზოვს, ძლიერი ლოგიკის ადამიანს, არ შეუძლია ცხოვრების უკრიტიკოდ მიღება. ანალიტური გონება კი ჰშლის რწმენას, მიჰყავს იგი ათეიზმამდე, ანტიეთიკურობამდეც. „ყველაფერი დასაშვებია!" — ივანე კარამაზოვის ეს ფორმულა კარგად გამოიყენა ათეისტმა და ლაქიამ, სმერდიაკოვმა: თავისი იდეოლოგიური მეთაურის ფორმულით შთაგონებულმა მოჰკლა ივანეს მამა ფეოდორ კარამაზოვი, რომლის უკანონო შვილიც თვითონ იყო.

კრიტიკული უნარით აღჭურვილი პერსონაჟები დოსტოევსკისა მუდამ გაორებულნი არიან. მათი სულის ბნელ მხარეთა გამოხატულებას ყოველთვის სხვა პერსონაჟები წარმოადგენენ: ივანე კარამაზოვის ასეთს მეორე ნახევარს წარმოადგენს ლაქია სმერდიაკოვი, სტავროგინისას—პეტრე ვერხოვენსკი და ა. შ. ამ გმირებთან ერთად დოსტოევსკის რომანებში მოქმედებენ კეთილშობილი, თითქოს მატერიალურს სიმძიმეს მოკლებული, რელიგიური ბუნების ადამიანები — ალექსეი კარამაზოვი, მიშკინი. შატოვი და სხვები.

შატოვი ყველაზე უფრო სრული განსახირებაა კეთილშობილებისა და, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო საყვარელი პერსონაჟი თვითონ ავტორისათვის. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ ალექსეი კარამაზოვის სქემატური სახე გამოწვეულია იმით, რომ დოსტოევსკიმ თავისი საუკეთესო იდეალები უკვე შატოვს ალაპარაკა („ეშმაკები" დაიბეჭდა 1871-1872 წ. წ. ხოლო „ძმები კარამაზოვები" 1879-1880 წ. წ.). რაც შეეხება მიშკინს („იდიოტი") მწერალმა მისი სახით უმთავრესად ეთიური გმირი გამოჰკვეთა. ამ პერსონაჟის მკაფიო პოლიტიკური ან რელიგიური მრწამსი ჩვენთვის უცნობია. ასეთი გააჩნია განსაკუთრებით შატოვს.

შატოვი უკიდურესი მტერია ათეიზმისა და ათეისტებისა. რელიგიის გარეშე მისთვის არ არსებობს ერის ცნებაც. „არცერთი ერი ჯერ არ დაფუძნებია გონებისა და მეცნიერების საწყისებსო", — ეუბნება ის სტავროგინს და ცოტა ქვემოდ ამტკიცებს „გონება და მეცნიერება ხალხთა ცხოვრებაში ყოველთვის, ახლაც და საუკუნეთა წინათაც. ასრულებდნენ მეორეხარისხოვან და დამხმარე მოვალეობასო". შატოვის აზრით „ხალხური მოძრაობის მთელს მიზანს, ყოველ ერში და ყოველს პერიოდში მისი არსებობისა, შეადგენდა მარტოდენ ძიება ღმერთისა, საკუთარი ღმერთისა, აუცილებლად საკუთარის, და მისი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტის, რწმენა. ღმერთი არის სინტეთიური პიროვნება მთელი ხალხისა, თავიდანბოლომდე. ჯერ არ ყოფილა, რომ ყველა ან მრავალ ერს ჰყოლოდეს ერთი საერთო ღმერთი, არამედ თვითეულს ჰყავდა საკუთარი ღმერთი. ერების დაღუპვის ნიშანია, როცა ღმერთები ხდებიან საერთონი, რა-

დგან ღმერთები და მათდამი რწმენა კვდებიან ერების სიკვდილთან ერთად. რამდენადაც ძლიერია ერი, იმდენად დამოუკიდებელია მისი ღმერთი. არასოდეს არ ყოფილა ერი რელიგიის გარეშე, ანუ ბოროტისა და კეთილის შეგნების გარეშე," — აი ცენტრალური იდეა შატოვის სოფლმხედველობაში.

— „ვაღიარებ ღმერთს ერის ატრიბუტადო," — ამბობს შატოვი. „ერი — ეს ღვთაების სხეულიაო", — ამტკიცებს იგი დაჟინებით.

შატოვი მიმართავს ისტორიულ ექსკურსს თავისი შეხედულების დასასაბუთებლად. ებრაელთა, ბერძენთა, რომაელთა და სხვა ერების ღმერთების მაგალითზე მას სურს გვიჩვენოს საკუთარი ისტორიული კონცეპციის სისწორე. ბოლოს ასკვნის: „თუ დიდ ერს არ სწამს, რომ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტება (სახელდობრ და განსაკუთრებით მასში), თუ არ სწამს, რომ მხოლოდ ის ერთია მოწოდებული ყველას აღსადგენად და გადასარჩენად თავისი ჭეშმარიტების შემწეობით, მაშინ იგი უმალვე იქცევა ეტნოგრაფიულ მასალად და არა დიდ ერად. ჭეშმარიტად დიდ ერს არასოდეს არ შეუძლია შეურიგდეს მეორეხარისხოვან როლს კაცობრიობაში, ან თუნდაც პირველ ხარისხოვანს, არამედ მხოლოდდამხოლოდ, აუცილებლად პირველ როლს. ვინც ამ რწმენას ჰკარგავს, ის ერი არ არის". შატოვის ამ აღსარებაში რელიფური სიცხადით არის გამოთქმული სლავიანოფილური იდეა, თუმცა შატოვს არ აკმაყოფილებს ოფიციალური სლავიანოფილიზმი.

ასეთი იყო თვითონ დოსტოევსკის იდეალიც. ამ იდეალმა მიიყვანა იგი რუსული მესიანიზმის რწმენამდე, პოლიტიკაში კი — თუ დავიხმარებთ თანამედროვე ტერმინოლოგიას. — დიდმპყრობელურ შოვინიზმამდე.

ისტორიამ მშვენივრად დაამტკიცა დოსტოევსკის სლავიანოფილური მრწამსის „სიმართლე". და ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ მის შესახებ. საკმარისია მკითხველმა თვალი გადაავლოს დოსტოევსკის „მწერლის დღიურებს", რათა დარწმუნდეს, რომ რევოლუციის ეპოქაში აღზრდილ ადამიანს დღეს უკვე ლიმილს ჰგვრის სლავიანოფილური იდეოლოგიის დრომოჭმულობა და აბსურდობა.

შატოვის იდეების შესახებ კიდევ შეიძლებოდა ბევრის თქმა, მაგრამ ამჟამად ჩვენ მხოლოდ ერთს დამახასიათებელ მომენტებზე მივუთითებთ.

სტავროგინი ეკითხება შატოვს — „მინდოდა ერთი რამ გამეგო: გწამთ თქვენ ღმერთი თუ არა?" შატოვს ენა ეშლება პასუხის გაცემისას: — „მე მწამს რუსეთის, მე მწამს მისი მართლმადიდებლობა. მე მწამს ქრისტეს სხეული... მე მწამს, რომ მეორედ მოსვლა რუსეთში მოხდება... მე მწამს — ...წაილულლულა შატოვმა აღტყინებით. — მაგრამ ღმერთი? ღმერთი? — მე... ვირწმუნებ ღმერთსო". — უპასუხებს ბოლოს იგი სტავროგინს.

მკითხველი ატყობს, რომ ამ პასუხში ისმის კარამაზოვისეული კრიტიციზმი, რომ შატოვიც გაბზარული რწმენის ადამიანია.

ასეთივე გაბზარული რწმენის მატარებელი იყო თვითონ დოსტოევსკი. ჩვენ ზემოთაც მიუთითეთ ამ მომენტზე.

შატოვთან შედარებით ალექსეი კარამაზოვი უფერული პერსონაჟია. დოსტოევსკი მხატვარი იყო გაორებული ადამიანებისა და როგორც პირადს ცხოვრებაში, ისე საერთოდ, — მწერალი ვერ ხედავდა მთლიანი ბუნების ადამიანებს. დოსტოევსკი-მხატვრის ძალა მდგომარეობდა მოპირისპირე პოლუსებზე მოქანავე რწმენის, ენებისა და მოქმედების შეუდარებელ ჩვენებაში.

სავსეა გაუმართლებელი წამებით, ქვეყანა, სადაც ბრმა და უაზრო სასჯელის ტვირთი წილად ხვდათ უდანაშაულო ბავშვებსაც. თუნდაც მარტო ამ ფაქტის გამო არ შეიძლება ქვეყნის მიღება. აი ცნობილი განცხადება ივანე კარამაზოვისა: „Я не бога не принимаю, пойми ты это, я мира Им созданного, мира-то Божьяго не принимаю и не могу согласиться принять!“ და რადგან მომავალი ჰარმონია ნაყიდია უდანაშაულოთა წამებითა და ცრემლით, ასეთს ჰარმონიაში შესასვლელ ბილეთს იგი უკანვე უბრუნებს ღმერთს.

ცხოვრებისადმი ულრმესი, მიწიერი სიყვარულის მიუხედავად ის ღმერთს უმართავს სასამართლოს (პოემა „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე“) სწორედ იმის გამო, რომ მიწაზე ბევრია უსამართლობა.

დოსტოევსკიმ იცის, რომ ივანე კარამაზოვს, ძლიერი ლოგიკის ადამიანს, არ შეუძლია ცხოვრების უკრიტიკოდ მიღება. ანალიტური გონება კი ჰშლის რწმენას, მიჰყავს იგი ათეიზმამდე, ანტიეთიკურობამდეც. „ყველაფერი დასაშვებია!“ — ივანე კარამაზოვის ეს ფორმულა კარგად გამოიყენა ათეისტმა და ლაქიამ, სმერდიაკოვმა: თავისი იდეოლოგიური მეთაურის ფორმულით შთაგონებულმა მოჰკლა ივანეს მამა ფეოდორ კარამაზოვი, რომლის უკანონო შვილიც თვითონ იყო.

კრიტიკული უნარით აღჭურვილი პერსონაჟები დოსტოევსკისა მუდამ გაორებულნი არიან. მათი სულის ბნელ მხარეთა გამოხატულებას ყოველთვის სხვა პერსონაჟები წარმოადგენენ: ივანე კარამაზოვის ასეთს მეორე ნახევარს წარმოადგენს ლაქია სმერდიაკოვი, სტავროგინისას—პეტრე ვერხოვენსკი და ა. შ. ამ გმირებთან ერთად დოსტოევსკის რომანებში მოქმედებენ კეთილშობილი, თითქოს მატერიალურს სიმძიმეს მოკლებული, რელიგიური ბუნების ადამიანები — ალექსეი კარამაზოვი, მიშკინი, შატოვი და სხვები.

შატოვი ყველაზე უფრო სრული განსახირებაა კეთილშობილებისა და, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო საყვარელი პერსონაჟი თვითონ ავტორისათვის. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ ალექსეი კარამაზოვის სქემატური სახე გამოწვეულია იმით, რომ დოსტოევსკიმ თავისი საუკეთესო იდეალები უკვე შატოვს ალაპარაკა („ეშმაკები“ დაიბეჭდა 1871-1872 წ. წ. ხოლო „ძმები კარამაზოვები“ 1879-1880 წ. წ.). რაც შეეხება მიშკინს („იდიოტი“) მწერალმა მისი სახით უმთავრესად ეთიური გმირი გამოჰკვეთა. ამ პერსონაჟის მკაფიო პოლიტიკური ან რელიგიური მრწამსი ჩვენთვის უცნობია. ასეთი გააჩნია განსაკუთრებით შატოვს.

შატოვი უკიდურესი მტერია ათეიზმისა და ათეისტებისა. რელიგიის გარეშე მისთვის არ არსებობს ერის ცნებაც. „არცერთი ერი ჯერ არ დაფუძნებია გონებისა და მეცნიერების საწყისებსო“, — ეუბნება ის სტავროგინს და ცოტა ქვემოდ ამტკიცებს „გონება და მეცნიერება ხალხთა ცხოვრებაში ყოველთვის, ახლაც და საუკუნეთა წინათაც, ასრულებდნენ მეორეხარისხოვან და დამხმარე მოვალეობასო“. შატოვის აზრით „ხალხური მოძრაობის მთელს მიზანს, ყოველ ერში და ყოველს პერიოდში მისი არსებობისა, შეადგენდა მარტოდენ ძიება ღმერთისა, საკუთარი ღმერთისა, აუცილებლად საკუთარის, და მისი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტის, რწმენა. ღმერთი არის სინტეთიური პიროვნება მთელი ხალხისა, თავიდანბოლომდე. ჯერ არ ყოფილა, რომ ყველა ან მრავალ ერს ჰყოლოდეს ერთი საერთო ღმერთი, არამედ თვითეულს ჰყავდა საკუთარი ღმერთი. ერების დალუპვის ნიშანია, როცა ღმერთები ხდებიან საერთონი, რა-

დგან ღმერთები და მათდამი რწმენა კვდებიან ერების სიკვდილთან ერთად. რამდენადაც ძლიერია ერი, იმდენად დამოუკიდებელია მისი ღმერთი. არასოდეს არ ყოფილა ერი რელიგიის გარეშე, ანუ ბოროტისა და კეთილის შეგნების გარეშე," — აი ცენტრალური იდეა შატოვის სოფლმხედველობაში.

— „ვალიარებ ღმერთს ერის ატრიბუტადო," — ამბობს შატოვი. „ერი — ეს ღვთაების სხეულიაო", — ამტკიცებს იგი დაჟინებით.

შატოვი მიმართავს ისტორიულ ექსკურსს თავისი შეხედულების დასასაბუთებლად. ებრაელთა, ბერძენთა, რომაელთა და სხვა ერების ღმერთების მაგალითზე მას სურს გვიჩვენოს საკუთარი ისტორიული კონცეპციის სისწორე. ბოლოს ასკვნის: „თუ დიდ ერს არ სწამს, რომ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტება (სახელდობრ და განსაკუთრებით მასში), თუ არ სწამს, რომ მხოლოდ ის ერთია მოწოდებული ყველას აღსადგენად და გადასარჩენად თავისი ჭეშმარიტების შემწეობით, მაშინ იგი უმალვე იქცევა ეტნოგრაფიულ მასალად და არა დიდ ერად. ჭეშმარიტად დიდ ერს არასოდეს არ შეუძლია შეურიგდეს მეორეხარისხოვან როლს კაცობრიობაში, ან თუნდაც პირველ ხარისხოვანს, არამედ მხოლოდდამხოლოდ, აუცილებლად პირველ როლს. ვინც ამ რწმენას ჰკარგავს, ის ერი არ არის". შატოვის ამ აღსარებაში რელიფური სიცხადით არის გამოთქმული სლავიანოფილური იდეა, თუმცა შატოვს არ აკმაყოფილებს ოფიციალური სლავიანოფილიზმი.

ასეთი იყო თვითონ დოსტოევსკის იდეალიც. ამ იდეალმა მიიყვანა იგი რუსული მესიანიზმის რწმენამდე, პოლიტიკაში კი — თუ დავიხმარებთ თანამედროვე ტერმინოლოგიას, — დიდმპყრობელურ შოვინიზმამდე.

ისტორიამ მშვენივრად დაამტკიცა დოსტოევსკის სლავიანოფილური მრწამსის „სიმართლე". და ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ მის შესახებ. საკმარისია მკითხველმა თვალი გადაავლოს დოსტოევსკის „მწერლის დღიურებს", რათა დარწმუნდეს, რომ რევოლუციის ეპოქაში აღზრდილ ადამიანს დღეს უკვე ლიმილს ჰგვრის სლავიანოფილური იდეოლოგიის დრომოჭმულობა და აბსურდობა.

შატოვის იდეების შესახებ კიდევ შეიძლებოდა ბევრის თქმა, მაგრამ ამჟამად ჩვენ მხოლოდ ერთს დამახასიათებელ მომენტებზე მივუთითებთ.

სტავროგინი ეკითხება შატოვს — „მინდოდა ერთი რამ გამეგო: გწამთ თქვენ ღმერთი თუ არა?" შატოვს ენა ეშლება პასუხის გაცემისას: — „მე მწამს რუსეთის, მე მწამს მისი მართლმადიდებლობა. მე მწამს ქრისტეს სხეული... მე მწამს, რომ მეორედ მოსვლა რუსეთში მოხდება... მე მწამს — ...წაილულღლულა შატოვმა აღტყინებით. — მაგრამ ღმერთი? ღმერთი? — მე... ვირწმუნებ ღმერთსო". — უპასუხებს ბოლოს იგი სტავროგინს.

მკითხველი ატყობს, რომ ამ პასუხში ისმის კარამაზოვისეული კრიტიციზმი, რომ შატოვიც გაბზარული რწმენის ადამიანია.

ასეთივე გაბზარული რწმენის მატარებელი იყო თვითონ დოსტოევსკი. ჩვენ ზემოთაც მიუთითეთ ამ მომენტზე.

შატოვთან შედარებით ალექსეი კარამაზოვი უფერული პერსონაჟია. დოსტოევსკი მხატვარი იყო გაორებული ადამიანებისა და როგორც პირადს ცხოვრებაში, ისე საერთოდ, — მწერალი ვერ ხედავდა მთლიანი ბუნების ადამიანებს.

დოსტოევსკი-მხატვრის ძალა მდგომარეობდა მოპირისპირე პოლუსებზე მოქანავე რწმენის, ვნებისა და მოქმედების შეუდარებელ ჩვენებაში.

არა მარტო ცხოვრებისადმი სიყვარული ან მისი კრიტიკული ათვისება, არა მარტო ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ ან სატანური ვნებათაღელვანი ამოძრავებენ დოსტოევსკის პერსონაჟებს, — ზოგიერთი მისი გმირი დაავადებულია გამანადგურებელი მოწყენილობით:

— „Прикажи Лучию! Я люблю торжественность скуки!“

ამბობს „მოზარდის“ გმირი ვერსილოვი, რომელიც გაურბის „მოწყენას, საშინელ მოწყენას“ და ხშირი სტუმარია ტრაქტირის, სადაც „მოწყენის ზეიმით სტკბება“.

რა იწვევს ამ მოწყენას? — ერთფეროვნება

ყველაფერი, რაც ხდება, უკვე იყო. „ყველაფერი უთვალავჯერ მეორდებაო“, — ეუბნება ივანე კარამაზოვს თავისივე ორეული — ეშმაკი.

მოვლენათა განმეორების მომენტზე მიუთითა ჯერ კიდევ გოეტემ, რომელმაც ფაუსტს ათქმევინა:

ყოველი წარმავალი
არის მხოლოდ მსგავსება!

ერთფეროვნების, „მარადი მობრუნების“ აზრი კი ყველაზე მკაფიოდ და შხატვრულად გამოსთქვეს—ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად—ნიცშემ და დოსტოევსკიმ. „ზარატუსტრაში“ ქონდრის-კაცი მარადისობას ადარებს ობობას ქსელს ისევე, როგორც სვიდრიგაილოვი „დანაშაულსა და სასჯელში“ (ნახე დიალოგი რასკოლნიკოვთან მე-4 ნაწილის პირველს თავში). ასეთი შეხვედრა ორ მოაზროვნის შორის განცვიფრებას იწვევს. [1])

ობობას ქსელის ყოველი მუხლი პირველის განმეორებაა და ერთდაიმავე საფეხურისადმი დაბრუნება. მარადისობაც ასეთს ერთფეროვან „მარადი მობრუნების“ ჯაჭვს წარმოადგენს. ფოთოლი დაჭკნა და მოსწყდა ხის ტოტს, გაისადაც ისეთივე ფოთოლს გამოისხამს იგი, ისევე დასჭკნება და მოწყდება ტოტს. „ყველაფერი უთვალავჯერ მეორდება!..“ ცხოვრების ყოველს მოვლენაში ცხადდება ერთფეროვანებისა და „მარადი მობრუნების“ ეს რიტმი და სვიდრიგაილოვი იძულებულია განაცხადოს „საშინელი მოწყენაო!..“

ყოველდღიურობის ერთფეროვან პროზაში დოსტოევსკის გმირები ნახულობენ ირრეალურსა და ფანტასტიურს, თვითონ მწერალს აინტერესებდა საგნობრივი, მატერიალური სინამდვილის მეორე, ნოუმენალური მხარე. დოსტოევსკისავე გამოთქმით, მას უყვარდა „რეალიზმი, რომელიც აღწევს ფანტასტიურს“ და აცხადებდა, რომ „რა შეიძლება იყოს უფრო არაჩვეულებრივი, ვიდრე თვითონ სინამდვილეო.“ დოსტოევსკი ექიმებთან ამოწმებდა ივანე კარამაზოვის ჰალუცინაციას. როგორც ფსიქიურად სავსებით შესაძლებელ მოვლენას (იხ. მისი კერძო წერილები „კარამაზოვების“ გამო)

---

[1]) აღსანიშნავია მეორე შეხვედრაც: ნიცშეს „ზეკაცის“ იდეასა და კირილოვის მიერ სტავროგინთან საუბრისას გამოთქმულ „კაცღმერთის“ იდეას შორის ბევრია შემხვედრი წერტილი (იხ. რომანი „ეშმაკები“). და ეს მაშინ, როცა დოსტოევსკის ნიცშე იცნობდა მხოლოდ ერთი წიგნით „წერილები მკვდარი სახლიდან“. მიუხედავად ამისა, „ზარატუსტრას“ ავტორი „თავისი ცხოვრების ბედნიერ მონაპოვარს“ უწოდებდა მას, აღიარებდა „ფსიქოლოგად, რომლისგანაც ბევრი რამ ისწავლა“.

მწერლის დაჟინებული ცდა სინამდვილის დასახლებისა ირრეალური მოვლენებითა და მოჩვენებებით, ნაწილობრივ გამართლებულია პერსონაჟებისა და თვით ავტორის ავადმყოფობით. დოსტოევსკის მთავარი გმირები მუდამ რაიმე ანომალიით შეპყრობილნი ან საერთოდ ავადმყოფები არიან: თავადი მიშკინი („იდიოტი") და სმერდიაკოვი („ძმ. კარამაზ.") ეპილეპტიკები არიან; იპოლიტი („იდიოტი") ჭლექიანია; ვერსილოვი („მოზარდი") და სვიდრიგაილოვი („დანაშ. და სასჯ.") მოწყენილობას შეუპყრიათ. უმიზეზო თვითმკვლელობა ამოძრავებს მანიაკ კირილოვს („ეშმაკები"). ივანე კარამაზოვი და სტავროგინი გაორებულნი არიან და ა. შ. არ არის ძნელი ანომალის ელემენტების ამოჩენა ფედორ და დიმიტრი კარამაზოვებში, რაგოჟინში, რასკოლნიკოვში და სხვა პერსონაჟებში. ქალებს შორისაც უმთავრესად ავადმყოფებს ვხედავთ: კოჭლი ლიზა ან ისტერიკული კატერინა ივანოვა („ძმ. კარამაზ."), კაპიტან ლებიადკინის და, მარია ტიმოფეევნა („ეშმაკები"), ნასტასია ფილიპოვნა („იდიოტი"), სონია მარმელადოვა („დანაშ. და სასჯ.") და სხვები ნორმალურ ადამიანთა ჯგუფს არ მიეკუთვნებიან. ნაწილობრივ გამონაკლისს წარმოადგენს „მხეცი ქალი" — გრუშენკა („ძმ. კარამაზ") და განსაკუთრებით კი მშვენიერი აგლაია („იდიოტი"). საერთოდ კი მთელი ანსამბლი დოსტოევსკის გმირებისა კლინიკის პაციენტთა კრებულს მოგვაგონებს. აღარაფერს ვლაპარაკობთ მწერლის მეორე და მესამე-ხარისხოვან პერსონაჟებზე — მკვლელებზე, პროვოკატორებზე და სხვ. ბავშვებიც კი დოსტოევსკის პროზაში ნაადრევი ისტერიკით დაავადებულნი სჩანან, (მაგ. ილუშა „კარამაზოვებში").

ავადმყოფი დოსტოევსკის თვალი სხვა ქვეყანას თითქოს ვერც ამჩნევდა. ეს იყო მისი, როგორც მხატვრის, ნაკლი.

ავადმყოფობას მწერალი უცქეროდა, როგორც ჯანმრთელი ადამიანისთვის უცნობ ქვეყანასთან მიახლოვების პირობას. აი რას ეუბნება სვიდრიგაილოვი რასკოლნიკოვს (ნაწ. 4):

„მოჩვენებანი — ეს, ასე ვსთქვათ, ნაფლეთები და ნაწყვეტებია სხვა სამყაროებისა. ცხადია ჯანმრთელმა კაცმა ისინი არ უნდა ნახოს, რადგან ჯანმრთელი ადამიანი ყველაზე უფრო მიწიერი ადამიანია და. მაშასადამე, მან უნდა იცხოვროს მარტოოდენ აქაური ცხოვრებით, სისავსისა და წესრიგისთვის. მაგრამ თუ ის ოდნავ ავად გახდა, თუ ოდნავ დაირღვა ნორმალური წესრიგი ორგანიზმში, მაშინვე ჩნდება შესაძლებლობა სხვა სამყაროსი, და რამდენადაც უფრო ავად იქნება ის, მით უფრო მეტი იქნება შესაძლებლობა სხვა სამყროსთან შეხებისა; ასე, რომ როცა ადამიანი სავსებით მოკვდება, ის პირდაპირ გადავა სხვა სამყაროში."

ეს არის დასაბუთება მოვლენისა ლრმა, მაგრამ მაინც ინდივიდუალური და კერძო მომენტით; ამიტომ შეუძლებელია ამ მომენტის გავრცელება სინამდვილეზე მთლიანად. ამან უწინარეს ყოვლისა ავნო მის ხელოვნებას: დოსტოევსკის პროზა სცოდავს ცალმხრივობის მხრივ. სამართლიანად შენიშნა ეს ჯერ კიდევ მელხიორ დე ვოგუემ, რომელმაც პირველად გააცნო მისი შემოქმედება ფრანგებსა და საერთოდ ევროპელ საზოგადოებას (ნ. წიგნი „რუსული რომანი". 1886).

არ იქნება ზედმეტი აღვნიშნოთ ისიც, რომ დოსტოევსკის დიდი გავლენის შემდეგ იწყება ევროპულს ლიტერატურაშიც ცალმხრივი და ავადმყოფური

მწერლობის ნაკადი (ავგუსტ სტრინდბერგი, შარლ ლუი ფილიპ, გერმანელი ექსპრესიონისტები და სხვ.)

5.

დოსტოევსკი არ არის პლასტიური სტილის მხატვარი. აზრის ცხადსაყოფად კმარა თუნდაც მისი შედარება ტოლსტოისთან. გმირის პოზების აღწერას, რომელსაც ასე ხშირად მიმართავს „ომი და ზავის“ ავტორი და რომელიც მან სტერნიდან ისწავლა, დოსტოევსკი სავსებით გაურბის. სამაგიეროდ „ძმები კარამაზოვების“ ავტორი პორტრეტული ხატვის მომენტს თავისი დიალოგებით ანხორციელებს. მსოფლიო პროზაში არ მოიპოვება უფრო დიდი ოსტატი დიალოგისა, ვიდრე დოსტოევსკი. მისი პერსონაჟები, სტეფან ცვაიგის მახვილი შენიშვნით, შეიძლება გრაფიკულად დაიხატონ მათივე საუბრების მიხედვით.

დოსტოევსკი ფსიქოლოგიური პორტრეტის მხატვარია და გარეგანი ქვეყანა მის რომანებში იმდენად არსებობს, რამდენადაც იგი საჭიროა პერსონაჟის ამა თუ იმ სულიერი მდგომარეობის დასახასიათებლად. საგნების რელიეფი დოსტოევსკის პროზაში გაფერმკრთალებულია, თითქმის წაშლილია. იგი რემბრანდტისებური მხატვარია სურათისა, სადაც სინათლე მეტწილად ეცემა მხოლოდ სახეებს, ხოლო ფონი წყვდიადშია ჩანთქმული (რემბრანდტის მსგავსად დოსტოევსკიც სახის ნაწილებს კი არ აჩვენებს ანატომიური სიზუსტით, არამედ სახის შინაგან გამომეტყველებას.)

ტოლსტოი კი მხატვარია არა სურათის (рисунок, Bild), არამედ ვრცელი პანორამისა. საგნების ჰარმონიული წყობა ამ რომანისტის შემოქმედებაში არასოდეს არ არის დარღვეული. პერსონაჟის სულიერი განწყობილება არ ჰხვევს საგნებს მისთვის შესაფერს ლეჩაქში. დოსტოევსკი კი გარეგან ქვეყანას თავისი ავადმყოფი გმირების თვალით უცქერის. ეს მან შეჰქმნა რუსულ ლიტერატურაში ირრეალური, მერყეევი და ფანტასტიური სურათი პეტერბურგისა, რომლის შესახებ ავტორი ერთს თავის გმირს ალაპარაკებს: „შეიძლება იგი მხოლოდ ვისმეს სიზმარია; შეიძლება ვინმემ გაიღვიძოს და ისიც გაჰქრესო“, ქალაქის, სადაც პროზაული ცხოვრება „ფანტასტიურს ემიჯნება“.

ტოლსტოის პროზა მდიდარია ტერიტორიული სივრცით, დროის ხანგრძლივობით, ყოფის დეტალებით. ავტორს გამოჰყავს სხვადასხვა ფენისა და პროფესიის წარმომადგენლები. მისი რომანი სავსეა ნადირობით, დოღით, გრანდიოზული ბატალური სცენებითა და უინტიმესი წვრილმანებით, — დიდი და მცირე პლანით. დოსტოევსკის არცერთს ნაწარმოებში (შეიძლება ნაწილობრივ გამონაკლისს წარმოადგენდეს „ეშმაკები“) არ არის გადაშლილი ასეთი ვრცელი პანორამა რუსეთის ცხოვრებისა. მისი გმირები — ქალაქის ან დაბის მეშჩანები არიან; ამიტომაც ვიწროა პერსონაჟების სამოქმედო არეც: დოსტოევსკის გმირები პეტერბურგში, ან რომელიმე პროვინციის დაბაში ცხოვრობენ. ბნელი ქუჩები და მოსახვევები, ოთახი, ან ტრაქტირი — აი ადგილი მისი პერსონაჟების ვნებათღელვისა და კოსმოპოლიტური საუბრებისა. „...я всегда переулочки любил, — ამბობს დიმიტრი კარამაზოვი, — глухие и темные закоулочки, за площадью, — там приключения, там неожиданности, там самородки в грязи“. ივანე კარამაზოვი თავის გენიალურ პოემას — „ლეგენდას დიდს ინკვიზიტორზე“ ტრაქტირში უყვება თავის ძმას; მოსახვევში, ფანრიან ბოძთან უმართავს ალექსეი ივანეს თავის ცნობილ დიალოგს: „Не ты, не ты“. „ეშმაკებში“ პეტრე ვერხოვენსკი ბნელ ქუჩაში უმხელს თავის

სატანურ გეგმებს სტავროგინს; ასეთი ადგილები უყვართ რასკოლნიკოვსა და სვიდრიგაილოვს („დანაშ. და სასჯ."), ვერსილოვს („მოზარდი") და სხვ. და რამდენი მაგალითი შეიძლება მოყვანილ იქნას მწერლის მოთხრობიდან და რომანებიდან... დოსტოევსკი შეგნებულად არ აფართოვებს ტერიტორიულ არეს და შემოფარგლულია — ქუჩით, ოთახით, ტრაქტირით...

მისი რომანების დროც ყოველთვის მცირეა: „იდიოტის" ნახევარი ერთი დღით განისაზღვრება, მოკლეა „ძმები კარამაზოვების" დროც. ავტორის მიზანია მკითხველმა უ ს მ ი ნ ო ს მის გმირებს, დააკვირდეს მათს შინაგან ევოლუციას; ეს იწვევს დიალოგური ფორმის სიჭარბეს მის რომანში და საინტერესო ფაბულაც არსებითად, რომანის შინაგანი მომენტის გასაძლიერებლად აქვს მწერალს შექმნილი. მაგრამ დიდი კოლიზიები გმირებისაგან დამოუკიდებლად კი არ ხდება, არამედ თვითონ მათში: რა გინდ მიმზიდველიც არ იყოს „ძმები კარამაზოვების" ფაბულა, დაკვირვებული მკითხველისთვის ყურადღების ცენტრი მაინც ისეთს ფსიქოლოგიურს მომენტებზე შეჩერდება, როგორიცაა ივანე კარამაზოვისა და სმერდიაკოვის, დიმიტრი კარამაზოვისა და გრუშენკას ან შვილებისა და მამის შინაგანი ურთიერთობანი.

6.

დოსტოევსკი შეუდარებელი მხატვარია ხასიათებისა; რამდენიმე შტრიხით აჩვენებს იგი პერსონაჟის ბუნებას. მკითხველს, მაგალითად, არასოდეს არ შეუძლია დაივიწყოს ბურბონი-კაპიტანი, რომელიც ათეისტური საუბრების დროს „სულ სდუმდა, არცერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს, უეცრად დგება ოთახის შუა ადგილას" და ხმამაღლა აცხადებს: „Если бога нет, то какой же я после того капитан?" აიღებს ქუდს, გაშლის ხელს და ოთახიდან გადის („ეშმაკები"). სტავროგინს, თავდაჭერილ, ლამაზსა და იმავე დროს სატანური ბუნების ადამიანს, შესანიშნავად ახასიათებს პეტრე ვერხოვენსკი, რომელსაც სურს მისი გამოცხადება ახალი, ათეისტური მოძრაობის („შიგალევჩინა") მეთაურად, რადგან არისტოკრატ სტავროგინს ვერავინ მოეპყრობა ფამილიარულად, ის კერპად გამოდგება: „Вы ужасный аристократ! Аристократ когда идет в демократию, обоятелен!" ეს ფრაზა საკმარისია სტავროგინის თუნდაც გარეგნული პორტრეტის წარმოსადგენად.

კიდევ რამდენიმე მაგალითი.

ლაქია სმერდიაკოვს ჩვეულებად ჰქონდა სუპში ან სხვა საჭმელში ხოჭოსა თუ ბუზის აღმოჩენა; იგივე სმერდიაკოვი, რომელიც მოსკოვში რესტორანის გახსნაზე ოცნებობს, გიტარას უკრავს და მღერის, რის გამო მწერალი შენიშნავს: „Лакейский тенор и выверт песни лакейский!" ასეთი დეტალების შემდეგ შეუძლებელია მკითხველმა დაივიწყოს იგი.

ზოგჯერ მწერალი რამდენიმე სიტყვით ან ინტონაციის გადმოცემით ახასიათებს თავის პერსონაჟს. ამმხრივ შეუდარებელია ფედორ კარამაზოვი, წითურა, გარყვნილი ბებერი, რომელიც სიმთვრალეში უყვება თავის ვაჟებს: „По моему правилу во всякой женщине можно найти чрезвычайно, чорт возьми, интересное, чего ни у которой другой не найдешь, — только надобно уметь находить, вот где штука. Это талант! Для меня мовешек не существовало: уж одно то, что она женщина, уж это одно половина всего!.. ეს ნაწყვეტები და განსაკუთრებით სიტყვა „...мовешек..." ერთბაშად ხატავს ამ თავისებურ ეროტომანს.

მკითხველს შეუძლია გაიხსენოს აგრეთვე ერთი სახასიათო წვრილმანი: ფედორ კარამაზოვმა, რომელიც დაიმედებულია, რომ მასთან ოდესმე მივა გრუშენკა, სამი ათასი მანეთი ჩასდო კონვერტში, ხოლო პაკეტს გარედ დააწერა: „Ангелу моему, Грушеньке, коли захочет придти“ და რამდენიმე დღის შემდეგ იქვე განაგრძო: „и циплёнечку“.

ასეთი დეტალებით არის მდიდარი ყოველი მისი რომანი და მოთხრობა.

ფსიქოლოგიური ანალიზის მხრივ გასაოცარია ყველა ადგილი, რომელიც ივანე კარამაზოვისა და სმერდიაკოვის ურთიერთობას ეხება („კარამაზ.“); ჩინური ვაზის გატეხვა მიშკინის მიერ, რომელსაც წინასწარ აკვიატებული ჰქონდა აზრი, რომ ასეთი რამ მას უსათუოდ შეემთხვევოდა; დაუვიწყარია სცენა, როდესაც მიშკინი და რაგოჟინი საუბრობენ ოთახში მოკლულ ნასტასია ფილიპოვნას ცხედრის მახლობლად: მკვლელი რაგოჟინი ამშვიდებს მიშკინს — გვამს სუნი არ ასდინდება, რადგან მე ის „ამერიკულ მუშამბაში“ გავხვიე და შეგვიძლია აქვე, მის გვერდით გავათიოთ ღამეო („იდიოტი“).

შეუდარებელია სცენა დუნიას მისვლისა სვიდრიგაილოვის ბინაში, რასკოლნიკოვის დაკითხვა გამომძიებლის მიერ („დანაშ. და სასჯ.“) და მრ. სხვ. ფსიქოლოგიური ანალიზი ხშირად უკიდურესობამდეა გამახვილებული ავტორის მიერ: რომელიმე პერსონაჟის ესათუის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური ნიშანი განზრახ არის გამოყოფილი და მისდამია მიმართული მეორე პერსონაჟის ყურადღება. ასე, მაგალითად, დიმიტრი კარამაზოვს განსაკუთრებით აღელვებს ზედმეტი ნეკი გრუშენკას მარცხენა ფეხზე. მიშკინის დაჭიმულ ყურადღებას იპყრობს მკვდარ ნასტასია ფილიპოვნას „თითქოს მარმარილოსაგან ჩამოქნილი“, „საშინლად უმოძრაო“ ცერი; შეუძლებელია მსგავსი დეტალების ჩამოთვლა და ჩვენც განზრახ შევჩერდით განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითებზე.

და როცა მკითხველი იგონებს ამ დეტალებს, არ შეუძლია არ დაეთანხმოს გორკის, რომელიც 1934 წელს მწერალთა ყრილობაზე ამბობდა: „დოსტოევსკის გენიალობა უდავოა, გამომსახველობის სიძლიერის მხრივ მისი ნიჭი შეიძლება მხოლოდ შექსპირისას შევადაროთო“.

7.

დოსტოევსკის შესახებ ბევრის წერა შეიძლება. მისი ზოგიერთი პერსონაჟები ღირსია ცალკე წერილებისა, მწერლის მხატვრული ტექნიკის საკითხები — მთელი მონოგრაფიისა. რუსულ და ევროპულ კრტიკაში დიდი ლიტერატურა არსებობს ამ საკითხებზე.

თვითონ დოსტოევსკი იქცა ლიტერატურულ გმირად და ცნობილია მისი ბიოგრაფიის მასალაზე დაწერილი რამდენიმე ბელეტრისტული ნაწარმოები.

ვახტანგ ორბელიანის წერილები რძალთან

საყ. დაო ძალუავ! [1] მოგეწერათ მე სრულებით მადლობელი არა ვარო! ნეტავი შენის ძეტი ჩემზედ უმადურათ არავინ არ იყოს და შენ კი, თუ ჩემზედ მართლა ჯავრობ, ჩქარა შეგირიგდები, თუ ღმერთმა ინება და გამოგვიშვეს. მაგრამ ჩემზედ ასეთნი ჯავრობენ, რომელთანაც ჩემი შერიგება ძნელი ღა არის. მაგრამ ამაზედ მერე ვილაპარაკებთ, თუ გამოგვიშვეს. ნეტავი იცოდე რამდენი ჭირი შემეტყვია ამ ჩუენს ტუსაღობაში. მგონია იმდენი შენ არ შეგეტყოს, მაგრამ მაშინათვე კი არ გეტყვი, ჯერ ცოტას გაგაჯავრებ და მერე კი იქნება გითხრა. რა ვქნა ბევრის რისმე მოწერა მინდა, მაგრამ არ შეიძლება სხვადასხვა მიზეზით.

ახლა მას მოგწერ, რომ მაკა და ბარბარე მომიკითხე და ჩემ მაგიერათ დეემუქარე მაკას, რაც ადრე ლანძღვა მოუწერია არ შერჩება, მაშინ ავათ ვიყავი და ახლა კარგათა ვარ და თუ გამოგვიშვეს მე ვიცი. —

ღუთის მოწყალობით სრულებით კარგათა ვარ. ბატონიშვილის ამბავი შეგვატყობინეთ. დარიკოს, დათიკოს და მარიკოსა [2] პირთ ვაკოცებ, მაგრამ პატარა ქალი ჯერ არაფერი საკოცნელი იქნება.. —

ვახტანგ

საყვარელო დაო ძალუავ!

ვიცი როგორცა გმართებს ჩემზედ დამდურება, ან როგორც გაჯავრებული უნდა იყო, რომ აქნობამდინ წიგნი არ მომიწერია. რა ვქნა ძალუავ არ ვიცი, რა მიზეზი მოგწერო: ტყუილები თუ მოვიგონო, გაგიგონია ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო, მაშ რა მოგწერო, შენ ნუ მომიკვდები მეც არ ვიცი; მაგრამ ამას კი ნუ იფიქრებ, რომ მე ჩემი ძალუა ეკატერინე დამეკიწყებოდეს. შენ ნუ მომიკვდები ძალუავ. თუნდ დღეში ერთი წიგნი მოგწეროო და თუნდ წელიწადში ერთიც არ მოგწერო, მე შენ ერთ რიგათ მახსოვხარ და ამისთვისაც საჭირო არ არის, რომ ბოდიში მოვიხადო. მხოლოდ ამას მოგწერ, რომ რაკი მოვედით მაშინვე დათიკოს სიკუდილი შევიტყვეთ და ამა იფიქრე რა შეწუხებულები ვიქნებოდით და ან რალა უნდა მომეწერა, და რა წიგნის წაკითხვა გიამებოდა.—ამას გარდა, მანამ ბატონიშვილს მანდ დაბრუნებას გამოუცხადებდენ არ ვიცი როგორ მოგწეროო ამის შეწუხება. თავის თავს ალარ ასვენებდა, და ალარაფრის თავი არა მქონდა. — ახლა გთხოვ ჩემო საყვარელო ძალუავ. წიგნი მომწეროო ხოლმე ხშირათ და მანდაური ამბები. მხოლოდ ეგლა მექნება ნუგეშათ. დიმიტრიც [3] დაითხოვეს დროით და მარტო ერჩები. — ძალიან შეეწუხდებოდი მარტოობით, თუ აქაურს საზოგადოებას ასე მიღებული არ ვყვანდეთ. — მე არა მგონია, რომ საქართველოში რომ მეღირსოს მოსვლა ჩემმა ნათესავებმა ასრე მიმილონ. ყოველს სახლში ნათესაურათ, მაგრამ ეს რა საჭირო არის, ისევ მანდაური ამბავი მირჩევნიან. — რამაზის წიგნი მომივიდა. ნეტავი იცოდე რა რიგათ მიამა. როდესაც სრულებით იმედი არა მქონდა, რომ მე წიგნი ვისმე მომივიდოდა. იწერება რომ აქ ძალიან მხიარულათა ვართო. ძალუავ გეთაყვანე წვრილათ მომწერე. შენ არ იცი რა სასიამოვნოა ამბების შეტყობა კაცისათვის, რომელშიაც თითონა ყოფილა და რომელიც მოშორებულა. — ან ვინ გათხოვდა, ან ცოლი ვინ შეირთო, ან ვინა თხოვდება, როგორს თასაკრავებს იკურენ და სხვანი. იქნება შენ შეწუხებული იყო და ამ გვარების მოწერა არ გიამოს. — ძალუავ ღმერთი მოწყალეა. — ნეტავი იცოდე ჩვენ აქ დროს როგორ ვატარებთ. ნეტავი მაჩვენა მაკა. მაგრამ აქაური ამბები რომ ყველა მოგწეროო რეა თამაახი ქაღალდი მომინდება. მაინც კი მოგწერ იქით ფორჩტებში. გეთაყვანე მომწერე რასა იქს ძალუა ბარბარე. [4] — შენ ნუ მომიკვდები ძალიან ვწუხვარ, რომ წიგნი ვერ მოვწერე. მომიკითხე სიყვარულით და უთხარ რომ ნუ დამემდურება. წიგნს მოვწერ. — რა ვქნა, ბევრრამ მინდა მოგწეროო. როგორც ფუტკარი სკაში, ჩემს თავში ისე ირევიან სხვადასხვა ფიქრები, შენთან მოსაწერათ და ვერაფერი რიგიანათ ვერ მომიწერია. — ჩემი ამბავ ალექსანდრეს [5] წიგნები მოგვიდის. ღმერთი მოწყალეა. იმედი მაქუს ხელმწიფისა, რომ ჩქარა მანდ ვიყო ერთათ საქართველოში.

ძალუავ! ჩემს საყვარელს პირს აკოცე დარეას და ჩემ ქალს მაიკოს. [6] რა ლამაზი გოგოები იქნებიან ახლა. — მაქუს იმედი ღუთით რომ ჩქარა ენახოთ ეგენიც. —

მაგათ ბრწყინვალებას კნიაზს და კნეინას ბარბარეს უმდაბლესათ მოკითხვას მოვახსენებ და მაგათ მშვიდობას ღმერთს ვთხოვ. ვიცი რომ თავიანთ ლოცვაში ხანდახან მომგონებენ. —

ჩემს საყვარელ ძმას ზალიკოს“ პირს ვაკოცებ, თუ ჯვარი დაიწერა ჩემ მაგიერ მიულოცე. — იმედი მაქუს, რომ ჩქარა ერთათ ლისის ტბაზედ წავიდეთ. წიგნს მოვწერ იმ ფოსტით.

კერძობანი მომიკითხე. მშვიდობით, ღმერსა ვთხოვ შენს მშვიდობით ნახვას.

შენი ძმა ვახტანგი

14 თებერვალს 1835-ს წელსა

შენიშვნები:

I

ვახტანგ ორბელიანის ლექსთა კრებული პირველად 1894 წელს დაიბეჭდა ილ. ჭავჭავაძისა და პ. უმიკაშვილის რედაქციით. ამ გამოცემას ეროვის ილ. ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი, სადაც მოკლედ განხილულია ვ. ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება.

1894 წ. პოეტის ქალიშვილმა მარიამმა ეს წერილები გადასცა პ. უმიკაშვილს. პ. უმიკაშვილმა წერილები გაუგზავნა ილიას, როგორც საბიოგრაფიო მასალა. „ძვირფასო ილია! — წერს პ. უმიკაშვილი ილ. ჭავჭავაძეს, — ეს ორი წერილი ვახტანგ ორბელიანისაა, რომელიც გადმომცა ვახტანგის ასულმა... აქამდის დრო ვერ ჩავიგდე შენთვის გამომეგზავნა ეს წერილები. ახლაც ჭიათურიდან გიგზავნი ბიოგრაფიის მასალად, თუ გამოგადგა... ნამდვილები მე დავიტოვე, რადგანაც მეფიქრება, ჩვეულებისამებრ არ დაჰკარგოს მეთქი“., (1 აპრილს, 1894 წ. ჭიათურა).

წერილები დაცულია საქ. მუზეუმის წერა-კითხვის საზოგადოების ყოფილ ფონდში. (5275) ისინი მრავალმხრივ არიან საყურადღებონი, ეხებიან ვ. ორბელიანის ცხოვრების გარკვეულ პერიოდს. როგორც ცნობილია ვ. ორბელიანმა, პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, 1830-32 წლები ტფილისში გაატარა. ამდროს ის დაუახლოვდა „საიდუმლო მეგობრობის“ საზოგადოებას, რომელიც აჯანყებას ამზადებდა რუსეთის წინააღმდეგ. პოეტი გახდა ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი. აჯანყების დაწყების წინა დღეებში შეთქმულების მთავარი კომიტეტი გაცემული იქნა. შეთქმულების მთავარი მონაწილენი, მათ შორის ვახტანგ ორბელიანი, მეფის მთავრობამ დააპატიმრა. პოეტი ერთ წელზე მეტი იყო დატყვევებული ავლაბრის ყაზარმებში. 1834 წელს კი გადაასახლეს კალუგაში, სადაც 1837 წლამდე იმყოფებოდა.

პირველი წერილი უთარიღოა. იგი დაწერილი უნდა იყოს ტფილისში, ავლაბრის ყაზარმებში პატიმრობის დროს (1832-33წ) ორივე წერილის ადრესატია ვახტანგ ორბელიანის ძმის ალექსანდრეს ცოლი ეკატერინე.

1) ეკატერინე — იყო „ლუბერსკი სეკრატრის“ დავით ბარათაშვილის ასული. 1932 წლის შეთქმულებაში ეკატერინე იღებდა მონაწილეობას. ალ. ორბელიანის მოგონებაში ვკითხულობთ: „ჩემი კატინაც ერია ჩვენს საქმეში, სხვანი ქართველნი ქალებიც ბევრი, რომელიცა ჩემს კატინას. ვალათ დასდეს. რევალუციის ბაირახი შეეკერა.„(საქ. მუზ. წ. კ. ს .ყ. ფ. № 1159). ალ. ორბელიანმა ეკატერინე შეირთო 1822 წელს.

2. დარიკო, დათიკო, მარიკო — ალექსანდრეს შვილებია.

II.

1. დათიკო — ალ. ორბელიანის შვილი.

2. დიმიტრი — ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების უმცროსი ძმა, გრენადერების პოლკის პრაპორშჩიკი. სწავლობდა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ — პეტერბურგის გვარდიის სკოლაში. იღებდა მონაწილეობას პოლონეთის წინააღმდეგ წარმოებულ სომარ კამპანიაში. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის იგი, ვახტანგთან ერთად გადაასახლეს კალუგაში. (Акты, 8, ст. 409).

3. ბარბარე — ოთარ ქობულაშვილის ცოლი, ომან მდივანის — ხერხეულიძის ასული. „დიდათ პატივცემული, ლიტერატურის მოყვარე მანდილოსანი“ (პ. უმიკაშვილი), გარდაიცვალა 1832 წ. პლატონ იოსელიანის მონოგრაფიაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გიმოყენებული აქს ბარბარე ქობულაშვილის მიერ მოწოდებული ცნობები.

4. ალექსანდრე ორბელიანი 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლეული იყო ორენბურგს, საიდანაც დაბრუნდა 1841 წ.

5. დარია, მაიკო — ალ. ორბელიანის შვილები.

6. ზალიკო — ზაალ ბარათაშვილი, ვახტანგის ძმის ალექსანდრეს ცოლის ეკატერინეს ძმა.

1939 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით . .	9 „
ცალკე ნომერი . .	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ᲩᲕᲔᲜᲘ 1 ᲐᲣ. 50 ᲙᲐᲞ.

Ч 553
1939

Ежемесячный журнал

„ЧВЕНИ ТАОБА"

Сахелгами 1939 г. Тбилиси